


ლიტერატურული გაზეთი

№70 16 - 29 მარტი 2012

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ტარიელ ჭანტურია

ანა

ლამაზია. ჭკვიანია. ნაკითხია. ამაყია...
მომეფერა, მაკოცა და ასი ვერო ამახია!

ლამაზი დღეც უჩუქნია, იშვიათად – ლამაზი თვეც!
ვერაფრით ვერ „მოვიშორეთ!“ –
არ იქნა, ვერ გავამზითვეთ!

თბილისიდან პარიზამდე, ლონდონიდან ურეკამდე –
არ მგონია, ვინმეს სადმე ასე, ამდენს ურეკავდნენ!

რა ჯგუფია, რომ იცოდე – ლამაზების არი კასტა! –
სულ იქაა – ეკასთან და ქეთისთან და მარიკასთან...

ლამაზები, ჭკვიანები – ეკა ჩემი! ანა ჩემი!
...სულაც არ მაინტერესებს ამ სიბერის განაჩენი...



VIII-IX



ციცინათელა

...აი, ეს არის ციციანათელაო, - მითხრა ჩემმა დამ და ერთ მოშავო-მონაცრისფრო მწერზე მიმიტოთა, რომელიც ბალახში ემალებოდა მზის სინათლეს.

ჯერ არ დავიჯერე - ეს შავი მწერი როგორაა ის საოცარი ციციანათელა, რომელიც სინათლის ისრებს ისვრის დამლობით და მაისის თბილ ღამეებს კიდევ უფრო ათბობს და ალამაზებს-მეთქი...

მერე კი, როცა დავიჯერე, გული დამწყდა... რომ იგი მხოლოდ ღამის შვილი და ღამის მშვენიერა იყო, რომ მზე აქრობდა მის სილამაზეს.

...ღმერთო მაპატიე და დაახლოებით ასეთივე გრძობა დამეუფლა ანა კალანდაძის საოცარი ლექსების გაცნობის შემდეგ, თვით ანა რომ გავიცანი - ანგელოზს ველოდი და ჩვეულებრივი ქალი შემრჩა ხელში...

„გენერალი“ და „სოპროს“

1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, (რომელიც მოსკოვის კრემლმა და ქართველმა კრემლისტებმა „სამოქალაქო ომად“ მონათლეს), ერთი თავგაცხელებული ჯგუფი გენერალი რჩევას იძლეოდა: - დავანგრიოთ დიქტატორ ზვიად გამსახურდიას თავშესაფარი მთავრობის სასახლე და მის ადგილზე ისევ ეკლესია ავაშენოთ...

რა ეკლესიის აშენებას მოითხოვდა ეს ახლადწვერაშლილი „გენერალი“?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხია მოცემული ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ვახტანგ ბერიძის წიგნში, რომელშიც იგი რუსთაველის გამზირის განაშენიანების ისტორიას ჰყვება: „...მოპირდაპირე მხარეს, სადაც ახლა მთავრობის სახლია, მაშინ აქ დიდი, რკინისგალავანშემორტყმული ეზოში იდგა ერთი ულაზათო, ამორფული ეკლესია, სამხედრო ტაძარი (რატომღაც მას ქართველებიც „სობროს“ ეძახდნენ) - XIX საუკუნის მშ-იან წლებში აგებული, რუსეთის მიერ კავკასიის სრული შემოერთების ძეგლად.“

აი, ასე, შემთხვევით როდი მოითხოვდა ის თავგაცხელებული კრემლისტი „გენერალი“ იმ „სობროს“ აღდგენას... კრემლისტებს ხომ სიკვდილივით სძულდათ საქართველოს თავისუფლება...

იყო ომი და იყვნენ მემორიალი

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, უბრალოდ, ზვიადი და მერაბი პატარა ბიჭები იყვნენ, როცა ეს დიდი და სასტიკი ომი წამოიწყეს. ამ ბრძოლაში ისინი სამნი იყვნენ: ზვიადი, მერაბი და... საქართველო. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ორნი წინა პლანზე ჩანდნენ, საქართველო კი ნისლებით იყო შებურვილი და სწორედ ამ დანისლულ „მე-სამზე“ ჰქონდა მიყრდნობილი ზურგი ორ გამირს.

ეს იყო ურთულესი და უძნელესი ომი იმ ომებს შორის, რაც კი ყოფილა ოდესმე დედამიწის ზურგზე.

მერაბი ლექსად ასე მიმართავდა თავის თანამებრძოლს:

„ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი, ვაჰ, თუ ძალები შემომელია!... თუმცა მარადში ვარ თანამდგომი, ავთანდილობა ერთობ ძნელია!...“

დიახაც, ძნელი იყო - ორი მამაცი და გაუტყეხელი ბიჭი ბოროტების უზარმაზარ მონსტრს შეებოდა - ისინი ებრძოდნენ შიშს, ლაჩრობას, ბოლმას, შურს... ეს ყოველივე ავბედითად შემოჭრილიყო ეროვნულ სხეულში და სრული განადგურებით იმუქრებოდა.

ერთმანეთს ედგნენ გვერდი-გვერდ, ზურგი კი დანისლულ სამშობლოზე, გაუტყეხელ მშობელ ხალხზე ჰქონდათ მიყრდნობილი. ერთმანეთით და სამშობლოთი სუნთქავდნენ და სულდგმულობდნენ, არ ექვებოდნენ, რომ გამარჯვებულნი იქნებოდნენ:

„გადაიჭრები გზებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითივით, ზეადმართული ჩვენს ეპოქაში - მიქლანჯელოს კუმტ დავითივით!“

ნათელმხილველივით მიმართავდა მერაბი ზვიადს. ორივემ, სამშობლოსთან ერთად, გაიარა წამების გზა და ახლა ისინი მთანმიმდებარე, დიდი მწერლებისა და

მამუკა ნიკლაური

გაუფილტრაპი ფიქრები

გმირების პანთეონში წვანან. მათ მახლობლად ილია ჭავჭავაძის სამარეა, ცოტა მოშორებითაა ვაჟა ფშაველა დაკრძალული, რომელსაც უთქვამს: „გმირთა სამარეს, როგორც ხატს, სამთხვევად დავედირებო...“

ყარაჩოლელები

რომ ვთქვა - ყარაჩოლელები პოეტების ლექსებზე გული მიმდის-მეთქი, არ ვიქნები მართალი. თუმცა იმაში კი უნდა გამოვტყდე, რომ ამ პოეტებმა რალაცნაირი მადლიანი თქმები იცოდნენ და მოქნილი წნელებით ხმარობდნენ ქართული ენის ძარღვს.

პოეტური კამათის დროს გვიგვიშლს სკანდაროვასთვის უთქვამს - ბებერი ხარო, სკანდაროვას უპასუხნია:

„შენ ბებერი მეძახე, შვიდ ნაბაღზე ვსტებო.“
ბეჩირას უთქვამს: სეზონის ვაჭარი ვარ, ზამთარში თევზს ვყიდი, ზაფხულში მწვანოილსაო.

ჰაზირას სტრიქონები:
„უცხო გვარის ზღვა რად მომეწონება?! ჩემი წყარო ერთი ცვარი კარგია!“
ჰაზირასვე მიანიერენ საოცარ ეპიტაფიას: „აქა ვარ!“

აქ აღარას ვამბობ იეთიმ გურჯზე, რომლის ლექსი - „გამარჯვება, ჩემო თბილის ქალაქო“ ქართული პოეზიის მშვენიერებაა.

...ბარემ აქვე გავისხენოთ ერთი გადმოცემა: - ძველ-თბილისელი მომღერალი გიგო, ჰაზირას მოთხოვნით, თექვსმეტი დღეულობით დაუტყრიათ...

თავისებურად უკრავდნენ, თავისებურად მღეროდნენ, მადლიან სიტყვას ამბობდნენ... ბევრნი იყვნენ და ბოლოს ყველა ერთ გვარ-სახელში გაერთიანდა - იეთიმ გურჯში.

წინამუხამდე...



იდგა ილია და იგერიებდა უზადრუკთა და უვიცთა თავდასხმას. აი, ფრაგმენტი მისი ერთი წერილიდან:

„...რომ უფრო დიდ ავტორიტეტად დაანახონ ქვეყანას ეს ვილაც, „ხალხის წარმომადგენელი გლეხი კირვალიძე“, ჩვენი ჭკვიანი გაზეთი „კვალი“ იფიცება, რომ კირვალიძეს 101 კაცი ამაზე ხელს უწერსო. ამისთანა საქმეში, საცა ლიტერატურული სჯა და ბასია, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გნებავთ საქართველოში თუნდა ასიათას კაცს ხელს მოვანერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზე სდგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისთვის საბუთია? ნუთუ ამ ასიათასი კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალღევისა?... ეს ხომ პირველი კლასის გიმნაზიელმაც კი იცის და რატომ ნ. ჟორდანია არ სცოდნია?“

ეს სტრიქონები 1901 წელს დაინერა... ასე იყო წინამურამდე... იდგა ილია და იგერიებდა უზადრუკთა და უვიცთა თავდასხმებს...

ჯაჭვით დაბმული ხატები

ექვითმე თაყაიშვილი, ერთ-ერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში, ფრიად უცნაურ ფაქტს აღნიშნავს: „კახეთში კიდევ ჯაჭვებით აბამენ ხატებს კედლებზე - ძლიერია და არ გაგვექცეს, ჩვენი ეკლესია არ მიატოვოსო.“

ხატის დაბმა ჯაჭვით!... სამწუხაროდ, ამ ფაქტს უკომენტაროდ ტოვებს დიდი მეცნიერი. ისე კი, სპეციალურ ლიტერატურაში, რომელზეც მე ამ წუთში ხელი არ მიმიწვდება, ალბათ, იქნება ამ უაღრესად საინტერესო მოვლენის ახსნა...

...მეც ვისარგებლებ ამ ღია კარით და ჩემს თავისუფალ აზრს ვიტყვი - მოგესვენებათ, საქართველო კაი ღვინის, კაი ლექსის, მაღალი მთების ქვეყანაა და აქ არც ღალატი უნდა დავივიწყოთ - ქართველები ერთმანეთის ღალატივით არიან განთქმულნი და აბა, ვინ იცის, იქნებ ისე გაუფხვდა მაშინდელ კახელებს ღალატის შიში, რომ ხატებსაც კი აღარ ენდობოდნენ! იქნებ ამიტომ გაჩნდა ხატის ჯაჭვით დაბმის ტრადიცია: - არ გვიღალატო, სხვაგან არ ნახვიდე, აქ იყავი, სხვას არ მიემხრო, ძლიერი ხარ და შენი მილიერით დავგიფარეო, - უთხრეს ხატს...

ცხადია, ვხუმრობ, არ ვითვალისწინებ, რომ მეცნიერებას ხუმრობა არ უყვარს.

„მინრიელი“

„მინრიელი“ ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით, იგივე ეშმაკი, მაცილი, მაძახურაა. გამინრილება კი „ავსულების უჩინოდ ქმნას“ ნიშნავს.

ეს სიტყვა ხშირად მოიხსენიება მითოლოგიურ გადმოცემებში - როცა, მაგალითად, ხთისშვილები გასანადგურებლად დაეძვინებოდნენ გამხვივებულ დევს, იგი მინაში ძვრება, გამინრილდება და თავს შველის.

„მინრიელი“ არანაირი ფორმით არაა შეტანილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. არადა, ეს სიტყვა „ღრმა“ სიტყვაა, ღრმა შინაარსის შემცველია. ეს სიღრმე არა აქვთ სხვა სინონიმებს. იგი აუცილებლად უნდა შემოვიდეს აქტიურ „სამწერლო ბრუნვაში“.

„მინრიელის“ ფუძე მინაა - ავი სულები მინიდან ამოდიან და ისევ გამინრილდებიან ხოლმე - ისევ მინას ეფარებიან.

რუსულ — „პართული“ ოცნება

საბჭოთა კავშირის დაშლა მეოცე საუკუნის უდიდესი ეგოპოლიტიკური კატასტროფა იყო - გოდებს დღევანდელი რუსეთის პრემიერი (მაგრამ მაინც გაურკვეველი თანამდებობის კაცი).

...თუმცა არა მარტო გოდებენ, ოცნებობენ კიდევ გარდაცვლილი იმპერიის გაცოცხლებაზე.

ამ იმპერიის არსი ხომ ზუსტად დააკონკრეტა აშშ პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და მას „ბოროტების იმპერია“ უწოდა. მილიონი საბუთი არსებობს ამ სახელწოდების გასამართლებლად. ამჯერად კი ერთი საშინელი დოკუმენტი გავისხენოთ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ეტიხგერს თავის წიგნში ერთი ასეთი საზარელი ცნობა მოაქვს:

„1959 წელს „კავებს“ მაშინდელმა თავმჯდომარემ შელეპინმა, ხრუშჩოვის დავალებით მოამზადა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 1935 წლის იანვრიდან - 1941 წლამდე, საბჭოთა კავშირში, რეპრესირებული იყო 19 840 000 კაცი, რომელთაგან 7 მილიონი დახვრიტეს.“

ხედავთ?! - შელეპინი სტატისტიკურ ცნობებში არ „წვრილმანდება“ და არც კი ახსენებს ერთეულს, ათეულს, ასეულებს და პირდაპირ მილიონებით და ათასეულებით ლაპარაკობს...

რუსეთის ხელმძღვანელთა ტვინებში ისევ იფურჩქნება იმპერიული ავადმყოფობა; ისევ კრემლშია ლენინის მუშია; ისევ უღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი და „ძველი ძმობის“ აღდგენაზე ოცნებობენ რუსენა...



ბი და მათი თანამოაზრე „მეოცნებე ქართველები“.

ინჰვიციის კოცონვა

1474 წელს ქალაქ ბაზელში (შვეიცარი-აში) დანვეს მამალი, რომელმაც თითქოს „ემშაკთან დაიჭირა საქმე“ და კვერცხი დაღო.

მას შემდეგ ხუთას წელზე მეტი გავიდა და შვეიცარიაში, ევროპის ერთ-ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, არცთუ იშვიათად იმართება „კვერცხისმდებელი მამაკაცების“ საზეიმო პარადები და „მამალი გეები“ ამჟამად მოაფრიალებენ შიშველ უკანალებს.

ნეტავ, რა იქნება ხუთასი წლის შემდეგ?!

ქუხასი

„ქუხასი - მურდალი, ოხერი, ცუდი ყოფაქცევია. ე ქუხასი რას მიშვება (სოფელი შროშა); ქუხასია რო დეეთრევა კაცეფში (სოფელი განთიადი)“. (ქეთევან ძონენიძე - ზემოიმერული ლექსიკონი).

კარგი სიტყვაა და მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ ეს სიტყვა და კიდევ სხვადასხვა ხალხში მოარული დიალექტური სიტყვა ჯერ არაა დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში. ეს ფაქტი კი, ალბათ, ჩვენი მწერლების უყურადღებობას უნდა მივანეროთ. მწერალი გაფაციცებული უნდა იყოს ასეთი სიტყვების დასაჭერად, დიალექტური დინებებიდან ამოსაყვანად. სამწუხაროდ, მწერლობა ამ ბოლო დროს, ბარბაროზებზე, სკაბრეზულ გამოთქმებზე უფრო „ნადირობს“, ვიდრე ასეთ, ენის სტიქიდან „ამოგზავნილ“ სიტყვებზე.

ვირიპიტი

მოხდა საკვირველება! ერთმა ცნობილ-მა სახელმწიფო მოხელემ ერთბაშად დაკარგა საკუთარი სახელ-გვარი და „დაღლილი ვირის“ სახელით დაიწყო ცხოვრება. თუმცა... ისიც გაირკვა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო პოსტებზე მუშაობის დროს მილიონები დაუგროვებია. ამ ფულით იგი კრემლის მესვეურებს მიადგა და ოცი წლის წინათ გაუქმებული რუსეთის მეფისნაცვლის ტახტის აღდგენა და ამ ტახტზე წამოჯდომა მოინდომა... მაგრამ ამჯერად რუსეთის მესვეურებს საქართველოსთვის სასროლად გამზადებული ხელყუმბარა ხელში აუფეთქდათ და ეს ჩვენი ქურდი მილიონერი ისევ „დაღლილი ვირის“ სტატუსს დასჯერდა...

ჰაინრიხ ჰაინე, ერთგან, მისთვის დამახასიათებელი მწარე ირონიით შენიშნავს: „ვირები ღმერთმა იმისთვის გააჩინა, რომ ადამიანებმა ისინი შედარებისთვის გამოიყენონო...“

დროული დრო


ლიტერატურაში მოღვაწე ახალ-გაზრდების „ჭკუის დარღვევა“ ისევე უსარგებლო საქმეა, როგორც იმის ცდა, რომ ბავშვს დროზე ადრე აადგმეინო ფეხი. მოგესვენებათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს და ეს „დროული დრო“ ლიტერატურაშიც კანონზომიერად მოქმედებს.

„ასპანას ქალსა ჰყვარობდა“

ვახტანგ კოტეტიშვილი თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში, „თავფარავნელი ჭაბუკის“ ვარიანტებზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ვარიანტში იკითხება:

„თავფარავნელი ჭაბუკი გასპარას ქალსა ჰყვარობდა“... კომენტარში დიდი მეცნიერი ირონიულად მიუთითებს, რომ „გასპარა“ აქ არაფერ შუაშია, მის ნაცვლად, სხვა სიტყვა, კერძოდ, „ასპინძა“ უნდა იყოსო.

ჩემი სტუდენტობის დროს, მეხსიერებას ვაგახებთ მოწყობილ ერთ-ერთ ფოტო-ლორულ ექსპედიციაში ვმონაწილეობდი. ექსპედიციას წარმოშობით მეხსიერული ფოტოლორისტი ილია მაისურაძე ხელმძღვანელობდა. ერთხელაც, თავფარავნის ტბასთან, „თავფარავნელ ჭაბუკზე“ საუბრისას, ბატონმა ილიამ თქვა: – ამ კონტექსტში არც „გასპარა“ სწორი და არც – „ასპინძა“, „გასპარას“ ვარიანტი მართლაც ღიმილს იწვევს, ხოლო რაც შეეხება „ასპინძას“, ის ამ ტბიდან შორსაა, ბალადის ტექსტის მიხედვით კი ტბის ნაპირთან არსებულ გეოგრაფიულ პუნქტთან გვაქვს



საქმე. ვფიქრობ, აქ ნასოფლარი „ასპანა“ უნდა მოვიხაზოთ. ეს ნასოფლარი ზედ ტბის პირასაა და ასპანიძეების გვარიც აქედან მოდის. დროთა განმავლობაში ასპანა ნასოფლარად იქცა, ხალხს ეს ტოპონიმი გადავიწყდა და ასე გაჩნდა „გასპარა“ და „ასპინძა“ – გვითხრა ბატონმა ილია მაისურაძემ, რომელმაც, მართლაც, ბრწყინვალედ იცოდა მეხსიერება-გაგახების ტოპონიმიკა...

მანქანის მითის გამოვლიკება

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა საბჭოური იდეოლოგიური მარნუხები შედარებით მოფონდა, მთელი ლიტერატურული საზოგადოებრიობა შეძრა ჩინგიზ აიტმატოვის რომანმა „და დღე იყო უფრო გრძელი ნუთისოფელზე“. ეს იყო რომანი მანქანისა და მანქანითმზღვე და მის არსში მკითხველმა სწორედ კომუნისტური მანქანითმზღვე ამოიცნო.

რომანის მიხედვით, მანქანის სა-როზექელი ტყვეების საშინელი წამების შედეგად ქმნიდნენ საროზექის დამპყრობელი ველური ჟუან-ჟუანები. ისინი ტყვეებს თავს პარსავდნენ, შემდეგ შიშველ თავზე ახალდაკლული აქლემის ტყავს აკრავდნენ მჭიდროდ და ცხელი მზის გულზე აგდებდნენ რამდენიმე კვირით. ცხელ მზეზე ტყავი ხმებოდა და უფრო და უფრო მჭიდროდ ეკვროდა უბედურ ტყვეს. ამოსული თმა კი, ცხადია, აქლემის ტყავს ვერ ხვრეტდა, ძირს ბრუნდებოდა და უკანვე ჩადიოდა ტვინში. ამის შედეგად ადამიანი ჰკარგავდა ადამიანობას, ჰკარგავდა მეხსიერებას – აღარ იცოდა, ვინ იყო, რა ერქვა, ვისი შვილი იყო. ასეთ გაუბედურებულებს ძირითადად ნახირის სამწყემსავად იყენებდნენ.

როგორც მოგახსენეთ, აიტმატოვის რომანში, მანქანის სახით საბჭოთა ად-



ამიანის ზოგადი სახეობა შეიცნო მკითხველმა – ტვინდაზნელებული, მეხსიერებადაკარგული. მანქანითმზღვე საუბარი კი იმიტომ წამოვიწყე, რომ ბოროტების იმპერიის დაშლისა და დაცემის შემდეგ იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე მანქანის მითი ისევ „ცოცხალ მითად“ დარჩა – „საბჭოთა მანქანით“ საბჭოთა კავშირთან ერთად არ გადაშენდა.

ამ მითის წიგნური ვარიანტის მიხედვით, მანქანის დედამ, ნაიმან ანამ, აი, ასე მწარედ დაიტრია თავისი მეხსიერებადაკარგული მანქანითმზღვე:

„როცა მეხსიერება წაგართვეს, შვილო, თავის ქალაზე აქლემის ტყავი რომ შემოგაჭდეს; როცა უდაბნოს მზის ცეცხლი გწვავდა; როცა ჯოჯოხეთად ქცეული წყურვილი გკლავდა, ხომ არ შეგძულდა მზე – ყოვლის სიცოცხლის მომნიჭებელი? ხომ არ დაინვა მზე თვალეში, ხომ არ გამამაგდა? ხომ არ გაშავდა საროზექის დიდი მზე, შვილო? როცა ტყვილით განამებული, შენი ღრიალით უდაბნოს სძრავდი და ღმერთს ამოად შეჰლაღადებდი, ხომ არ დასწყევლე, შვილო, ღმერთი, ხომ არ შეგძულდა?“

საბჭოთა იმპერია გადავიდა და გადაშენდა, მისგან შექმნილ-გაკეთებული მანქანითმზღვე კი დარჩა. მან არც ნამდვილი სამშობლო იცის, არც თავისი ჯიში და არც თავისი ეროვნული ტრადიციები.

თუკი ჩვენივე წარმოსახვით ვიხელმძღვანელებთ, ჩვენი ქართული ადგილის დედის ასეთი გოდებაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, მანქანის დედის ნაიმან ანას გოდების ანალოგიით:

– ნეტავ, რად იქეცი, როცა 1991-1992 წლების მიჯნაზე ცეცხლი წაუკიდე შენს დედაქალაქს და ტყვიის ჯერი გადამართე შენი ხალხისკენ; ნეტავ, რად იქეცი, როცა რუსის ჯარს შენივე ხალხის შესამუსრად მოუძღვებოდი; ნეტავ, რად იქეცი, როცა იმერეთს, აფხაზეთსა და სამეგრელოს ატერორებდი; ნეტავ, რად იქეცი, კრემლის კარს რომ აკაკუნებდი, მოსკოვის კრემლთან რომ ათანხმებდი შენი სამშობლოს დაქვეყნის ვეგმას; ეგრე როგორ დავიბნელდა მზე; ეგრე როგორ გაგიმეტა ღმერთმა...

დავასრულოთ ეს საშინელი ამბავი, ოღონდ... ერთიცა ვთქვათ – ამ ძველი ყირგიზული მითის მიხედვით, გამანქანებულნი – მეხსიერებადაკარგული შვილი თავის დედას – ნაიმან ანას კლავს...

პოეტი სიმარტოვეა

ზოგჯერ მგონია, რომ პოეტს არც დედა ჰყავს, არც მამა და არც – შვილები. პოეტი მარტოა ან, უფრო სწორად, პოეტი მხოლოდ სიმარტოვეა – იგი ვარსკვლავების, წვიმების, ქარების შვილია... ამ სიმარტოვის კარი სხვათათვის მუდამ ჩაკეტილია. იქ ლექსი ცხოვრობს...

როცა წარსული დაჟინებით გრძნობა

ალბათ, გინახავთ: გზაზე კაცი მიდის, მერე უცებ ჩერდება, მკვეთრი მოძრაობით უკან ბრუნდება და ისევ იქით მიდის, საიდანაც მოვიდა...

ნეტავ, ქვეყანა, ერი და ხალხიც ასე ხომ არაა? ასეთი რამ ხომ არ ხდება ისტორიაშიც? ვინ იცის, ზოგჯერ ქვეყანაც უბრუნდება თავის წარსულს, უბრუნდება ერთხელ უკვე გამოვლილ გზას და იბრუნებს ერთხელ უკვე ჩალოლი დროს.

დღეს (1993 წ.) საქართველოში დიდი ძნელებდობის ჟამი დგას, ყველაფერი აჭრილი და ალუფხულია, რაღაც დიდი საწუხარი შემოსწოლია ჩვენს მთებს და ვინ იცის, ჩვენც უკანდაბრუნებისკენ მოგვიწოდებს აღმაშენებლისა და ჭყონდიდელის დრო და გზა?

ვინ იცის, ჩვენც ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი რამ გავგახსენდეს უცებ? ვინ იცის, წარსული არ კვდება და იგი დაჟინებით და განუწყვეტლივ მოითხოვს დღევანდელ ასპარეზზე დაბრუნებას?..

სტინგაპის აზრით...

ძალიან საინტერესოა ჯონ სტინგაპის აზრი, რომელიც მან გამოთქვა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ: „საბჭოთა კავშირში მწერლის მოვალეობა მცდელობაა, რათა ყველა საშუ-

ალეობით შეუწყოს ხელი საბჭოთა სისტემის წინსვლას; მაშინ, როცა ამერიკასა და ინგლისში მწერალი მოდარაჯე ძალიან საზოგადოებისათვის – მისი მოვალეობაა გააკრიტიკოს საზოგადოების უარყოფითი მოვლენები, ებრძოდეს უსამართლობას... ამიტომ მწერალი ამერიკაში არც საზოგადოებას უწყობს და არც – მთავრობას“.

ასე წერდა სტინგაპი მაშინ. ახლა კი ახალი დროა და ჩვენთანაც, როგორც ჩანს, წესად შემოდის ამერიკული ინგლისური დამოკიდებულება მწერლებისადმი, თუმცა... ჩვენები, ეტყობა, „ცოტა უფრო შორს წავიდნენ“ და ეს „უსიყვარულობა“, მგონი, მწერლობის უგულვებელყოფად, იგნორირებად გადაექცათ.

ცილისნამების შხამი

ახლახან, თავისი კეთილშობილებითა და ღირსებით აღსავსე ერთი ხელოვანი ქალბატონი რაღაც საშინელ ჭორებში გაახვიეს ე.წ. „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა“. გამწარებულმა ქალმა თითქოს საქვეყნოდ ამოიგმინა:

– ეს უნდა შეწყდეს! მე დედა ვარ და მოვიტოვებ, რომ ადამიანები პატივისცემით ეპყრობოდნენ ჩემს პირად ცხოვრებას. ყველა ცილისმამებელს ვუსურვებ სიცრუის მორევში ჩახრჩობას!..

წავიკითხე ეს და წარმოვიდგინე სიცრუისა და სიყალბის შავ მორევში მოტივტივე ტელეგადაცემები, გაზეთები, ჟურნალები... მთელი ამ სიცრუის გამომგონებელი „რედაქტორები“ და „ჟურნალისტები“...

მართლაც, როგორ გალამაზდებოდა ჩვენი დღეები და ღამეები ამ შმორისა და ღურღოს მოცილების შემდეგ...

იერემის რეკორდები დაიხსო

მე და იერემი ერთ კლასში ვსწავლობდით. ტყუილებით დამამახსოვრდა იგი. სულ ტყუოდა – სჭირდებოდა თუ არა, მაინც ტყუოდა. როგორც მანქანა უბენზინოდ, ისე იერემიც ვერ მოძრაობს უტყუილებოდ, – ამბობდა ჩვენი ისტორიის მასწავლებელი.

ერთხელ იერემის ძმას ვუთხარი: – რა არის, ეგ შენი ძმა ხუთ სიტყვაში ოთხ ტყუილს ამბობს-მეთქი?! – არაო, – მიპასუხა, – ხუთ სიტყვაში ეგ ოთხს კი არა, ექვს ტყუილს ამბობსო... თურმე ჯერ სად ხარ! საქართველოს პრეზიდენტად მოვიდა ერთი მამათელი კაცი, რომელიც ხუთ სიტყვაში შვიდ ტყუილს ამბობს და რომელმაც იმ საწყალი იერემის რეკორდები დაამხო...

პატივსაცემი პროტესტი

ახლახან (2011 წ.) ერთი პოეტი ქალბატონი ასე ჩიოდა „ვილაცისგან“ პატივცემილი მწერლობის გამო: „მწერლობაზე უკეთესი საშუალება ერის გამოფხიზლებისათვის, ალბათ, არ მოიძებნება. დღეს რომ ქართული მწერლობა ასე პატივცემილი და დამცრობილია, ეს ღრმად მოფიქრებული და კარგად გათვლილი ნაბიჯია იმ ძალებისა, ვისაც ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ჩაკვლა და ერის ფხიზელი თვალის მიძინება სწადია“ – წერს ის ქალბატონი.

ასე თავდაჯერებით უბნობს მწერლობის წარმომადგენელი და იმას კი აღარ გვეუბნება, თუ რისი, ან ვისი „გამომღვიძებელია“ ის „მწერლობა“, რომელიც ერთსულოვანი ზარ-ზეიმით შეხვდა ეროვნული ხელისუფლების დამხობას და ასევე ერთსულოვნად შეეგება შევარდნაძის „მეორედ მოსვლას“ საქართველოში...

...და ბოლოს, როცა კითხვას სვამენ, თუ ვინ აჰყარა პატივი და ღირსება მწერლობას? – ისიც უნდა იცოდნენ, რომ არც პასუხია შორს; – ამ „მწერლობამ“ თვითონ, თავისი ხელით მოიჭრა თავი. მან პირად ინტერესებში აურია ეროვნული ინტერესები და ახლა აღარ უნდა ჩემულობდეს „გამომღვიძებლის“ როლს.

„დარში წყალი არ ჩამოდის“

არის ჭეშმარიტებები, რაც ყოველთვის უნდა ახსოვდეს ხალხს, სახელმწიფოს, ხელისუფლებას. საქართველოსთვის ასეთ ჭეშმარიტებათა რიცხვს მიეკუთვნება მის გარემომცველ სახელმწიფოთა განწყო-

ბილება. სახელმწიფოს საგარეო დაზვერვამ კარგად უნდა იცოდეს, რა საფრთხეები გველოდება წინ.

...სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის სომეხთა თავდასხმა 1918 წელს, ე.წ. „კავკასიის კონფედერაციის“ შემოტევა 1992 წელს, „ჯავახკური“ პრეტენზიები ჯავახეთში და ა.შ.

აქვე ერთი დიპლომატიური ანეკდოტი მახსენდება:

– ეგ რა წყალი დგას შენს იატაკზე? – წყალი ჩამოდის სახურავიდან. – მერედა, რატომ არ მიხედავ სახურავს?

– აბა, წვიმაში როგორ მივხედო? – წვიმაში კი არა, როცა დარია, მაშინ მიხედე!

– დარში წყალი არ ჩამოდის...“ დიახაც, დარში ციდან წვიმა არ ჩამოდის, მაგრამ სინოპტიკოსებმა ხომ კარგად იციან, „როგორი ამინდი იქნება ხვალ...“

წყევლა

ეტყობა, წყევლის შედეგებიც არსებობს. აი, მაგალითად: „შენმა შვილმა, შვილიშვილებმა და მთელმა შენმა შთამომავლობამ გველის შხამი მოწოვონ დედის ძუძუდან“...

ნეტავ, ეს წყევლა ხომ არ წამოეწია ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს, რომლებიც გამწარებით იწვევენ „დედა-რუსეთის“ შხამიანი ძუძუსკენ?!

„სიზმრად ვნახა...“

ახალგაზრდა იოსებ გრიშაშვილს დაუნერია ლექსი, რომელშიც აი, ასეთი სტრიქონებია:

„სიზმრად ვნახე, საქართველო სისხლის ტბაში ბანაობდა და დროსა კი, დაფლეთილი, ქარის ფრთებზე ქანაობდა“

ახდა პოეტის ავი სიზმარი. სულ მალე შემოადგა სისხლის ტბები საქართველოს – დამოუკიდებლობის დროსა მართლაც ველური გაგიჟებით დაფლეთეს სკვითებმა 1921 წლის თებერვალში, ხოლო სამი წლის შემდეგ ასეთივე ველური გაცოფებით ჩაახშეს პატრიოტული აჯანყება.

...და დაიწყო ღრუბლიანი დღეების მწკრივი: 30-იანი წლების ტრაგედია; ე.წ. „სამამულო ომში“ სასიკვდილო გაყვანილი და ჩახოცილი ათი ათასობით ქართველი; 1956 წლის სისხლიანი მარტი; 1989 წლის სისხლიანი აპრილი; 1991-1992 წლები მიჯნაზე რუსებისა და მათთან შეთანხმებულ-შეკავშირებული მანქანით ქართველების მიერ მოწყობილი სისხლიანი გადატრიალება და შემდგომი ათწლეულის კომარა; სკვითების ვერაგული თავდასხმა და შემოჭრა 2008 წლის აგვისტოში...

გაგიკვირდება – როგორღა უდგას სული ჩვენს სამშობლოს! გაგიკვირდება – ზოგჯერ რა მისწურს სიზმარს ხედავს პოეტი!..

წინა გორდონის წერილი

წინა გორდონი – მარინა ცვეტაევას მეგობარი, მარინას ქალიშვილს, არიანდას წერდა: „არც შენს და არც მამაშენის დაპატიმრებაზე მას არ უტირია, მარინა იყო ცივი, მშვიდი და ამაყი“.

„ცივი“ და „მშვიდი“ მესმის – ის უკვე მიხვდა, რა უსაშველო ეშმაკეული დაატყდა თავს მის სამშობლოს. რაც შეეხება „სიამაყეს“, უნდა ვივარაუდოთ – მარინა ცვეტაევა ამაყობდა, რომ მისი ახლობლებიც ებრძოდნენ ბოროტების ნიაღვარს.



ქეთი ნიჟარაძე



მზა სახურავზე

ჩვენ სახურავზე ვიპარებით
თითისწვერებზე –
საფეხურები მორყევი და მტვერილი კიბეს.
ჩვენ ვიპარებით ბავშვობაში,
სადაც ჯერ კიდევ
ცას შერჩენია სილურჯე და ის ვარსკვლავები,
რომელსაც უკვე იშვიათად,
ან ველარც ვითვლით...

ჩვენ ვიპარებით სახურავზე – გულს ბაგაბუგი
ისე გაუდის, თითქოს ისევე მიშლიდეს რალაც,
ან გადმოვარდნის მეშინოდეს,
ძილის დრო იყო,
მე კი ჯიუტად მივყვებოდე სიბნელეს მალა.

ახლა დღეა და
ლამის ნაცვლად ირგვლივ მზე მაკრავს,
ფეხსაცმლის ქუსლი ენებება გამდნარ სახურავს,
შემთხვევით ფეხი არ დამიცდეს, ფიქრობ ალბათ და
საკუთარ ხელებს,
როგორც საბანს, მხრებზე მახურავ.

მე ჩუმად ვდგავარ,
ჩუმად ვისმენ შენს წყვეტილ სუნთქვას –
სუნთქვას გამთბარს და
სუნთქვას ნაცნობს, არათანაბარს.
თვალეებს ვხუჭავ და მზის წრეებში ვხედავ ამ ქუჩას –
უცნობი ხალხით, მანქანებით, ძველი სახლებით,
ვხედავ ზემოდან ჩემს ქალაქს და
ვხედავ ჩვენს ჩრდილებს,
შენს ხელს ჩემს მხრებზე –
როგორც შევლას, როგორც საჩუქარს,
საჩუქარს – ასე მოულოდნელს, ასე საჭიროს,
რომელიც უცებ მომაშველე –
უკვე მეორედ.

შენს წყვეტილ სუნთქვას
მოაქვს რალაც უცხო სიტყვები –
გაურკვეველი, უცნაური,
მაგრამ სანდო და
თანდათან ვარკვევ იმ სიტყვების აზრს და გემოსაც
და ჭკუას ვკარგავ,
ისე მინდა, ვიტყვი ახლა,
ისე ვიტყვი, გადავფარო შენი სუნთქვაც და
ყველა იმ სიტყვის მნიშვნელობაც,
ქუჩის ხმაურიც.

ქუჩის, რომელსაც ჩვენ ზემოდან ფრთხილად
დავყურებთ –
ქვაფენილით და
გულისწყვეტით მძიმედ მოკირწყლულს –
რომელმაც ეს დღე სიზმარით გამოიწოდა
და საიდანაც დავბრუნდები უკან და
დაბლა.

ხვალდან, როცა
ამ სახლს ალბათ ხშირად ჩაუფული,
თვალში მეცემა სახურავზე თეთრი ბანერი –
სიცარიელე,
რომლის იქით ვინრო კიბეა
დამტვერილი და მორყეული საფეხურებით.

და მე ვიცი, რომ ის ხის კიბე
სახურავიდან
კიდევ უფრო შორს – სადღაც ზემოთ მიემართება.

კალენდარი

იცო,
დაზამთრდა, მივაძინე ყველა სიზმარი,
ღრუბლებს ვიხურავ,
როგორც თბილ და შინნაქსოვ თავშალს
და ოდნავ მსუსხავს.
წყვეტილი ნუსხა ნაცნობი და მშრალი ციფრების
უკვე არ არის კალენდარი –
ამოცანაა,
რაც ვერასოდეს –
ერთხელაც კი ვერ ამოვხსენი.
არადა,
როგორ მასწავლიდნენ მათემატიკას –
თითქოსდა,
მკაცრი წესებით და მყარი ლოგიკით...

იცო,
დაზამთრდა, ერთი წამი შეეცვალე მხოლოდ
და ესეც მეყო –
ცრემლებს ვიხურავ,
როგორც მძიმე, სქლად ნაქსოვ თავშალს –
მილიონი წლის უნახავი სატრფოს ლოდინში.

იცო,
იმ თავშალს ხვალინდელი ღიმილის კვალი
ფორებად დასდევს,
როგორც წამწამს – ჩრდილი ლოყაზე.
მჭიდროდ ვიხურავ და ვიცი, რომ ერთხელაც მოხვალ.
როდის –
ალარ აქვს მნიშვნელობა –
რიცხვების დნობა
ჩემგან ნაშობი მზის სხივებით როცა დავიწყე,
იმ მანძილიდან,
იმ სივრციდან და დავკარგე დრო და
სიმძიმე წლების...
გავთავისუფლდი.
გავთავისუფლდი ყველაფრისგან, რაც არ მსურდა და
თანდათან დრომაც დამივიწყა,
მერე – სიბერემ.
კარგა ხანია, მოვატყუე
ჩემი სიმშვიდით,
გამოგონილი დუმილით და
ხან – გულგრილობით.
დროს ალარ ვითვლი – დავივიწყე, როგორც სიცვიე.

იცო,
დაზამთრდა, მივაძინე ყველა სიზმარი,
ახლა ვგრძნობ მხოლოდ
ასახდენი სასწაულების
სიმწიფის გემოს
და სხეულში დარჩენილ სითბოს.

გზა

ჩემი სხეულის დაძარღვეული კიდურებიდან
ჩამოვიბერტყავ შიშს და სევდას, რაც კი შემომრჩა
და ფიქრს გაგიშლი
როგორც საბანს,
სითბოს მოგიტან –
რომ შემეჩვიო.

რომ შემეჩვიო,
მიმილო და გულში ჩამიკრა.
რკინის ქალამნებს, შენამდე რომ მომალწევინა,
სადღაც, კუთხეში, ყველაზე შორს მიყვრი – დღეიდან
რომ აღარასდროს ჩავიცვა და
ალარ დავბრუნდე.

რომ არ დავბრუნდე
უკან, სადაც იყო ქარები,
ზოგჯერ – სიმშვიდეც, მაგრამ მძიმე, ერთგვაროვანი,
სადაც ჩემს გვერდით არსებობდა სამყარო, მაგრამ
ჩემი არ იყო,
და არც ჩემში,
ჩემთვის არ იყო.

ჩამოვიბერტყავ
მოგონებებს – ცივს და შორეულს,
გზად დაყრილ მტვერს და
დარდის ბოხჩას კართან დავტოვებ,
გადმოვაბიჯებ ზღურბლზე, როგორც ახალშობილი,
ვისაც ელოდნენ,
და სულ ოდნავ დაიგვიანა.

დაიგვიანა ერთი წამით,
რადგან არ სურდა,
იმ უკანასკნელ ამოსუნთქვას გაეხსნა მისთვის
საიდუმლოთა ცხრაკლიტულის ბოლო კარი და
სურდა, ბავშვური,
უმეცარი გულუბრყვილობით
დაბრუნებოდა იმ საუფლოს, რომელსაც ჯერაც
არც კი იცნობდა, მაგრამ მაინც
„თავისი“ ერქვა.

ჩამოვიტოვებ უკან დღეებს,
ტყუპი ვაშლივით
მსგავსს და ცარიელს, როგორც ფშუტე,
უწმიფარ კაკალს –
რომელიც უნდა მეჭამა და ვერ დამაბურა.

ჩამოვიბერტყავ მტვერს და სევდას, რაც კი შემომრჩა,
როგორც თოვლს, მხრებზე შერჩენილს და
გადმოვაბიჯებ –
რომ შემეჩვიო,
მიმილო და გულში ჩამიკრა.


გამოვაფხიზლე

უკან მთებია დათოვლილი –
ნუ მიიხედავ!
მზე ადგას თავზე
და ირეკლავს ყინული სითბოს,
ჩვენ კი არ ვითხოვთ,
მაგრამ სხივებს ჩვენსკენ გზავნის და
იმ თოვლნარევი მზით გათბობას მაინც გვიპირებს.

მზე სულ ტყუილად ადგას იმ მთებს –
ეს საცდურია.
ქვემოთ, გაზაფხულს შეხედე და ხელი მომიკიდე,
ამხსენი დარდი,
მოლოდინი
და მდუმარება –
ამხსენი ისე, რომ არასდროს ალარ შემეხოს
შიში სიბრმავის,
სიცივის,
ან გარდაცვალების,
ამხსენი ძილი, სიზმრები და
გამომიყვანე
თვალისმომჭრელი სითეთრიდან, რასაც „დღეს“ ქვია.

შენც ჩემს მინაზე დადექი და
წამომაყენე,
გადამინე შუბლზე თმა და
გამომაცილე –
იმ ადგილებში დამაბრუნე, რომელსაც გუშინ
გამოვექეცი –
გამოვეყვი ანთებულ ფარნებს.
ფარნებს, რომლებიც ციმციმებდნენ ჯერ კიდევ გუშინ
დღეს – ვერც კი ვხედავ,
არც კი ჩანან, თუნდაც ჩამქრალნი.

გამომაფხიზლე, რომ არასდროს დავბრუნდე უკან –
სადაც მთებია თოვლიანი
და მდუმარება.



ცმტა ხნის წინათ გამომცემლობა „დიოგენემ“ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

წიგნის გარეკანზევე მითითებულია: კომენტარებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის. შემდგენელია თამაზ ვასაძე.

წიგნი სანაქებოა გაფორმებით, ბეჭდვის ხარისხით, საბეჭდი მასალით და საერთოდ ყველაფრით, რითაც წიგნები გარეგნულად ყურადღებას იქცევენ.

რასაკვირველია, მნიშვნელოვანია კომენტარების დიდი ნაწილიც, მაგრამ ჩემი ყურადღება თავიდანვე მიიქცია მე-7 გვერდის სქოლიომ, სადაც ნათქვამია: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კომენტარებისას ძირითადად გათვალისწინებულია იუსტიცია აბულაძისა და აკაკი შანიძის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონები, ვუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარი; სოლომონ იორდანიშვილის მიერ შესრულებული პოემის პნკარედული თარგმანი რუსულ ენაზე; პოემის ნოდარ ნათაძის მიერ მომზადებული კომენტარული გამოცემა, ალექსი ჭინჭარაულის სტატიები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხებზე.

ისმის კითხვა: რატომ მხოლოდ ეს მკვლევრები? მართალია, ჩამოთვლილ ცნობილ მეცნიერებს „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საქმეში მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი უდევთ, მაგრამ მხოლოდ მათ?

ხომ ფაქტია ისიც, რომ ამ მეცნიერთა გამოკვლევებში არის უზუსტობანი? ზოგჯერ — მნიშვნელოვანი შეცდომებიც. ერთ მაგალითს დავასახელებ: ნ. ნათაძე, ზ. ავალიშვილის მიზაძეთა, წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ საქართველოში არსებობდა „ქალის კულტა“, რომელიც ნასესხები იყო ბედუინური (ძველი არაბული) პოეზიიდან, კაცმა არ იცის, რა გზით. ჩემი მრავალჯერადი კრიტიკული შენიშვნის შემდეგ (იხ. აღ. ფოცხიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი სადავო საკითხის გარშემო, თბ., 1991, გვ. 10-45) მან, როგორც იქნა, გადაიფიქრა ამ აბსურდული მოსაზრების მტკიცება, მაგრამ ჩემი სხვა შენიშვნა ტექსტის კომენტარების საკითხებთან დაკავშირებით კვლავ არ გაითვალისწინა და ახალ გამოცემაშიც გაიმეორა ის შეცდომები, რაც ძველში იყო.

უფრო ცუდადაა საქმე თ. ვასაძის წიგნში. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის ჩემულ კომენტარებში (იხ. დასახ. წიგნის სტატია: „ცუდი არის დამზარალისა გასათობად წყლისა ბერვა“) ნათქვამია: „ტარიელის პოვნისა და მისი თავგადასავლის შეტყობის შემდეგ ავთანდილი არაბეთს დაბრუნდა, სამეფო კარს სამი წლის განმავლობაში ნახული და განცდილი მოახსენა. მოტანილმა ამბავმა ყველა გაახარა, მთელი დღე მხიარულებაში გაატარეს. საღამოს, როცა ავთანდილი შინ მივიდა, იქ თინათინის მონა დახვდა: სატრფო უხმოზდა. თინათინი ქალური წინათგრძნობით ხვდებოდა, რომ ავთანდილი დარბაზს ყველაფერს არ მოახსენებდა, მიჯნურისა და მომავალი მეუღლის წინაშე კი მას დასაფარავი არაფერი ექნებოდა. არც შემცდარა. ავთანდილმა მას მთავარი გაუმხილა: „დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა“... „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭრსა არ დამრიდა-

ალექსანდრე ფოცხიშვილი — მოსაზრება

ავტორიტეტი თუ ჭეშმარიტება?!

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევის ისტორიისთვის

დო“, დაუმატა მან. მოულოდნელმა ამბავმა თინათინი დაალონა, მაგრამ არ დაამწხვრა, რადგან იცის, რომ ცხოვრება ტაროსს ჰგავს: ხან მზეა, ხან ცა მოიქუფრება. იგი მოუწონებს ავთანდილს გადამწყვეტილებას:

„შენ არგატეხა კარგი გჭირს ზენარისა, ფიცისა ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა, ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიცისა, ჩემი თქვი, რა ვენა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“

სტროფის შინაარსი ნათელი და ლოგიკურია, ავთანდილის პასუხი კი ცოტა მოულოდნელია და არც მთლად იოლად გასაგებია:

„ყმამან ჰკადრა: „სიახლითა შევრთე ჭირი შეიდას მე რვა, ცუდი არის დამზარალისა გასათობად წყლისა ბერვა, ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა, თუ გეახლო, ერთხელ ვა და, რა მოგშორდე, თათაჯერ ვა!“

ცხადია, ამ სტროფში ძნელად გამოცნობია მეორე („ცუდი არის დამზარალისა გასათობად წყლისა ბერვა“) და მესამე („ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“) ტაეპების პირდაპირი მნიშვნელობა.

წ. ნათაძე სტროფის ასეთ განმარტებას იძლევა:

[პირველი ტაეპი] „ჰკადრა — უთხრა სიახლითა — სიახლოვით, შენს ახლო ყოფნით; მევრთე — მივუმატე [მეორე ტაეპი] ცუდი — ამაო, ფუჭი, უსარგებლო. [მესამე ტაეპი] სიყვარული — იგულისხმება, როგორც ჩანს, სიყვარულის შორით განცხადება; წვერი — სხივი ქვეით კოცნა, მზისა წვერვა — შესაძლოა ორგვარი გაგება. 1. მინაზე დაფენილი მზის სხივის კოცნა მზისადმი თაყვანისცემის გამოსახატავად (გ. არაბული); 2. ძველად ფართოდ გავრცელებული რიტუალის აღსრულება — საკუთარის ხელის ზურგის კოცნა ამომავალი მზის თაყვანების ნიშნად.

[მეოთხე ტაეპი] თუ მეახლო — თუ შენთან ვიქნები ვა — ტანჯვის გამომხატველი შორისდედული

რა მოგშორდე — რომ მოგშორდები.“ ძნელი სათქმელია, რით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ გამოცემულმა სწორედ მეორე ტაეპის განმარტებას დაუთმო ყველაზე ნაკლები ადგილი და არც სტროფის საერთო შინაარსის საკუთარი განმარტება მოგვცა: იმიტომ, რომ ყველაფერი ნათელი იქნება, თუ საკუთარი მოსაზრებებისაგან თავი შეიკავა?

ვიდრე ტაეპის ჩემულ განმარტებებს წარმოვადგენდე, მოვიტან მკვლევარ გ. არაბულის მოსაზრებას:

ავტორი წერს: „მეორე ტაეპის პირდაპირ შინაარსს თ. ბაგრატიონი ასე ხსნის: „ცუდი არის დამზარალისა გასათობად წყლისა ბერვა — ეს ამას ნიშნავს: შეციებულმან და დამზარალმან კაცმან წყალსა და ყინულს ბერვა დაუწყოს, ვერც იმით ცეცხლს აანთებს და ვერც გათბება...“ ასე ესმოდა კ. ჭიჭინაძესაც: „დამზარალი ავთანდილი ვერ გათბება, როცა იგი ცეცხლის მაგიერ სულს უბერავს წყალს (იგულისხმება თინათინის გულგრილობა)“.

ეს გაგება გამოვლინდა პეტრენკოსეულ თარგმანშიც:

„xღi á çàl áðòç ài ói òi ðáðúrŷ, áòúŷ i á ãi áò òi éèò i àò!“

ევროპულ ენებზე თარგმანებიდან ორიგინალთან სიახლოვეთა და სიზუსტით გამოირჩევა უორდროპის პროზაული თარგმანი ინგლისურ ენაზე (დაიბეჭდა ლონდონში 1912 წელს). აქაც გაყინული კაცია, რომელიც ამაოდ უბერავს წყალს.

ასეა სხვა რუსთველოლოგებთანაც: „ცუდი არის, ამაოა, როცა დამზარალი, ანუ გაყინული, მეტად შეციებული, გასათობად წყალს სულის ბერვას დაუწყებს“ (ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება — ა.ფ.) ასევე ესმით ვ. ბერიძესა და ვ. ურუშაძეს“.

გ. არაბულის აზრით, „აქ მოტანილ კომენტარებსა და თარგმანებში სწორად არის გადმოცემული ტაეპის შინაარსი“.

შემდეგ ავტორი განიხილავს ა. ცაგარლის, შ. ნუცუბიძის, კ. ბალმონტის, ნ. ზაბოლოცკისა და ს. ნულაძის თარგმანებს, რომლებიც მეტისმეტად შორდებიან დედნის აზრს, ამიტომაც მათზე აღარ შეგჩერდებით. სამართლიანად იწუნებს გ. არაბული ს. იორდანიშვილის პნკარედში მოცემულ თარგმანსაც („Áññi í èàçi í áòúŷ i á çàl áðòç ób ãi áò òi ðáèúþ ñi ðáðúrŷ á.“). იმ მოტივით, რომ რუსთაველთან ლაპარაკია არა „დამზარალ წყალზე“ — ასეთი გამოთქმა ქართულში საერთოდ არა გვაქვს, არამედ „დამზარალისა“ გასათობად წყლის ბერვაზე.

გ. არაბულმა იცის: „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის კომისიის მთავარმა რედაქციამ გაიზიარა გაგება, რომ ამ სტრიქონში პირდაპირი გაზრით საუბარია დამზარალი ადამიანის გათობაზე“, თუმცა რატომღაც კომისიის განმარტებების ტექსტის ციტირებას გვერდი აუარა.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის დასკვნით სტროფის შინაარსი ასეთია: შენთან ყოფნით ჭირი მოვიმატე (შვიდ ჭირს მერვე დაეურთე); ამაოა დამზარალის გასათობად (ცეცხლის მაგიერ) წყლისთვის ბერვა; ფუჭია სიყვარული, ქვემოდან კოცნა და მზის წვერვა (მზის ვერ მინდენა); თუ შენთან ვიქნები, მწუხარებაა ჩემთვის, თუ გავშორდები, მწუხარება გაათასკეცდება.“

ერთი სიტყვით, მეცნიერ-კომენტატორებისა და ერთი წყება მთარგმნელების აზრით, რუსთაველი გვასწავლის, რომ ცეცხლის მაგიერ წყალს ბერვა არ დაუნწყვრ გაათობათო!

თუმცა ვერაფრით გამიგია, რა საფუძველი გვაქვს გენიალურ პოეტს ასეთი „აზრები“ მივანეროთ? „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ნორმალური ადამიანებისათვის იწერებოდა და ღანა შეიძლება წარმოვიდგინოთ ნორმალური ადამიანი, რომლის წინაშეც ყინვისაგან დამზარალი კაცი (ან თავად დამზარალი) გასათობად ცეცხლის მაგიერ წყალს უბერავდეს? ისიც არ ვიკითხოთ, რისთვის დასჭირდა რუსთაველს, რბილად რომ ვთქვათ, ასეთი უაზრობა იქ, სადაც არც დამზარალ კაცსა და არც საბერავად გამზადებულ წყალს არა ესაქმებოდა რა?

ამკარაა, ტაეპში ჩადებული აზრი ბუნდოვანი სტროფის საერთო, ზოგადი შინაარსის გახსნას ემსახურება და ამიტომაც ტაეპისა და მთელი სტროფის შინაარსის დადგენის ცდისას უპირველესად უნდა მივმართოთ იმ სტრიქონს, რომლის აზრიც მეტ-ნაკლებად ნათელია.

ვისაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე უმუშავებია, მან იცის, რომ, როცა სტროფს აფორისტული გამოთქმის, იდიომის ან ანდაზის მოვალეობა ექისრება, მთელი სტროფის აზრის გასაღები, სტროფის აზრობრივი საყრდენი ერთ რომელიმე ტაეპზე მოდის. ეს ტაეპი ან პირველია, ან — მეოთხე. ამ ტაეპის ლოგიკური წყობა და ფორმალური სამოსელი სავადდებულთა სხვა ტაეპებისათვის. იგი ნამყვანის როლს ასრულებს, ამიტომაც მთელი სტროფის შინაარსისა და ფორმალური წყობის საიდუმლოს ამოსაცნობად ამ ტაეპის პროფილი ყველაზე უკეთესი ორიენტორია.

ჩვენს შემთხვევაში საყრდენი ტაეპი პირველია. იქ ნათქვამია, რომ შენთან ყოფნამ მე ამ სამი წლის განმავლობაში ნახულ ტანჯვაზე უფრო მეტი ტანჯვა დამირთო — შეიძს კიდევ რვა დაემატა და არა „მერვე“, ე.ი. არა ერთით მეტი, როგორც ამას მთავარი რედაქცია ფიქრობს.

თუმცა ერთი შეხედვით, გასაკვირია, რატომ უნდა ყოფილიყო ავთანდილისათვის თინათინთან ყოფნა უფრო დიდი ტანჯვა? განა პირუკუ არ იყო მოსალოდნელი? ასეც იქნებოდა, ავთანდილი პირობის თანახმად ტარიელის დასახმარებლად რომ არ ბრუნდებოდა და ამჯერად სრულიად გაურკვეველი დროით რომ არ ტოვებდეს თინათინს.

მაშასადამე, ტაეპის აზრი მოულოდნელი ლოგიკური დასკვნის პრინციპს ემყარება. პირველი ტაეპის აზრის თქმა ასე შეიძლებოდა: მართალია, შენთან ვარ და ყოველგვარი ტანჯვა უნდა დამეინყებოდა, მაგრამ ჭირი არათუ გამიქარწყლდა, არამედ გამიმრავლდა კიდევც.

რადგან საყრდენი ტაეპი ასეთი მოულოდნელი ლოგიკური დასკვნის პრინციპით აიგო, როცა მოსალოდნელი დადებითი ემოციების მაგიერ გამირევი უარყოფითი ემოციებს მოუცავთ, საფიქრებელია, შემდგომი ტაეპებიც ამ პრინციპს დაემყარება.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარმა რედაქციამ და ისიც მოულოდნელ ლოგიკურ დასკვნას იძლევა: დამზარალის გასათობად (ცეცხლის მაგიერ) წყლის ბერვა ამაო საქმეა.

აქ გარეგნულად ყველაფერი რიგზეა: ცეცხლის გაღვივების მიზნით წყლისთვის ბერვა მართლაც ლოგიკური მოულოდნელობა და ფუჭი გულმოდგინებაა, მაგრამ სადაა ნამდვილი მოულოდნელობის ეფექტი? განა ვინმე ჭკუათამყოფელი ასე მოიქცევა? მოულოდნელობის ეფექტი სახეზე მაშინ იქნებოდა, ასე რომ ძალიან ხშირად იქცეოდნენ: არ ესმოდე რაღაც საიდუმლო, რომლის უცოდინრობის გამო, და სწორხაზობრივი მსჯელობის შედეგად, შეცდომას უშვებენ და ხშირად სასაცილო მდგომარეობაშიც აღმოჩნდებიან ხოლმე. ამ გამოთქმის მიღმა მართლაც იმაღლება ცხოვრებისეული საიდუმლო, რაც ბრწყინვალედ იცის გენიალურმა პოეტმა.

მამ ასე: კაცი დამზარალია და მისი გათობაა საჭირო. ავტორი ამბობს: ამ დროს ცუდია (არ ვარგა, არ შეიძლება) წყლის ბერვაო.

ცხადზე ცხადია, უპირველესად უნდა დაისვას კითხვა: რა შუაშია „წყლის ბერვა“, ან საერთოდ უბერავენ თუ არა წყალს, და, თუ უბერავენ, რისთვის, რა შემთხვევაში?

ადამიანები წყალს მართლაც უბერავენ, მაგრამ არა მისი გათობის მიზნით, არამედ გასაცივებლად. მაშასადამე „წყლის ბერვა“ ცხელ წყალს გულისხმობს.

ვგონებ, დაბურდული ძაფის წვერი ხელთა გვაქვს, ამოცანის გადაწყვეტისათვის საწყისი მოცემულობა ნაპოვნია: კაცი დამზარალია, გათობა ესაჭიროება.

მას ეუბნებიან, წყალს ნუ უბერავთო. საფიქრალია, სწორედ ცხელ წყალთან უნდა გვექონდეს საქმე, მით უფრო, რომ გაცივებული ადამიანის გასათობად ცეცხლთან ერთად და მასზე უპირველეს სწორედ ცხელი წყლით „დათბილვას“ მიმართავენ...

მაგრამ აქ წამოიჭრება მეორე საკითხი: რა ვუყოთ რუსთველურ პოეტურ მეტყველებას? ჩვენ ხომ ვიცით, რომ სტროფის აზრი მოულოდნელი ლოგიკური დასკვნის ეფექტს ეყრდნობა. თუ „წყლის ბერვაში“ ცხელი წყლის ხმარება იგულისხმება. სადაა მოულოდნელობის ეფექტი? თუ კაცი გაცივებულია, დამზარალია, ხომ სწორედ ცხელი წყალი იქნებოდა მისწრება მის გასათობად? მაგრამ მთავარი ისაა, ეს ცხელი წყალი „ცუდიაო“, ამბობს ავტორი. რატომ?

მართლაც რომ ცუდია და ძალის თავიც სწორედ აქაა დამარხული. ვისაც ბავშვობაში შიმშილი ხელეშით თოვლში ჩაფულული შემემა, ჩაღა, თუ მსგავსი რამ ამოუნყვია, ან ბაბბის თხელ წინდებიან ფეხებზე წამოცმული რეზინისძირიანი წალბით თოვლ-ჭყაპში კილომეტრები გაუვლია, მერე ფარდალალა ოთახში სასკოლო მერხს მისჯდომია (ოთახს კი შორეულ კუთხეში მიყუჟულ ბუხარში ლეჟერა (ნახევრად ნედლი) თხმევის მბუჭტავი ცეცხლი „ათობობდა“, იგი გაიგებს, რას ნიშნავს, ხელეებისა და ფეხების, (უფრო სწორედ, ხელებისა და ფეხის თითების) დაზრობა. თუმცა იმ ენობრივ არეალში, სადაც მე ეს გამოცდილება მიმიღია, სიტყვა „დაზრო-დასასრული მე-16 გვერდზე

დასაწყისი №60-69

და, გაეღიმა, თავის თავზე, კი, და წაქცეულ ხეთ ნაჯახითა და ხერხით მიადგა, შრომობდა ნოე, შრომასნაჩვევი და სამმაგი ძალა თან სხვისეული და თან თავისი უადვილებდა ტოტების სხეპას, ჩეხვას, დახერხვასა და გამალაშინებას იმ ხეებისა რომლებიც უნდა გამხდარიყვნენ ორმოცდაათ, ოცდაათ და სამას ოცდაათ წყრთად, და პირველი ხე რომ ამა-ნიშნებით რო-დაახარისხა – მაშინ დიდები, ძალიან უფრო მაღლები და სქლები იყო სუყველაფერი — ადამიანებს, გარდა და შემართა ნოემ ნაჯახი მეორეზე და ისიც ასე-ამდენივე წყრთაებად დაჰყო და განიშხადა და მეორეც ღამით ურთხელებთან მთლად-განუწყვეტილი ნაშრომ ნოეს თან ეძინაც და არ ეძინაც და რის სიზმარი, ფიქრითაც კი ვერა ჰფიქრობდა რადგან ძალიან შორით და ისე ახლოს თავთ ადგა ღმერთი და მესამე დღეს მესამე ურთხელიც რომ განიშხადა და მსხვილ თუ წვრილ მორეზად და ძელებად და ლატანებად და ლარტყებად საკიდობანე სახურავისა და ფსკერის და საიატაკე ფიცრებისად, რადგან, იმ ნაკარნახევ და მერე ვისგან-კიდობანს შიგანში სამი სართული უნდა ჰქონოდა და აქ კი დაფიქრდა, ნოე, რადგან ურთხელის იმ გაალმასებული ნაჯახით მოჭრას ბევრი-იმდენი რა უნდოდა, აეს დაჭედება კი ფიცრებისა, ლურსმნების ჭედვა ნაილებდა რამდენადმეტს, ვრცლად-აურაცხელ, დროს, მაგრამ ურთხელი აკი ხე იყო ფისის მდნობელი, გამომყოფი იმ ნებოვნების რომელიცა რომ ჯერ თითქოს ბლანტეზე ბლანტე, მერე ჰაერზე როგორ რომ ძლიერ მაგრდებოდა და მის ნებოვან წვენს ეს წინვოვანი ხე, ურთხელი როგორ რა-მრავლად გამოჰყოფდა და ნოემ უარ-ჰყო საკიდობანოდ ლურსმნები და საკიბო მასალა ფისით რომ გაჟღინთა, აცალა, ერთხანს და მერე კიბე აწონა რადგან ოცდაათსა-წყრთა სიმადლეზე ბევრჯერ მოუწევდა ასვლა და ჩასვლა და დაუღალავად შრომობდა ნოე, რადგან



კაცი, სახელად ნოე

როდესაც გადმოგვცემს ღმერთის ნებას და მისი ნების ამ მშვიდ, მორჩილ აღსრულებას) ნოესთვის იყო მისი რწმენის საფუძვლიანი გამოცდა. მის გარშემო იყო ზნედაცემული მსოფლიო, რომელიც სრულიად უდრტივინველად გრძნობდა თავს მომავალთან მიმართებაში [მათე XXIV, 37-38: „ვითარცა-იგი დღეთა, მათ ნოევს-თა... რამეთუ ვითარცა იყვნეს დღეთა მათ შინა პირველ (! — პირველ!) წყლით რღუნისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედ-მდე, ვიდრემდე შევიდა ნოე კიდობანად“]. „მსოფლიო, რომელიც დასცინოდა და ლანძღავდა მთელი იმ წლების განმავლობაში, როდესაც იგი აშენებდა კიდობანს“

მაგრამ ნოესთვის მესამე დღეს აშენდა კიდობანი ვინ იცის როგორ-ხანგრძლივი შრომით რადგანაც ღვთისა ხატების მსგავსი იყო ნოე ხოლო ღმერთმა რომ „ექვს დღეში შექმნა სამყარო“, და „გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მორთულობით... ანუ ცა და მიწა მთელი მათი შემადგენლობით“ —

დიდი და მცირე სულიერებით, როგორ ძალიან სხვადასხვაგვარნი, განსხვავებულები ისე ძალიან რომ... როგორიცაა ვეშაპი და კოლო და მერე თვით ორი ადამიანი და ღმერთის ის დღენი კი ვინ იცის რაოდენ-დიდძალ წელიწადებებს გრძელდებოდა და კიდობანის შენებაც რა-ხანგრძლივი იყო ხოლო სიცოცხლის ის 777 წელი კი, ეგრეთწოდებული „ქარგი დროსტარებებისა“ — და-მიუხედავად როგორ თვალსა და ხელს შუა გაუფრინდა მეთუშალახოვიჩს-ლაამექს და ატლანტიდებლებიც ახლა თუროგორ ძაან დასცი-ნოდნენ ნოეს მაგრამ მთლად სულაც ვერა ხვდებოდნენ კიდობანსა და მის არსსა და მამით-აზრს რადგან თვალები თუმცა ეს-ხათ და აჯდათ მაგრამ ვერ ხედიდნენ მთლადაც ვერას გარდა „სარგებელი“სა ხოლო მადლობის ძალისაებრ შემწირველი კი? —

„ამიტომ ნოე მისი აზრითა და სულით მომავალში უნდა გადასახლებულიყო და სწორედ ეს რწმენა, რომელმაც იგი დაღუპვას გადაარჩინა, იყო უდიდესი დამსახურება მისი სულიერი ცხოვრებისათვის და იქცა ადამიანის სულის იმ მდგომარეობის გამოხატვად, როდესაც იგი მარადიული დაღუპვისაგან გადარჩენას ცდილობს რწმენით — წმიდა ნათლობით“

ანუ რალა თქმა უნდა წყალში, წყალთა-გან რადგან ნათლობა თვითღვთივ ნა-კურთხ წყალში, ხდება

მაგრამ იმ კიდობანს, უუზარმაზარესს, ადამიანისათვის, მაინც რა დასძრავდა და უმწეოდ ძალიან ჯერ, შესცქეროდა თავის სა-სახ-ლეს, ნოე, და, იფიქრა-რა ბევრი თუ ცოტა მხოლოდ მან იცის და მისმა ღმერთმა გინ-დაც ახლაც, ეს, და, მერე კი მტკიცედ მივი-და იმ ფისით შეკრულ კიდობანთან სახურ-ავი რომ ოდნე დახრილი ჰქონდა და ყვე-ლა ესენიც მჭიდროდ შებოჭილი როგორც ყველა და ყველაფერი ნებოვანებით, მოწ-ითანო ხის

და, ხელისგულები, იმ-ალს ხვედრილით მიაღი ნოემ ღვთით მის კიდობანს და დაიძრა, ნელა, კიდობანი, თან თავდაღმართი იყო კორომებიდან ოკეანისაკენ, თუნდაც მცირედი და, დიდ-დიდ დიადთა წყალთაგანებისაკენ გადა-სარჩენად მიწაზე მძიმედ ჩაუყრავდნენ კიდობანი და მის-უკან — ნოე, და ღამე იდგა დღე-ღამე როგორ გაერთიანებულ-სა და უმოწყალოდ შეთქვეფილსა ატლან-ტიდამი რადგანაც ახლა დღისით-მზისი-თაც როგორ თამამად და უზრუნველად სწადიოდნენ რასაც ცოტათი ადრე ბნელ-ღამეობით ბედავდნენ, მხოლოდ,

და, ის მესამე ღამე ოკეანისპირს ეძინა, ნოეს, წყალთაპირისა კიდურ-ნაპირზე როგორ ყუჩად მდგარ და მთლად ღონივრულ კიდობანთან

რადგან ღმერთმა თუმც უთხრა რომ შვიდ დღეში მოავლენდა წარლენას მაგრამ მთელ სამ დღეს გახვეებული იდგა ნოე, და მერეღა კი ამ ღვთისმიერი უგონობით სწორედაც-რომ მოეგო ვრცელ სურვილ-სა და, გონს, და სამ უგრძელეს დღეს იმ-უშავა, ღვთით,

და მეშვიდე დღის დასაწყისამდე რომ ჩააცურა ღამებნელში აის თავისი კი-დობანი, და,

ხოლო როდესაც ინება... არა, მყარად დაკანონებულ წესისამებრ გათენდა და წამოდგა ნოე, მღელვარი და შემოჯარა, კიდობანს, ხალხი (რა ბევრგვარია...), მისი თითო-კინკილა წვერთაგანიც კი, ხოლო თავიდან

და სუპირველად აღთადაბალთა გად-აბმულები მიჩაქჩაქდნენ მოგებსენებათ ერთიმეორის მიშით ყველაზე ადრე სწორედ ისინი მიიღტვოდნენ როგორსა-

ძულველ ერთმანეთისაკენ, მერე იშაკ-ილ თავის მკვიდრ მამიდებთან თუ დეიდებთან, მერე — ალხანა და ჩალხანაც რომ ძალიანაც მიემატათ მათი ხალხისადმი არ-ჩამორჩობილობით და გაბევრდა ძაან კერ-პებთ-ხალხი და ამიტომაც თითანებ-ფრთხ-ილებ ეს ალხანაც და ეს ჩალხანაც ცო-ტათიუმფრო შორიახლოსა განზედ გად-გნენ რადგან თახსირად თახსირ-სამართ-ლის-დამცავებმა ეჭვი აიღეს შეთქმულე-ბა-რამ და ბუნტიცკი ხოარ ხდებოა მა-გრამ, დაინახეს-რა, კიდობანი? —

აჰჰ როგორ-ძაან სიცილ-ხარხარად დავარდნილები შეჰყურებდნენ ნოეს ნახ-ელავს... — ღვთით.; აისეთი რამ ხორხოცი ედგათ რომ თვით იშაკ-ი-დომბასაც კი გამოეღვინდა თუმც დილის ძილი შუშ-უნებზედაც მაგრა უყვარდა და იმდენი რომ დასამძიმებლადმდე დასამძიმებელი ჭოტო-კვერცხებიცა არამცთუ ნავახმშეეს არამედ შუა ძილისასაც კი ბლომა-ქონდა ნაჭამი ნახევრადმძინარ თვალედახუ-ჭულს და სიზმარშიდაც კიმიირთმევედა და აი ასე თან რომ ეძინა სამ საქმეს ერთად აკეთებდა და სწადიოდა ნოლას და სუნთქ-ვას თუ სულაც არ ჩავთვლით ხოლო გული კი თავისთვის ცემდა პულსირებული და თან მზეც მიადგა და დილაადრიანვე ძალიან ჩამოცხა ატლანტიდამი „ხოხო რას აჭერს ეს შობელძალი“ — გაიფიქრა რიქმამ იმ მზეზე რომელი მზეც-რომ ძაან აშრობდა მთელ კიდობანს და კიდევ მეტად მკვრივდებოდა, და შეიფისა ურთხელში ნებო და სრა-სასახლის ერთ-ერთ ბალკომ-ზე გამოვიდა და, გაიხედა-რა ხალხის გინასზე.

ხოლოკი ხალხი რომელიც ბევრგვარია და იმათ შორის კი ატლანტიდებელი ერთ-გვარნი, იყვნენ, ელმიჭებოდნენ და ეყაყანე-ბოდნენ ნოეს და ერთ ყოფაში იყვნენ, მარ-თლა, ასეც და ისეც, და რამდენადაც კი ეს შეუჩერებელი ატეხილი აეს ხარხარი და რისა აღარ ნახანი და დამღეჭავი კბილებ-ისკრეჭა ათახთახებდათ და დაოსდნენ მაინც რაგინდ იმგულმოგებულები და, ვე-ლარ ითქვამდნენ სასუნთქავ სულს თორემ მთავარი სული სადღა ჰქონდათ, მიმო-დაკარგოდათ შუქს, შივ და, მუდმივს ბნელ-ში, და რამდენადაც კი გადაბჭირება-ეს ნებას აძლევდათ ძაან წვევტილად შეჰკიპ-კიპებდნენ ნიაგ-ნიაგით ნოეს ასე:

„აა...გე ბიჭო... კიდო...ბანი?... მაინც საი-თკენ გაგა...ნევი... შე ბე...დო...ვლათო ვაჰ-ხა... ხა-ხა-ჰხა!“

„ვაჰხ... ეს რამო-...დონა სასახ...ლედ კუბო აგი...გია...“

„ის არ გერ...ჩივნა... დიად პადრ...ეს...თვის დედა...ლი...მამა...ლი ყლორტ...ები გეკრ...კრ...იფნა...ბიჭო...“

კიტრიკიკი კი, ნუმერ II კაცი სრული-ადურის ატლანტიდისა, აჰყვა აიმათ, უბრალოებს და არა-სიმაღლით რამდენად დაბლებს, მასზე:

„შეჩემანალავ სუ დაგლახავი? რამ გადაგრა კიდევაც მეტად შე სახინარო და მთლადაც პირველ-ხარისხის ინვალი-დიზაცია“ — იცოდა, მანაც, თავის-დომბათი ენად-მუზიკაც მაგრამ ეუბნებოდა ვინ, ვის, ამას და ამ-რას-ს, და აიყოლია კიდევ ხალხი „სახინარი“სა შესატყვისებში და

„გონჯოგონჯო“, — ეძახდნენ ნოეს, „უშნოვ, მახინჯოო“, „შე მაჯალაჯუნაა“, „ჯოჯოო, ჯოჯოოო“, და, ჩალხანამაც კი შესძახა ოლონდაც ჩუ-მათ და ძაან იმგულში:

„შე...მანი...მახო“...

ხოლო ალხანას კრინტიც კი არა-დას-ცდენია-რა და იდგა ასე ხმაგაკმენდლი რადგან ვინ იცის ეგებ როგორი-ხიმან-კალაობისათვის აგებულ-იყო ღამლამობი-თა ეგებ ფარული-მუშახელით სამართალ-მკაცრა-დამცველებისაგან მითრეულებით და იდგნენ ასე, პირებმომუნულები, ვაჰთუ საეჭვო დიდ-საფრთხისაგან? — გან-ზე

ხოლოკი იშაკამ, რიქმად ჩასულმა „ხალხში ყოფნითა“ ასამაღლებლად, გრა-მაფონცმცოდნემ, რგვალთავითა, თვით იმ გაბიჯგულ წინაურულა-სხარტ-ბო-თეებისაც, სათაყვანისა-სამცემლოებლეს-საცკი კი-შეჰტუქსა მცირედულივით-რამ საყვედური ის, რომ —

„როგორ გვესვა ეს იმდენხანსა თვით ატლანტიდა-შენიერისა თანაც გრანდ-პადრედ თვით ჩემამდე რას უყურებდით იმდენხანსა ჩვენოკერპებო ეე კერპიკოე-ბო ჰაა?“

და, დააყოლაც, ჩალაპარაკებით: „ვინ მოცილიმა-იმ და ფუქსავატებმა ჩამოახოხილაოვებებს ეს სიმახინჯე-ამო-

დონა თვით უღიადეს პოსეიდონის ნაპირებამდისინა ალბათ ფსკერი აქს დახვრეტილები და ფეხები თუ ჩაყვეს იმეებში მაგრამ ტალღებისა-პირს რა უნდაა ემქობს მეი მაგისი ქობია აბა მა ჩემფეხებია თითან ნაჩაღნიკ-პოსეიდონის ამისი-დიდო წყლებთანა დღენგრძელი ინყვოს მიდიაურ და თევზებმრავალა დიმიპიტაურულ-დამპიტაურულ პონსეიდონიც, დემონსკრატიაც, ხოლოკი ამ ამდენისა ფიცრებისა ასე სახალხოვდ ნართმევა მაინც არ შეიძლება და რახან ფსკერი გახვრეტილებ-აქვს აქვე ახლოს ჩაიძირება და ძანაც რო ამოიხრჩვევა ჩემხალხს ამოვაზიდინებ და კაირამ-სარგებელსაც ვნახამ ემ ფიცრებითა სპასაპტელებიზა მისასყინონა და ამა აზრმა იმდენადა აღაფრთოვანა რო ერთ-ერთ სამართალდამცავსათაგან ერთსაცპიურისტს გასძახა, ასე: „ბიჭო ჰარეგინ ჰარეგინა თუ რა-ლაცაგქვია ჰამურაბისტო შენ აბა ახლავე მომირბენიე და მამიტანე ერთი მოზრდილა დოლივით გარშოკი (ინსტრუმენტების ცოდნითაა, არ გავუჭირვეთ, საქმედელი?)“ და, გაიფიქრაც, აბა მარტო-ერთ საქმეს-მხოლოდს აბა როდის იყო როაკეთებდა: „ის ბოლო თობი კრუჟა ამ დილაადრიან ეგება არუნდ დამელივინა“ — თავაღუჭებითა და ქერთანაყვითა გაბერელიყო, გაფხორვილ-იყო რიქშულსა, გზაში,

და იმ თავისსა ნაფისიფისისარზე ისი გარშოკი იქვე მინაზე მიაქცია და, გაიბადრა, კვლავ, გახსენებაზე იმ — რა მშვენიერი აზრია აკი: დავანგრევივინებ ამ რალაც-ფიტულას ძანაც კარგა რო ძან დიდსა და ჰხო-ხოოო, რა საღეჭავთშიც და სასუსნავშიც ამჩემ გადასაყლაპავებში გადაცვლევინებ იქამდინა რომ მინამ ესი-ჩემისგან გამონადენი მალალი ჰმარდი შემრებოდეს იქამდისინაც-კი ჩემსა ერთგულსა რახსთვალემა ქურუმსა-ჩემსა იმჩემისასის მინისქვეშეთებით ჰინდოსტანისადაპაკისტანისამდენაც თვით ჰინდუკუშის მთებები რო დგა... — სადაც-რო ერთხელ მინისქვეშეთით ჩუმ-ჩუმად იყო ნამყოფი იქა და იქაურულ გამოსახულებათაგან კი ერთ-ერთი, სვასტის-ჩამსესხებელი, ძალიან ძრიალ მოეწონა (და რომელსაცა გამოსახულებასაც მოგვიანებით თვით მიკლგრუბერმა „კა“ დაუმატა მოფერებითულ-თაყვანისმცემლურ-პატი-ვისცემით და „სვასტიკა“ რომ უწოდა, კი,) და ემ რიქშამ კი ჩაძირული კიდობანისა დემონსკრატული-კონ(ნ)ფის-კაციისათვის აღსრულებისათვის განიშხადავა თავი ხალხი-ზრუნვითვის, მითო, ვითოთავი და აქამდისინაც მიტო აცალა რო როგო-ადვილად დაშლილ-კიდობნის (ისემც... მაგრამ ეს „ისემც“ და „ბუზიკაი იცოდა“ ძან მეტად გვააქვს მაგრამ რავუყოთ, საჭირო არი...) ფიცრებს რაკარქ ყლორტებში დააცვლევინებდა, რახსს, ხოლო როგორსა ქვემოზე ხალხსა ქვემდებარეთა იმა-ხალხისა-მიერი როარ ჰგონიყო? — თითან იგივე ესი გრანდ-პადრე, ვირის ტაჭკამი გადანყვიტა თავმდაბლურ-ავტოდ შებმა თვით დომბამ ეს და რო მოირგო ვირისიული, ავეურები? — რა დაინახა, — ცოტათი შეცბა და ეს ვინ მერე — თითანთვით პადრე, ეს ვირისც ვერშვილი-ის ხოლო

პირუტყვები კი — შინაურიც და გარეულიც, მოდიოდნენ წყვილ-წყვილად, ნელა, გვერდიგვერდობით და ამა-პადრემ, ერთხანს როგო ძანაც განცვიფრებულმა მერეკლ მხიარულადაც კი გაფიქრავინა და დაანყო მერე სათქმელი და თქვა: — „ეპირუტყვები ამპირუტყვთან მოვლენ აბა არ მოვლენ?, აბა რა იქნება“ — რადგანაც ნოეს არამცთო ისი-რიქში და რადაცისშვილი არამედ სხვებიც, უკლებლობით ანუ მთელი ისხალხი პირ-უტყვად თვლიდა რადგან ულაპარაკებიანო კაცი-ვინმ იყო, ნოე, ჰო-სა და არა-ს თუ იტყოდა და მხოლოდ ძალიან ხანდახან-ისიც, ამასლა, იგი, მაგრამ შედიოდნენ და შედიოდნენ პირუტყვები კიდობანის ზღურბლთან მიდებულ ხისავე ხიდი-ამაღლებულზე, ოდნავ, და, დაყოლა, დასაკონფისკაციოემ, საკონსფისკაციოესადმი, ოლონდაც ჩუმ-წყნარ აღელებით: — იმასაც ვნახამ, ემ ხარახურას და შენ-სეხნიებ პირუტყვებსა აბა როგორლა გამაიყენებ, ყელზე არ დაგადგეს, საყლაპავში არ გაგეჩხიროს ე-ამდენი რამ, არ შეგერგება ბებიაშენისამ... უხსენა, დიდდო... და როგორ, მერე. და თანაც, როდის. მოქუფრულიყო იქაურობა, ძალზე. უშველებელურად. და, დააყ-

ოლაც, ნოეს მომხრეთა დადგენისათვის: — ვინ დაგეხმარა. — არავინ. — აჰა. მარტომ ააგე ეს ზედახორა? — კი. ათვალეირა. ... და, — ჩემსეფე დიად პადრესაკენ ტყუილი როარ შეიძლება არ იცი, ესი? დეშდა, ეს-ნოე. ხოლო დომბამ კი გადასწყვიტა: — დასადგენია. დაადგენდა, კი, — მოქუფრულიყო, როგორ მთლადძალიანზე მეტად უფრო ძალიან მოშავებდებულიყო, ყოფილი ცა. და, ვაითუ რომ, დასველებულიყო, შეაფრიალა ამის ერთი გაფიქრებითაც კი, პადრეს, და, როგორ-სათუო მოზუნტეთა გამოსავლენად და დასადგენად — „სიფრთხილეს თავი არ სტიკივო“, რომელიდაცა საკრავისებურად ცოტაც-ნასტყვით გაიფიქრვა და, კიტრიკიკოს: — შემომიარე. ერთ-ორ საათში, — ყლორტებჩასობილ-კიბორჩხალები აჰჰ უცდიდნენ, პადრეს-მადიანს (უცდიდნენ არა ის...)

— აუცილებლად შემოგივლით პადრე-ბატონო და ბატონოვიჩ. შეუვლიდა, კი. და, ისევე გაისმა როგორ მკაფიოდ ოლონდ ეს მხოლოდ ერთ-ნოესათვის: „ყოველი წმიდა პირუტყვისაგან შვიდ-შვიდი წაიყვანე, მამალი და დედალი; უწმინდური პირუტყვისაგან — ორ-ორი, მამალი და დედალი; ცის ფრინველისაგანაც შვიდ-შვიდი და ორ-ორი, მამალი და დედალი, რათა გადარჩეს მათი თესლი მთელ ქვეყანაზე; და“...

„განმარტებანი“? — „რაც შეეხება წმინდა ცხოველების შვიდ-შვიდად წაყვანას, ეს საშუალება იყო მათი უკეთესად შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის წარღვნის შემდეგ, მეორეს მხრივ, შესაძლებელია, რომ ისინი საკვებად უნდა გამოეყენებინათ კიდობანში მყოფ ადამიანებს“, რომლებსაც იქამდე ეკრძალებოდათ ხორცი

და, შედიოდნენ კიდობანში შვლები, ირმები, ბეჭემოთი და ფარშავანი ყველა წყვილ-წყვილად, ძალდა და ღორი და მგლები, თიკნები, ლომი, აფთარი და ძროხა-ხარი და, ცხვრები, კატა, ცხენი და ენოტი და ლოკოკინა და როგორ მარადის თავგასაჭეჭი გველი და, თავვი და ფრინველებიც ოლონდ ნაბიჯით და ნაბიჯ-ნაბიჯ და არა ფრენით თუ სკუპითა, სუსტ ფეხზედ მდგარნი მოაბიჯებდნენ, შეაბიჯებდნენ-ს სჩადიდოდნენ წერო, ბელურები და ქორები და ფეხ-კლანჭ-მაგარი არწივი და მისთანანი და ნიანგები და კოლო, ყველანი წყვილ-წყვილად და ბაყაყები, ჭიამაბა და, გახედა ნოემ, საკიდობანში, ოჯახს თავისს და უცებ გაისმა დაგვიანებულის, ნავიანევის: „ნოე, ნოე“... — ეს კამეჩები ევედრებოდნენ, როგორ ძალიან ღონიერები მაგრამ ზანტნი, ზარმაცნი, მცონარეები დაცდას შესთხოვდნენ მცირედენ ხნით და შეიცადაც, რალა თქმა უნდა, ნოემ, და ბოლოს თავის ცოლ-შვილს რომ გადახედა, — „შედი კიდობანში მთელი შენი სახლი-თუოთ, რადგან მართალ კაცად გიცანი“..., და, შევიდა კიდობანად ნოეს ცოლი და მის კვალდაკვალ სემი, ქამი და იაფეთი და მათიც ცოლები და სანამ ნოე შევიდოდა, იმ კიდობანში, ხალხს გადმოხედა: იდგა, ხალხი. ნოეს დაცინვით ხარხარისაგან დაღმევილები, სახეცშედებდნენ-უსახურები და ვერც შეატყვეს და შეიტყვეს მთ.-პადრესაგან განსხვავებით (ძნელდასადგენი ნოტების გარდა ალლოც რომ ჰქონდა ისემც...) სანამ როგორ-გაუვალ შემდოვრება-კუნაპეტურით ჩამოაბნეულდათ როგორ ძალიან, უძალიანესურ-მოშავებდებულად ჩამომწოლარე ჰაერი უძიძიმესი მანამდისინ კი? — „აჰჰ რა კარგია ცოტათი მაინც რომ მოიღრუბლა... ეგრე რა, კაცო, მთლად არ

დავიწვით ეს კახალხნი, კაცო?“ — ჩიოდნენ, მზისას... ხოლო ნოემაც მანამდე რომ ახედა ცას და, ააქქერდა, — პირველმა იმან დაინახა რომ იქუფრებოდა, და იმთავითვეც სწორედაც ასე გადახედა იმ ატლანტიდას, რომელზედაც რომ... „მოვავლენ წარღვნას დედამინაზე შვიდი დღის შემდეგ“ თქვა თავად ღმერთმა რომ სამიღლის ანუ ბევრი წლის ნინ თუ... — არა, მისი შვიდი დღის ნინა და ჰოიი, როგორ რამიმედ ჩამოღრუბლდა კიარა და, მთლად გაუვალთ-ყოვლად ვაებით იტენებოდა, იტვირთებოდა ატლანტიდის, ცა, — ცა-ატლანტიდურ-მაშინდელი — რადგან ელოდათ... რა და... — რამ-უ-საშველო... და, პირველწვეთები რომ დაეცა ბეჭე-ბზე ნოეს, აიხედა და, წვიმდა, აწვიმდა თავსა და შუბლზე, მკერდზე, მხრებზე აწვიმდა ჯერ მხოლოდ თავსხმა და მხოლოდ თქვეში და: — ჰეე, ერიპაა, — გადახედა ერთმანეთს ხალხმა, საღებავები ვისაც იფად ჰქონდათ ნაყიდი — ჩამორეცხნოდათ, შეძლებულეს კი ჯერაც ისევე იხემც-უმშვენებდათ შუბლ-ცხვირ-პირსა და, ღრანჭს, — კიი შუშხუნა (— შხაპუნას, ნაცვლად...) კიმოგვივიდა მაგრამ ეგება შუამდინარეთშიც და ეგვიპტეშიც და ჰინდუსტანშიც წამოწვიმოს რადგან საჩვენო მოსავლისათვის კარგია ეგა“,

მთელს ქვეყანაზედ წამოწვიმდა კი არა და, დგებოდა ნ ა რ დ ვ ნ ა ხოლო ესენი, საიდანებიდანაც რომ იწყებოდა, ეს, თან მთლად სირბილით გაიკრი-ფნენ ზოგი როგორი და ზოგიც როგორი-თავთავიანთი თავებისა თავმ-ესაფრებისაკენ თავიანთ-ჭკუით, ხოლოკი ნოემ, საკიდობანოემ, მარტოდ შთენილმა იმ თავსხმასა და კუნაპეტში, ჭეჭა-ქუხილსა და კლაკილ ეღვეს და მეხთაბეხაში, როგორ ეუღბოდა შენარჩუნებისა ოლონდ ახლა-დროებით იმ დროებითულ-ატლანტიდასა და კიდობანს შორის, და, კიდობანამდე მყარად მიდო სამი მთავარი თითი ნაციცინათელარებზედ, იმთ ნაკვალევს გადარეცხდა, რა, მხოლოდ უფრო განამტკიცებდა იმ მოსანათლსა, განმბანელი და განსანმენდი, წყალი, და, და შევიდა ნოე, ოთხმაგი შვებით პირ-ჯვარისა მთლად საბოლოოდ გარდასახული, გადასარჩენი, კიდობანში და თუმც კვლავ გახედა მაგრამ სუველარ ხედავდა ახლა იმ ქალაქს იმ დღიურ-დიდბნელში და, გადასარჩენებთან სანამ შევიდოდა ნოე, ისინიც ძლივას მოჩანდნენ იქა მაგრამ გრძნობდა, კი, იქმყოფ სუყოველ-ყოველ სულიერთ, ვისაც და რასაც თვით არსებობის, თავად სიცოცხლის თავგასატანი სული ედგა და, რომ შევიდა, ნოემ კი არა, — „და დაუგმანა მათ კარი უფალმა“.

თავი XIV
გ ა დ ა მ რ ე ნ ე ლ უ რ ს , გ ზ ა დ

ეიძმოდ-პი, გზად? — როგორ არა, კი, კიეთქმოდ. და რა ძნელი იყო, განსაკუთრებით მაინც პირველი, დღე. „ექვსასი წლის იყო ნოე“... ამ ასაკის იყო ნოე წარღვნისას, მისი ვაჟიშვილების ასაკი კი იყო დაახლოებით 100 წელი“, და



თუმც ცოლები უკვე ჰყავდათ ჯერ არ იცოდნენ, ჯერ არა ჰყავდათ შეცნობილი, ქალი. „...და დაუგმანა მათ კარი უფალმა“... ამალელებელი სახეა, რომლის საშუალებითაც ნაწვენებია ღვთის ზრუნვა გადასარჩენ არსებებზე, სახეა, რომელიც არაჩვეულებრივად გადმოგვცემს დალუპვისაგან მათი გადარჩენის მთელ სურათს. ზოგიერთები კი აქ ხედავენ იმის აღგვარებას, რომ უფალი, რომელიც მოთმინებით დიდხანს ელოდა მსოფლიოს მონანიებას, წერტილს უსვამს ამ მოლოდინს და გადასწყვეტს აღასრულოს თავისი მრისხანე განაჩენი პირველი მსოფლიოს დალუპვის შესახებ“.

„პატრონი წამოდგება და დაკეტავს კარს“... და ამით ღმერთი ნოესთანა გარდათათვის მონანიებისაკენ მიმავალ გზას კეტავს — ლუკა XIII, 24-25; 28: 24. ილუანთი შესვლად იწროსა მისგან კარისა. ხოლო გეტყვი თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესვლად და ვერ უძლონ. 25. ვინა[თგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰხმას კარი, გარეშე სდგეთ და იწყით რეკად კარისა და იტყოდით: უფალო, უფალო, განგვიღე ჩუენ! მოგიგოს და გრქუას თქუენ: არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ. 28. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა[კბილთა[რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი (დაუბადებლები, ჯერ! — ასე რომ, ყველას გვხვება კარის დახშობა ეს...) და ყოველი ნინასწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა და თქუენ განსხმულნი გარეშე“.

„ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე“... თუ დღევანდელი განსაკუთრებულად ძლიერი თავსხმა 1-2 საათის განმავლობაში ინვესს წყალდიდობას, და ზოგჯერ ნგრევასაც კი, მაშინ ადვილია იმის წარმოდგენა, თუ წყლის რა მოცულობა უნდა წარმოექმნა თავსხმას, რომელიც 40 დღელამის განმავლობაში გრძელდებოდა. თუ დავუშვებთ იმასაც, რომ დაახლოებით ამდენივე რაოდენობის წყალი ამოედინებოდა მინის ქერქიდან, მივიღებთ უზარმაზარი ზომის ოკეანეს“, ხოლო პირველ დღეს, განსაკუთრებულს, წვეთები — არა, — აუარება დიდკარებიდან, ვრცლადჭურჭლებისა ღვთის, ენარცხებოდა სახურავ-ოდნავდაქანებულ კიდობანს ისეთის რისხვის დატყეხილი რა მძიმე, წყალი, წყალები როგორ უუთვალავი,უ, და მამინდელი შედარებით მცირე ადრინდელ-ოკეანედანაც ამოდიოდა მრისხანე წყალი ოლონდაც განმბანელი, და შესაყუთი-კიდობანისა, რომელიც, „...დედანში ეს „კიდობანი“ აღნიშნულია ტერმინით „ტება“. იგი ერთხელ კიდევ ერთვის ბიბლიაში სიტყვა „კალათს“, რომლის მეშვეობითაც გადარჩა მოსე (გამოსელა, 11,5)“.

მაგრამ თვით მოსეს, თავისი მალალი თავმდაბლობით ხაზგასმით არ მოუხსენებია თავისი ადრეული გადნარჩენა (სწორედ ნოეთი) „დადადება“ში, ეს მხოლოდ მერე, „გამოსელა“ში გვაუწყა რადგან აუცილებელი ყოვლად, იყო, ეს, და იმ თავის გზაზე, თავდასაღწევში, რაოდენ რაძნელ გამოსვლითში არ გაბზარდა მოსეს ღვთით, გული, მხოლოდლა სამჯერ მაგრამ დროებით, ღვთით,

გაგრძელება მე-13 გვერდზე

დეკრისია

მოიკლა თავი,
და რაკი დედა აღარ ჰყავს,
თვითონ იტირა...
...
მოიკლა თავი,
და მკვლელს მერე დაუნყო ძებნა...
...
მოიკლა თავი,
და სატირალში წასვლა დაეზარა...
...
...მოიკლა თავი,
და ქელეხსა და სასაფლაოზე
თავად დაიწყო ზრუნვა...
...
მოიკლა თავი,
და ინანა,
თავი რომ მოიკლა...
...
მოიკლა თავი,
და სახელოვან თვითმკვლელთა სიებში
ვერაფრით ჩაენერა...
...
ბევრი იფიქრა თავის მოკვლაზე,
ლექსიც დაწერა თვითმკვლელებზე,
და მიხვდა – თავი არ უნდა მოეკლა...
...
ზის ახლა,
ჩაის გაციებას ელოდება და
ფიქრობს – გააგრძელოს თუ არა ლექსი... ანუ –

მოიკლას თუ არა თავი თავიდან...

— არ მაინტერესებს, რას იტყვის ჩემზე
ეს სტურუა ან ის სტურუა! —
მე მაინტერესებს, რას იტყვის ჩემზე
ბოლოს და ბოლოს ისტორია!
კორიანტელი ლანძღვა-გინების,
ფურთხება, შმაგი ისტორია
ჩაცხრება წამსვე, თუკი ერთ დღეს
ამას გადაწყვეტს ისტორია!
ყოფნა-არყოფნის თამაშების –
ეს ახლა სწორედ ის ტურია,
როცა დგინდება ბოლო ტექსტი –
რას დანერს ჩემზე ისტორია...

(მეც ვცდები ალბათ – ვერ ვარ ალბათ
ის ტარიელი, ის ტარია!
ისე, მეც მაინტერესებს –
რას იტყვის ჩემზე ისტორია...)

P.S.

ორ უნიჭიერეს სტურუას*
შინ გიჟივით რომ მივუხტი –
რითმის ბრალია, და მათ,
ორივეს, ბოდიშს მოვუხდი...

*დები და მელორ სტურუები.

წუთი გივი გაგაქპორის საფლავთან

როგორც გივი ასვენებდა
სამარეში თავის ვენებს –
დაღლილი და ქანცგაცლილი –
დავენები და დავისვენები!

რომ შემეძლოს? – ჩემს ძმას, გივის –
მის საფლავში გავეცვლები,
და კარგმოკლულ წუთისოფელს
იმ წუთიდან გავეცვლები...

იქ იოლად – რა თქმა უნდა,
იქ იოლად გავა წლები...
რა კარგი იქნება ალბათ,
პრობლემებს რომ გავეცვლები...

გივის ნაცვლად მარმარილოს
ქვაზე ჩემს გვარს დაანერენ.
უფრო ახლოს გავეცნობი
ვილაც მხატვრებს, ვილაც მწერლებს...

აუ, რამდენ ნაძირალას,
რამდენ რეგვენს გავეცვლები!
მაგრამ ვაი, რომ იქაც გყავს
აქაური გარენრები...

ინფანტილური ლექსარომბი

მშვენიერია სამყარო.
მშვენიერია ლამე.
დაბლა – ცისფერი ტაძარი. გვერდით – მზისფერი ჯამე.
მშვენიერია – ქუჩაზე როცა გადადის ქალი!
მშვენიერია – ქუჩაზე ძლივს რომ გადმოდის მთვრალი!
მშვენიერია ზეცაზე ლურჯად გაძრული ლილა!
მშვენიერია სალამო! მშვენიერია დილა!
მშვენიერია ჩაკრული – სამყაროს სადიდებელი!
მშვენიერია თავისთვის მოლაპარაკე დებილი!
მშვენიერია ქალი და
მშვენიერია კაცი და



ტარიელ ქანტურია

წიგნიდან: საიტ.უმლო ბარათი

მშვენიერია მაღალი
და არანაკლებ – დაბალი...
მშვენიერია ძმობილი,
მშვენიერია დობილი,
მშვენიერია უღმერთოც და
მხოლოდ ღმერთს მინდობილიც!

მშვენიერია, ქალბატონს ძუძუს კერტი რომ უჩანს!
არ მოგნონს? ბიჭი ხარს ჭკუას როცა ასწავლის ოჩანს!
მშვენიერია ამქვეყნად ყველაფერი და ყველა!
მშვენიერებას, შვილებო, ამიტომ უნდა შველა!

გაკვირვებული ლექსარომბი

— თავზე მართლა გადაიჯვა?
მაგრამ თავი რომ არ აქვს?

თავზე როგორ გადაიჯვა!
განსაცვიფრებელია!
ამნაირი ყოჩალი და ამნაირი მარჯვე კაცი,
მარჯვე ქალიც, სხვათა შორის,
ახლა ჩვენში ბევრია!

უკან დარჩათ ეჟოვიც და სტალინიც და ლენინიც და
ხრუშჩოვიც და ბრეჟნევიც და ბახჩოცა და ბერიაც! —
ჰქონდა თავი თუ არ ჰქონდა, ყველამ თავზე გადაიჯვა!
როგორ მოახერხეს, არა?
დაუჯერებელია!

შენ რას იტყვი – შენც ფიქრობ, რომ
დაუჯერებელია?!

— საქართველოში, ჩემო კარგო –
თუმც ქალის ციკლი დარჩა ციკლად –
ჯობს, რომ ეს ტემპი არ დავკარგოთ –
შინაბერების რიცხვმა იკლო...

ასეა თურმე ხევესურეთში,
ასეა თურმე ფარსმას, დიკლოს... –
ერთნაირია ეს სურათი –
შინაბერების რიცხვმა იკლო...

გაიღიმებდა ალბათ ქრისტე –
ქალი დაღვრილ სისხლს აღარ იგლოვს!
მადლობა უფალს საჩუქრისთვის –
შინაბერების რიცხვმა იკლო!

ცრუ ტრადიციის ტვირთის თრევა
რას შეაჩერებს ვნების ციკლონს! —
ბიჭთან ერთად ჯობს ღამის თევა... –
შინაბერების რიცხვმა იკლო...

ნეტა მთელი დედამინა
ასე სისხლით არ გველებს!
(ეს ბრალდება, რა თქმა უნდა,
ზოგიერთებს არ გვეხება...).
ამოვიდა უკვე ყელში

სახელოვან მკვლელთა ქება!
(რა თქმა უნდა, ზოგიერთებს
ეს ბრალდებაც არ გვეხება).
ამოვიდა ყელში მდარე
პოლიტიკოსების ყეფა!
(ზოგიერთებს ეს ბრალდება,
რა თქმა უნდა, არ გვეხება).
ქურდებდა და მეფეებდა
ზის ხალხი ამჩემფებდა!
(დიახ, დიახ! ზოგიერთებს
ეს ბრალდებაც არ გვეხება)...
დედამინის მოლაღატეს
უნდა გაეხვირტოს კეფა!
(მადლობა ღმერთს, ეს ბრალდებაც
ზოგიერთებს არ გვეხება)...

სუპერთამაშაპი

მე ისე ვუყურებ იდუმალ სამყაროს,
როგორც ვთქვამ, სამ ტუზთან წაგებულ სამ კაროლს...
ვინ არის მოგებული,
ვინ არის წაგებული –
ეს საიდუმლოა, ვერვისგან გაგებული...
ეს სასწაულია – უფლისგან აგებული!
უფლისთვის – გასაგები,
ჩვენთვის – ვერგაგებული...

ამ დედამინიდან დღესვე რომ აგყაროს,
სად უნდა ვუჩივლოთ იმავე სამყაროს...
სამყაროს – სამ ტუზთან წაგებულ სამ კაროლს...

სამყარო – ქებული...
სამყარო – ძაგებული...
კაროლი სამი –
სამ ტუზთან წაგებული...

მოგებას, წაგებას – უფალი მართავს!
ის მოგვიანებით გაგვიმხელს მართალს –
მხოლოდ მასთან მისულებს გაგვიმხელს მართალს...

— ცვითა და ცვითა, და ბოლოს
სულმა სხეული გაცვითა! —
სხეული, განამებული
შხამით, ეკლით და ქაცვითა...
სხეული თმაგაცვნილი,
დანაოჭებულ ღანვითა...
(რაც თქვენ იმ სხეულს ნექტრები
და საწამლავი ასვითა...)

სულმა სხეული გაცვითა!
სული იცხოვრებს ან ვითა –
სული, რომელმაც იმ სხეულს
შხამი თვითონაც აწვეთა...

— თქვენ სად იყავით – ეს კაცი
ჯვარს რო არასდროს აცვითა...

დღეს შეიძლება 79 წელი
(სათაური ნასესხებია ბაირონისგან)

როგორც თავის დროზე – ნოემ
ანდა თავის დროზე – მოსემ,
წამოვიწყე მეც სიცოცხლის
წელიწადი – მეოთხმოცე...
ვთქვათ – ტატოსთან, ვთქვათ – შელისთან
უნდა შემრცხვეს ამ სიბერის...
ოცდაშვილი ცოტაა და,
რა თქმა უნდა, ასე – ბევრი...
რა ვქნა, ხომ მაქვს მეც რაღაცა –
დასანური... მოსასწრები...
გამოგიტყდე? – მენატრება
ნოესა და მოსეს წლები...

ციკლიდან: სერპენტარში
გავს სიყვარული ზოგჯერ შხამიან სოკოს! —
შეუბრალებლად წამლავს ბიჭსა და გოგოს...

იმ სოკოს მსგავსად – შხამი ხშირად აქვს ლოგოს –
შეუბრალებლად წამლავს ბიჭსა და გოგოს...

ადამიანმა სიცოცხლე უნდა ზოგოს –
უნდა ერიდოს უნდო სიტყვას და სოკოს...

ემონოს სიტყვას, ძუძუც კოცნოს და ლოკოს,
ოღონდ ერიდოს უნდა შხამიან ლოგოს... –
უნდა ერიდოს შხამიან ქალს, კაცს, ლოგოს...

მე შენზეც ვფიქრობ, და შენზეც ვამბობ ამას –
ლამაზად მწარეც, შხამების ანალოგო...

ის...
ათასი დიდი მოგებით
წაშალა კვალი წაგების...
არ უყვარს ჟანრი პასკვილის
და ბრძენთა-ბრძენთა ძაგების!
გახლავთ ოსტატი ოცნების
გამძლე კომპების აგების,
გახლავთ ავტორი მკითხველთა
უსაყვარლესი საგების...

ჩვენს დედამიწას უეცრად
სახურავი რომ გადაძვრეს,
ის შეძლებს, შესაკეთებლად
თვით მეცხრე ცაზე გადაძვრეს –
იქედან დაგვაიმედებს,
პირველად იქედან გადაგვწერს –
ყველაფერს იზამს – სატანამ
ვერ დაგვძალოს და არ დაგვცეს...

სიყვარულის რესურსები,
ყველამ იცის – უღვივია!
ზოგ სიყვარულს ზოგისადმი –
სიბრალულიც ურევია...

არც კი ვიცი, მე რა გითხრა
შენ, ამნაირ ახალგაზრდას! —
ეჭვი მჭამს, რომ სიყვარული
ჩვენი დიდხანს აღარ გასტანს!

გულმა ჩემმა გადანყვიტა –
ბედი ჩემი მოგანება...
რომც განმშორდე – სად წაიღებ
ულამაზეს მოგონებას...

დაქალაქი
— შენ შენმა ქმარმა გილაღატა! —
მე შენთვის არ მილაღატა!
ჩაიცივი! კაი ინგლისური
ოქროსირმული ხალათია!

ფეიცავარ ჩემს შვილს – ძმას შენისას –
მე შენთვის არ მილაღატა!
ამ დილით შენთვის გავამზადე,
ეგერ, სკამთან რომ კალათია!

გასინჯე! მოდი, მოიზომე –
გადასარევი ხალათია!
ჩვენ ახლაც გვიყვარს ერთმანეთი!
ეს წყენა ძალის-ძალათია!

რა გვიან მივხვდი... ახლა ვხვდები –
ცხოვრება თურმე ჯალათია!
შენ მაპატიე, როგორც დამ დას,
რაც ცხოვრებამ არ მაპატია...

დები ვიყავით... ახლა არ ვართ?
შენს მეტი სხვა ვინ მაბადია...
შენ მაპატიო უნდა ის, რაც
დღემდე არავინ მაპატია...

...
რა იყო მაინც ის დუმილი –
ეჭვი? ტკივილი? აპათია?
(ხვალ ეს იქცევა ჭორის თემად:

„არ აპატიე?
აპატიე?“...“

ქვეყანას ჩვენსას ტანჯულს
დღეს ჟამი უდგას გარდატეხის!
პოპულარული სიტყვაც
ერთი გვაქვს ყველას: – გადადექი!
ილია – მამა ჩვენი –
სხვა წყალს არ სვამდა, გარდა თერგის!
ჯერ იმან უთხრა მეფეს
და მეფისნაცვლებს: – გადადექით!
არ დაივიწყოთ, ხალხნო,
ბრძენი წინაპრის ადათები,
და თუ ცუდს გითქვამს გული,
შენც ადექი და... გადადექი!
ვევედროთ უფალს ჩვენსას –
ჩვენს მარადიულ მხსნელს და ქომაგს –
ურჩიოს ამ ქალს, ანდა
სულაც უბრძანოს გადადგომა!

კარგად მახსოვს, ეჭვით შეხვდნენ
ჩემს უმთავრეს არჩევანს:
— არასოდეს არავითარ
პარტიაში არ შევალ!

არც შევსულვარ! ამიტომაც
შემიძულეს, ეტყობა!
სწორედ მაშინ დავეტაკე
ცოფმორეულ ერთ ქოფაკს!

ყოველდღე რომ ათასნაირ
ჯილდოებით იმკობა –
მალე თვითონ თქვენ გაშიფრავთ
დუჟმორეულ იმ ქოფაკს!

ლექსი
მომავალი! კარგი ერთი! —
აი, ახლაც, აი, წელსაც
ყველაფერი ძველებურად
აიმღვრა და აინწა...

ლექსიც იბრძვის! შენსავით აქვს
მოსაგები ლექსს ომები!
გაიმარჯვებს? – გაიმარჯვებს!
ეხსომებათ? – ეხსომები...

დასავლურ-აღმოსავლური ლექსპროზის
90 წლის ჭაბუა ამირეჯიბს

არასოდეს უფიქრია –
იმერი ჯობს? ამერი ჯობს? –
საქართველო ერთი უყვარს
მის უკვდავ შვილს – ამირეჯიბს!

ერთი დიდი რომანის ტვირთს
მისი მხრები კიდევ ასწევს!
ალბათ თვითონ გაოცდება –
ისე დაამრგვალებს ას წელს!

იუმორისკა
გინახავთ ვინმე? – გონკურ-ნობელის
მძიმე სენისგან განკურნებული!
დღესაც რამდენი ვიცით – ნობელზე
გაკეთებული რო აქვთ ნაბული!
რამდენი ვიცით! განა მიღების –
მხოლოდ წარდგენის როა ყაბული!
ასეა თურმე კიოლინიც, მადრიდიც,
ნიცაც, მოსკოვიც, პრალაც, ქაბულიც!

ჯერ ვერვინ ვნახე – გონკურ-ნობელის
მძიმე სენისგან განკურნებული!

შავი ხვრელი — 2
ცრემლი – მისგან დასაღვრელი,
სისხლი – მისთვის დასაღვრელი.
სიყვარული – სხვა სივრცე და
უცნაური შავი ხვრელი...

ასე შორს და ასე ახლოს,
ლამაზი და შიშის მგვრელი,
სიყვარული — ბედისწერა! —
სასწაული – შავი ხვრელი...
მინა – გულზე დასაყრელი
და ცა – გულზე დასახლელი,
სულ ლალატის მოლოდინი –
ზღაპრად თქმული შავი ხვრელი...

საშიში და უხილავი –
ვნება, საფრთხე – შავი ხვრელი...

ვეღრება
არავითარი სიკვდილის ცელი...
არავითარი ის ოთხი ძელი! -
ლმერთო მაღალო, გემუდარები,
გთხოვ, გეაჯები – სულ ოთხი წელი...
ვიცი, ეს შენთვის არ არის ძელი! —
გთხოვ, დამიმატო ეს ოთხი წელი!
მომეცი ხელი... ჰო მართლა, ღმერთო,
ხელი გაქვს? სად გაქვს! მომეცი ხელი...
ვიცი, რომ ჩემზე უკეთესები
ადრე წავიდნენ – პო, ტატო, შელი...
გამონაკლისი დაუშვა იქნებ —
გთხოვ, დამიმატო ეს ოთხი წელი...

უთქმელო... ერთო... შენს დასტურს ველი...
არ არის ბევრი – სულ ოთხი წელი...

ბუსართან
— ბედუკულმართ ამ სანუთროს
ჩვენ ვესტუმრეთ ალბათ ცუდ დროს!
ჯობდა, რამე სხვა გვენახა –
სხვა სიცოცხლე უფრო მყუდრო...
— სულ რომ ვდავობთ და ვკამათობთ,
„არას“ გარდა ხომ გვაქვს „ჰო“-ცა!
რატომ ვიბრძვით, რატომ ვერ ვთმობთ,
რატომ ვომობთ, რატომ ვხოცავთ!
— თუ მიენდე ამ სანუთროს,
შეასრულებ შენაც ცუდ როლს –
შენც ისწავლი – როგორ მოკლა,
როგორ ლანძლო, როგორ უმტრო...
— იმის ნაცვლად – მოითხოვოს
ხოცვა-ჟლეტის გაუქმება –
აქებს დიდგორს... აუსტერლიცს...
ენა რად არ გაუხმებს!
— ბედუკულმართ ამ სანუთროს,
ჩვენ, როგორც ჩანს, ვერგეთ ცუდ დროს...
ერთნაირად დაწყვეტილი –
დიდგორიც და ოქროს ურდოც...
— ცეცხლთან ახლოს მოიწიე! —
მგონი გაგირთულდა სურდო...

სუფრიდან გამოყოფილი ლექსპროზის
ხინკალი მიყვარს თუშური!
ატამი მიყვარს გორული!
ხაჭაპურები – მეგრული,
ღვინო ჩხავერი – გურული!
გინება მიყვარს კახური,
ქვეშენი წყევლა – რაჭული!
ჩაცმა-დახურვა – იმერლის! —
ათასფრად გადაპრანჭული!
აჯიკა მიყვარს აფხაზის,
ხაბიზგინები – ოსური!
ხინკალი – ვთქვი, ხომ? – თუშური,
შვლის ნაზი ხორციო ორსული!
ლობიო — ბათუმელა და
ფხალეები – კასპურ-ქართლური!
არაყი — ბუზის, ცხადია! —
ჟიპიტაურის ნათლული!
სუფრის მსახური – ქართველი! —
ზღაპრულად დელიკატური...
და, მთავარი არ გამომრჩეს –
გალობა მეგრულ-ქართული...
რამე რო იყოს – გინებაც
ვიცი ათასი სართული!

სიყვარულს ვუხსნი სამშობლოს –
ახლა ამით ვარ გართული...



ორიოდე კვირის წინ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორად პოეტი გიორგი კეკელიძე დაინიშნა. ამ ფაქტმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, განსაკუთრებით ლიტერატურულ წრეებში. ზოგი ასაკს უწუნებდა (გიორგი კეკელიძე 27 წლისაა), ზოგს საჯარო სამსახურისთვის არ „ემეტებოდა“, ზოგიც ეჭვს გამოთქვამდა, გაართმევდა თუ არა თავს დაკისრებულ მოვალეობას ახალგაზრდა პოეტი.

ვინ არის გიორგი კეკელიძე? უპირველეს ყოვლისა, საინტერესო შემოქმედი. ჯერჯერობით ერთი პოეტური კრებული, „ოდები“-ს ავტორი, რომელმაც 2009 წელს საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში „საბა“ დაიმსახურა; გარდა ამისა, პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკა ლიბ.გე-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. 2010 წელს დასახელებს წლის წარმატებულ ახალგაზრდად ლიტერატურის სფეროში; ამავე წელს გახდა British Council ლონდონის წარმომადგენლობის კონკურსით Poet in the City გამარჯვებული საქართველოდან; ასევე, წლის ადამიანი ყურნალ „ცხელი შოკოლადის“ ვერსიით. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთავის 2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად, მიჰყავდა და მიჰყავს ლიტერატურული გადაცემები სხვადასხვა სატელევიზიო და რადიოარხზე; მისი ინიციატივით დაარსდა lib.ge-სა და „როკ-კლუბის“ ერთობლივი არტ-სალამოები; მუშაობდა და დღესაც მუშაობს არაერთ პერიოდულ გამოცემაში ლიტერატურულ მიმომხილველად. კითხულობს ლექციებს კლასიკურ ლიტერატურაში. თარგმნილი აქვს რამდენიმე ავსტრიელი პოეტის ლექსები, მსოფლიოს ლიტერატურული ზღაპრები, სერგეი დორენკოს „რომანი 2008.“ მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

27 წლის შემოქმედის კვალობაზე შთაბეჭდილებები ჩამონათვალა, თუმცა შეთავაზება — გამხდარიყო ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევა დიდი იყო, უცებ არ დათანხმებულა. მიზეზი?

— მოგეხსენებათ, საჯარო სამსახური გარკვეულ რეგულაციებს მოიცავს. შესაბამისად, ჩემი რეჟიმი, რომელიც აქამდე ორიენტირებული იყო არასამთავრობო სტრუქტურების და კერძო ორგანიზაციების შექმნაზე, რაღაც თვალსაზრისით შეიძლება შეუთავსებელი ყოფილიყო ამ ყველაფერთან. თუმცა მეორე მხრივ, გამოწვევა ძალიან დიდაა. თანაც, ეს არის საქმე, რომელიც აქამდეც მიკეთებია. მართალია, ელექტრონული ფორმატით, მაგრამ ესეც ბიბლიოთეკაა. ამის მიუხედავად, გადამწყვეტილება უცებ არ მიმიღია, გარკვეული პერიოდი ვიფიქრე. დავთანხმდი, გამოვინარე იქიდან, რომ ამ პოსტზე ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება. რაც მთავარია, ბიბლიოთეკაში ცარიელი ხელებით არ მოვსულვარ. მაქვს ჩემი გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ (ბუნებრივია, მთელი ცხოვრება აქ არ ვიმუშავებ) ევროპული სტანდარტების ბიბლიოთეკას დავტოვებ.

— როგორია თქვენი გეგმა?

— სანაყის ეტაპზე ეროვნული ბიბლიოგრაფიის ოპტიმიზაციას ვაპირებთ. ასევე უნდა განისაზღვროს შესაძენი მასალის პრიორიტეტები. აუცილებელია ფონდის სრული აღწერა და სტატისტიკის წარმოებაც.

სასურველია ბიბლიოთეკა დაუმეგობრდეს რაც შეიძლება მეტ უცხოურ ბიბლიოთეკას. სანაყის ეტაპზე — კავკასიის მასშტაბით, მოგვიანებით არეალი გამოზრდება. გვეგმავთ აზერბაიჯანული და სომხური კუთხეების გაკეთებას. მნიშვნელოვანია, რომ იგივე ეფრენისა და ბაქოს ბიბლიოთეკებშიც განხორციელდეს. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა ტიპის თემატური კუთხეების მოწყობაც. უპირატესობას პრიორიტეტულ მიმართულებებს მივანიჭებთ, მათ შორის, ქართული ღვინის შესახებ გამოცემულ ლიტერატურას, ბიზნეს-ლიტერატურას და სხვ.

მნიშვნელოვანია, ბიბლიოთეკა იქცეს სამეცნიერო, ლიტერატურული შეკრებების, პრეზენტაციების თუ სხვადასხვა კონკურსის დაჯილდოების ადგილად.

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ძალიან დიდი როლი ენიჭება ინტერნეტ-აქტივობას. მოხდება არსებული საიტის რეორგანიზაცია. ასევე შეიქმნება ფბ გვერდი, რომელიც დაინტერესებულ პირებს მოზღაურად გააცნობს სიახლეებს. გაიხსნება ღია ონლაინ-სადისკუსიო გვერდი, სადაც შენიშვნებსა და წინადადებებს მივიღებთ. აი, ძირითადი მესიჯები, რასაც უახლოეს პერიოდში მივანვით საზოგადოებას.

— პირველი, რის გაკეთებასაც მოსვლისთანავე გეგმავთ.

— თუ არ ჩავთვლით რუტინულ ნაწილს, რაც სტრუქტურის გაცნობას ითვალისწინებს, ორი ძირითადი მიმართულებით ვაპირებთ მუშაობას: ეს არის ფონდების კუალტურული ცენტრის შექმნის მიზნები. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ბევრი ნიუანსი, მაგალითად, უახლოეს მომავალში შეიქმნება მეგობართა ჯგუფი, რომლებიც ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის პოპულარიზაციაში დაგვეხმარებიან; უნივერსიტეტებთან და უცხოურ ბიბ-

ლიოთეკებთან გაფორმდება მემორანდუმები. აღარაფერს ვამბობ ეროვნული



ბიბლიოგრაფიის შენახვაზე, რაც ჩვენი ძირითადი ვალდებულებაა. ამ ყველაფერს ნელ-ნელა და ეტაპობრივად განვახორციელებთ.

— ბიბლიოთეკა თავისი არსით აკადემიური დანახვებულა. რა ინოვაციების დანერგვა შეიძლება ამ სივრცეში, როგორ აპირებთ თანამედროვე სულის შემოტანას?

— სიტყვა „აკადემიური“ თავისთავად არ ნიშნავს ცუდს, უბრალოდ, არ უნდა გავხდეთ რეტროგრადები. აკადემიურობა გარკვეულწილად აუცილებელია და ტრადიციებზე უარის თქმას არც ჩვენ ვაპირებთ, თუმცა ნოვაციებიც იქნება. ელექტრონული ფორმატი, ახალი თაობებისთვის სივრცის დათმობა, შემოქმედებითი საღამოები აუცილებელი პირობაა, რათა ბიბლიოთეკა არ იქცეს მუზეუმად და ცოცხალი პროცესის შემადგენელ ნაწილად მოგვევლინოს.

— კიდევ რა ნაბიჯების გადადგმა შეიძლება ამ მიმართულებით?

— პირველ რიგში, ვაპირებთ ფასიანი უცხოური გამოცემების გამოწერას. იგულისხმება პერიოდიკა და სამეცნიერო ან სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, რომელიც სტუდენტს ან მეცნიერს სჭირდება. ინტრანეტის, ანუ შიდა ქსელის მეშვეობით მომხმარებელს სრულიად უსასყიდლოდ შეეძლება ამ მასალების გამოყენება და უახლესი ინფორმაციის მიღება

მზარა ჯგერენია, სოციოლოგი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცდილი თანამშრომლები მიესალმებიან ახალგაზრდა პიროვნების მოსვლას გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. ძალიან ბევრ ცვლილებას ველოდებით. პირველ რიგში, სასიკეთო ცვლილებებს. მიხარია, რომ ჩვენი აზრები დაემთხვა. საქმე ეტება ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარებას ერთი კონკრეტული მიმართულებით, მხედველობაში მაქვს ელექტრონული ბაზებისა და ციფრული ბიბლიოთეკის გაძლიერება. ამ მხრივ ურიგო მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ კარგი იქნება მძლავრი მონაცემთა ბაზების მქონე ქვეყნებს გაუფტოლდეთ. დღეს მეტ-ნაკლებად წარმატებული ყველა ბიბლიოთეკა ელექტრონული კატალოგის შექმნაზე ფიქრობს. ჩვენ ძალიან კარგი კატალოგი გვაქვს, რომელშიც პრაქტიკულად ყველა ქართული წიგნია შესული. რასაკვირველია, სასიამოვნოა, როდესაც კატალოგში იპოვი წიგნს, დააჭერ ლილაკს და სისტემა მას ელექტრონულ ფორმატში გავიხსნის, მაგრამ ეს დიდ მატერიალურ და ადამიანურ რესურსს უკავშირდება. ეს ფუფუნება ბევრ ქვეყნისთვისაა მიუწვდომელი. დღესდღეობით სრული გაციფრებული ბიბლიოთეკა არ არსებობს, თუმცა ამისკენ სწრაფად მნიშვნელოვანია. თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა და დამკვიდრება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია და სასიამოვნოა, რომ ახალი დირექტორი ამ აზრს იზიარებს.

მისთვის სასურველ სფეროში.

— თანამედროვე უცხოური ლიტერატურის შექმნას თუ აპირებთ? რამდენადაც მახსოვს, უფინანსობის გამო ბევრი ახალი ტექსტის შექმნა ვერ ხერხდებოდა.

— სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ ძალიან დიდი ბიუჯეტი არ გვაქვს. ეროვნული ბიბლიოგრაფიის სრულად შექმნა ჩვენითვის სავალდებულოა. რაც შეეხება უცხოურ გამოცემებს, გრანტების იმედად თუ ვიქნებით. ამ მიმართულებითაც აქტიურ მუშაობას ვაპირებთ. ამ ეტაპზე უკვე გვაქვს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გრანტი, რომელიც ქართული რეალობისთვის უნიკალური სკანერის ჩამოტანას ითვალისწინებს. მისი მეშვეობით გადავიღებთ XIX-XX საუკუნის პერიოდულ გამოცემებს და მკითხველს მათ ვირტუალურ-ელექტრონულ ვარიანტს შევთავაზებთ.

— პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკის, ლიბ.გე-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ. რა ბედი ელის ამ ბიბლიოთეკას და ხომ არ გეგმავთ ერთობლივი პროექტების გაკეთებას?

— ერთობლივი პროექტები შეიძლება მომზადდეს, მაგრამ მე ამ ბიბლიოთეკის

გიორგი კეკელიძე:
„**გამონაკლისი**“
დიდია“

წარმომადგენელი ვერ ვიქნები, გამომდინარე იქიდან, რომ ლიბ.გე-ს რედაქტორი აღარ ვარ. ინტერესთა კონფლიქტის გამო წამოვედი, ანუ ამ ფუნქციას ვასრულებდი 2006-2012 წლებში. ამიერიდან ორგანიზაციის მენეჯმენტს სხვა ადამიანები გაუძღვებიან.

— თქვენ ცნობილი ხართ, როგორც არაერთი ინოვაციური პროექტის ავტორი, მათ შორის ანდერგრაუნდული ტიპის აქტივობის ორგანიზატორი. რამდენად საინტერესო იქნება მათი საბიბლიოთეკო სივრცეში გადმოტანა?

— უდავოდ საინტერესო იქნება, მაგრამ გამოდინარე იქიდან, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა სახელმწიფო დანახვებულა, გარკვეული შეზღუდვები არსებობს და ამას ვერ გავუქცევთ. ყველა ქვეყანაში ასეა, მაინცდამაინც საბჭოთა ნომენკლატურული თუ ბიუროკრატიული სისტემის გავლენას ვერ მივანეროთ, თუმცა კარის ჩაკეტვა ამ ტიპის კულტურის წარმომადგენელთათვის სრული აბსურდია. რასაკვირველია, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეს ვერ მოხდება იმ ფორმით, როგორც რომელიმე ანდერგრაუნდულ კლუბში.

— ანუ, გარკვეულ ჩარჩოში ჩაისმება?

— შედარებით აკადემიური ფორმა იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ეს სხვა სივრცეა. არა მგონია, თავად ანდერგრაუნდ-არტისთვის გაუჩნდეს იმ ტიპის პერფორმანსის გამართვის სურვილი,

როგორცაც მისთვის უფრო ბუნებრივ გარემოში აკეთებს.

— ეროვნულ ბიბლიოთეკას, მისი ფართო პროფილიდან გამომდინარე, მკითხველი არასოდეს აკლდა, თუმცა ეს სივრცე არ არის საკმარისად გასაჯაროებული. თუ გაქვთ რაიმე ტიპის „სატყუარა“ მკითხველის მოსაზიდად?

— ბუნებრივია, გვაქვს. ერთ-ერთი, როგორც გითხარით, სპეციალური თემატური ინტრანეტია. გარდა ამისა, რეგულარულად ვაპირებთ სხვადასხვა აქტივობებს — ვგულისხმობ პრეზენტაციებს, საღამოებს, სადაც დარიგდება ფლაერები ბიბლიოთეკაში მიმდინარე სიახლეთა შესახებ. პრეზენტაციაზე მოსული მკითხველი პარალელურად ჩვენს სიახლეებსაც გაეცნობა. ამ ყველაფერს გავაკეთებთ ინტერნეტის მეშვეობითაც, გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რაც გავაჩნია და საზოგადოება დაინახავს, რომ ეს მათთვის ძალიან საჭირო ადგილია, რაღაც მომენტში აუცილებელიც კი. იმედია, მკითხველიც გააქტიურდება.

— მახსოვს, რაღაც პერიოდი ბიბლიოთეკაში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ტიპის საღამოები და პრეზენტაციები, გამოდიოდა ინტერნეტ-გამოცემა — „ებლიტფო“, თუმცა ეს ყველაფერი მაინცდამაინც პოპულარული ვერ გახდა.

— იმიტომ, რომ სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ. დღეს ამ ტიპის წინააღმდეგობები აღარ იქნება.

— იცნობთ თუ არა რომელიმე უცხოურ საბიბლიოთეკო სივრცეს და თუ არის იქ რამე განსხვავებული?

— უშუალო შეხება არ მქონია, უფრო გაცნობითი ხასიათის, თუმცა ძირითადად ეს ერთი ტიპის აკადემიური სივრცეა. დღეს მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელს მსოფლიოში საუბრობენ, რომ შეიძლება ბიბლიოთეკებს მუზეუმად გადაქცევის საფრთხე ემუქრებოდეს. აქედან გამომდინარე, ყველა ბიბლიოთეკა ცდილობს სხვადასხვანაირად მოახერხოს თანამედროვე სოციალურ სივრცეში აქტივიზაცია. ზოგიერთი ბიბლიოთეკა „ტვიტერზე“ გამოქვეყნებულ პორტებსაც კი ინახავს და ამ რესურსით აინტერესებს საზოგადოებას.

— ამ მხრივ ჩვენ რა პერსპექტივა გვაქვს?

— ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ ვართ, რადგან რესურსები მწირია. ზოგადად ქართული ინტერნეტ-სივრცე ძალზე ფრაგმენტულია და მასშტაბით ვერ შეედრება ვერც ევროპულს და ვერც ამერიკულს. ახლა ვფიქრობთ, სელექციის პრინციპით შევარჩიოთ გარკვეული ბლოგები, მაგალითად, რადიო „თავისუფლების“ და სხვა შედარებით სერიოზული ინტერნეტ-ნაშრომები და ჩვენს ბაზაში შევიანახოთ.

— ანუ ისევ ინტერნეტ-სივრცით ცდილობთ წიგნის დახმარებას?

— ასე ტრაგიკულად ნამდვილად არ არის საქმე. ბეჭდურ გამოცემებს აუცილებლად ძალიან დიდ ყურადღებას მივაქცევთ. შევეცდებით მოვიპოვოთ ისეთი დაფინანსება, რომ ეროვნული ბიბლიოგრაფიის შექმნის თვალსაზრისით რეგიონებსაც გადავწვდეთ. მკითხველამდე წიგნს ძალიან ვერ მივიტანთ, მაგრამ სწორი მიწოდებით შეიძლება მათი რიცხვი გავზარდოთ.

— წლების წინ ბეჭდური წიგნების შენახვა პრობლემებს უკავშირდებოდა, არ იყო შესაბამისი პირობები. ამ ეტაპზე რა ვითარებაა?

— ახლა ეს საკითხი გაცილებით მონესრიგებულია. თავის დროზე საშვებიც ფასიანი იყო. დღეს ვითარება ამ მხრივაც მოგვარდა. ეროვნული ბიბლიოთეკა ვალდებულია მკითხველს სრულიად უფასოდ მოემსახუროს. ეს არის დანახვებულა, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დაფინანსებას, ამიტომ ჩვენი ვალის, ხარისხიანად მოვემსახუროთ მკითხველს.

— კიდევ ერთი საკითხი — ხომ არ შეუძლის ხელს ახალი ამპლუა თქვენს ლიტერატურულ საქმიანობას?

— არა მგონია. ჩემთვის ეს საინტერესო გამოწვევაა. ძალზე დატვირთული რეჟიმის მიუხედავად ლიტერატურულ საქმიანობას დღემდე ვაგრძელებდი. თუ დავი-

მთარგმნელი

გამომცემლობა „დიოგენეს“ ინტერნეტგვერდის „კედელზე“ ერთ-ერთ მთავარ სიახლედ გამოტანილია შემდეგი: „გამოვიდა რობერტ მუზილის „უთვისებო კაცის“ მეორე ტომი... მკითხველს მოეხსენება, რომ რომანის პირველი ნაწილი ჯერ კიდევ 2008 წელს გამოიცა. ამ თარგმანისთვის ქალბატონ მაია ბადრიძეს ლიტერატურული პრემია „გალა“ მიანიჭეს. „ინტელექტუალური თავგადასავლის მაძიებელი“ რომანის გაგრძელებას რამდენიმე წელი ელოდნენ. დაგვიანების გამო, გამომცემლობამ საჭიროდ ჩათვალა პირველი ნაწილი ხელახლა გამოეცა. და ახლა მკითხველს „უთვისებო კაცის“ სრული ტექსტი აქვს ხელთ.

ქალბატონ მაია ბადრიძეს პრეტენზიულ მთარგმნელად იმ ავტორების გამო მიიჩნევენ, რომელთა ნაწარმოებებსაც (როგორც მთარგმნელი და რაც მთავარია, — მკითხველი) ირჩევს და ქართულ ენაზე გადმოაქვს. მან პირველმა თარგმნა გივი მარგველაშვილის „მუცალი“, ასევე პირველმა გადმოაქართულა რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“ და გუსტავ იუნგის „ფსიქოლოგია და ალქიმიკა“. ეს ის ტექსტებია, გასული საუკუნის ქართველ მკითხველს დიდი ხნის წინ რომ უნდა წაეკითხა მშობლიურ ენაზე. თუმცა იმ სამწუხარო რეალობას, რომ მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშების გაცნობა თუ ათვისება მრავალი წლის დაგვიანებით გვიწევს, — თავისი მიზეზები აქვს. ამ მიზეზებზე მთარგმნელი ქვემოთ მოგვასხენებს.

— ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში ახალგაზრდების დიდ ნაწილს ნიგნის მიმართ ინდიფერენტულია. გავრცელებული აზრის ფონზე, გამიხარდა, როცა მაღაზია „დიოგენესში“ მისულს მითხრეს, რომ რობერტ მუზილის „უთვისებო კაცი“ განსაკუთრებული მოწონებით სწორედ ახალგაზრდა მკითხველში სარგებლობს.

— მართალია გითხრათ, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავარჩი, როცა გავიგე, რომ სოციალურ ქსელებში, რომლის მომხმარებელიც არ ვარ, „უთვისებო კაცს“ დიდი გამოხმაურება ჰქონდა; შარშანდელ წიგნის ფესტივალზეც პირველი ტომის მიმართ ინტერესი შეიმჩნეოდა.

„უთვისებო კაცი“ არ გახლავთ რომანი ტრადიციული გაგებით, ეს არც ინტიმური ტექსტია, პერსონაჟთა ხასიათებიც ისე ვითარდება, როგორც ამას სხვა დიდ ავტორთა ნაწარმოებებში მივეჩვიეთ. აქ არის სქემები, კონცეფციები, ან იდეები. როგორ შეიძლება ასეთ ტექსტს რაიმე „სიბო“ ჰქონდეს, ის „ტკბილად“ ჩაიკითხო, ან მისი რომელიმე პერსონაჟი შეგიყვარდეს? მძლავრად იგრძნობა ავტორის ტემპერამენტიც. მუზილი დისტანცირებულია „უთვისებო კაცის“ პერსონაჟებისგან, არცერთის მიმართ სიმპათიას არ განიცდის და საშინლად დასცინის თითოეულს. მაგრამ რომანის კითხვისას არ გტოვებს განცდა, რომ დიდ ლიტერატურასთან გაქვს საქმე. როგორც ადამიანებს აქვთ ხოლმე ქარიზმა, ისე — ტექსტებს. „უთვისებო კაციც“ ქარიზმატული ტექსტია. კითხვისას ბრაზობ, ღიზიანდები, მაგრამ რამდენჯერაც თავს მიახებებ, იმდენჯერ მიუბრუნდები.

— კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ გერმანელი მკითხველი „უთვისებო კაცს“ არაკითხვად ნაწარმოებად მიიჩნევს. გერმანულენოვანი ლიტერატურა ხომ გამოსატყვის სხვა სიღრმით, ფილოსოფიური გამსჭვალულობით გამოირჩევა. ამ დიდი ლიტერატურის ამთვისებელ მკითხველს, მუზილის ტექსტების გაზიარება ნუთუ გაუჭირდა?


— გერმანელები მუზილს არ კითხულობენ. ცხადია, მას ჰყავს თავისი მკითხველი, მაგრამ ის ძალზე ცოტაა. მუზილის ტექსტები უკიდურესად ვიწრო ინტელექტუალური წრეებისთვის, ელიტარული ლიტერატურული ჯგუფებისთვისაა საინტერესო. ასეთი ჯგუფები კი ყველა ქვეყანაში ძალზე ცოტაა, დრამატულად ცოტა. გარდა ამისა, მუზილი ავსტრიელი ავტორია. ავსტრიელებმა, რომელთაც გერმანული კულტურის მიმართ „უკანონო შეილს“ კომპლექსი აქვთ, უდიდესი ლიტერატურა შექმნეს. მიიღეს ფიქსიონალი, რომ მათ ბევრად დიდი ავტორები ჰყავთ, ვიდრე გერმანელებს. ყველა დიდი „გერმანელი“ მწერალი, გარდა თომას მანისა, ვინც ახლა გაგახსენდებოდა, ავსტრიელია. მივეჩვიეთ და მათაც „გერმანულ ავტორებს“ ვუწოდებთ, თუმცა განსხვავება ამ ორ ლიტერატურას შორის ძალზე დიდია.

რატომღაც ისე მოხდა, რომ ძირითადად ავსტრიულ ლიტერატურაზე ვმუშაობ. ჰერმან ბროხიც, რომლის „მთვარეულების“ თარგმანისაც ახლა ვინყებ, დიდი ავსტრიელია, ვენელი, თუმცა მას ჩვენთან ნაკლებად იცნობენ.

— „უთვისებო კაცი“ ქართულენოვანმა მკითხველმა თქვენი თარგმანებით გაიცნო. ერთგან ნაიკითხვე, რომანის თარგმანის პროცესს სიკვდილის მოლოდინს ადარებდით. რატომ?

— რომანის თარგმნას ექვსი-შვიდი

წელი მოვანდომე. ბოლოს და ბოლოს მისი დასრულებაც ხომ სიკვდილივით გარდაუვალია-მეთქი, თავს ვინუგეშებდი. ტექსტი დიდი მოცულობისაა და რთულია როგორც ენობრივი, ასე აზრობრივი თვალსაზრისით. გერმანულენოვანი ლიტერატურა, მისთვის დამახასიათებელი სტილისტური და ენობრივი ფორმებით,



მაია ბადრიძე:
„რაკი მუზილი გადავიტანე...“

ზოგადად, ევროპული ლიტერატურისგან განსხვავებულია. გერმანული ენის ისედაც რთული სინტაქსი, კიდევ უფრო უტრირებულია მუზილთან. გასაგებად რომ ვთქვა, — „რთული სინტაქსში“ ვგულისხმობ ძალზე ვრცელ, ხშირად გვერდნახევრიან წინადადებებს, რაც ტექსტის ერთიანად აღქმაში გერმანულ მკითხველსაც კი უშლის ხელს. ქართული ენის სინტაქსი კი რადიკალურად განსხვავებულია. მხატვრული ლიტერატურული თარგმანის შესრულებისას, ისე უნდა მოახერხო უცხო კულტურის ტრანსფორმაცია, გადმოწერგვა, რომ შეინარჩუნო კიდევ და ამავე დროს შენს კულტურაში გააცოცხლო, შესაბამის ენობრივ სამოსში გამოაწყო იგი. თარგმანის მთავარი სიროთული სწორედ ესაა. მუზილს ახასიათებს ქვეცნობიერი ნაკადებითა და რემინისცენციებით გაჯერებული, მედიტაციური, თითქოს დაუსრულებელი თხრობა. როგორ წარმოგიდგენიათ ამგვარი დინამიკის მოკლე, ექსპრესიული ფრაზებით გადმოღება? ლაპინდარული სტილი, ამ შემთხვევაში, ძალზე არაბუნებრივი იქნებოდა.

როგორც გითხარით, ტექსტი მენტალურადაც ძალზე რთულია. რომ თარგმნო, ჯერ ავტორის ფილოსოფიურ სპეკულაციებში უნდა გაერკვე, ეს კი იოლი ნამდვილად არ იყო. მახსოვს, გერმანიაში ყოფლისას, როცა „უთვისებო კაცის“ თარგმანზე ვმუშაობდი, ტექსტის ერთ-ერთი პასაჟი სამმა ცნობილმა ევროპელმა მთარგმნელმა და მე სხვადასხვანაირად „ნაიკითხეთ“. გასაგებია, რომ ტექსტზე მუშაობისას ინტერპრეტირება ისედაც გინევს, მაგრამ შენეული გააზრება ავტორის აზრს უნდა ემთხვეოდეს. ასეთ შემთხვევებში ძალზე ბევრია დამოკიდებული მთარგმნელის ინტუიციაზე და იმაზეც, რამდენად აქვს განვითარებული რთული ტექსტების ნაიკითხვის უნარი.

ასეთ რომანზე მუშაობა თავისებურ გავლენას ტოვებს ადამიანზე, — სხვა ტექსტების კითხვის დროსაც ის ზედაპირზე აღარ ჩერდება და სიღრმეებისკენ მიდის. შემდეგ კი ყველაფერს ასე „კითხულობს“ — ურთიერთობებს, ადამიანებს, მათ ნათქვამ ფრაზებს.

— მუზილი ლამის მთელი ცხოვრება წერდა ამ რომანს. როგორც ვიცი, „უთვისებო კაცი“ საკმაოდ მძიმედ, ხანგრძლივი შესვენებებით იქმნებოდა, თუმცა მაინც დაუსრულებელი დარჩა და საბოლოოდ, ტექსტის სრული ვერსია ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

— „უთვისებო კაცის“ პირველი ტომი მუზილის სიცოცხლეშივე, გასულის საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დაიბეჭდა. რომანს დიდხანს რომ წერდა, ამას თავისი მიზეზები აქვს. მეორე მსოფლიო ომის დროს, მწერალი ოჯახთან ერთად შვეიცარიაში გადასახლდა. ჯერ ციურიხში, შემდეგ კი ჟენევაში ცხოვრობდნენ. ემიგრაციას თან ახლდა დეპორტაციის საფრთხე და მუდმივი შიში. შემოსავალი არსაიდან ჰქონდათ და თითქმის შიმშილობდნენ. მუზილი რთული ბუნების ადამიანი იყო. მისი მეუღლის, მართლაც მოგონებებიდან ვიცი, რომ უმნიშვნელო მიზეზიც კი საკმარისი აღმოჩნდებოდა ხოლმე იმისთვის, რომ მუზილს წლობით შეენწყვიტა რომანის წერა და მხოლოდ ფსიქოანალიზის ხანგრძლივი კურსის გავლის შემდეგ მიბრუნებოდა სამუშაოს. ასე მოხდა მამინაც, როცა მართამ, რომელსაც



მწერალი საკუთარი თავის შემდეგ ალბათ ყველაზე მეტად ენდობოდა, სამუშაო მაგიდასთან ჩავლისას, მის ნაწერებში ჩაიხედა. და მამინაც, როცა მუზილთან სტუმრად მისული მეგობარი და ბრწყინვალე მწერალი ალფრედ დიობლინი საწერ მაგიდას მიუჯდა და საუბრისას თავისი სახელი და გვარი მექანიკურად წაანერა მუზილის ქალაღებებს.

„უთვისებო კაცის“ პირველი ტომი გამოსცა ცნობილმა ერნსტ როვოლტმა, რომლის სახელსაც დღემდე ატარებს მის მიერ დაარსებული გამომცემლობა. („ზურკამის“ მსგავსად, „როვოლტი“ არა მხოლოდ გამოსცემს წიგნებს, არამედ ლიტერატურული ტენდენციების განმსაზღვრელიცაა ევროპაში). რომანის მეორე ტომი, ანუ დარჩენილი თავები, შვეიცარიელმა გამომცემელმა ადოლფ ფრიხემ მოგვიანებით, 1952 წელს დაბეჭდა.

გადაუჭარბებლად შემძლია ვთქვა, რომ ავსტრიელებისთვის „უთვისებო კაცი“ ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც ქართველებისთვის „ვეფხისტყაოსანი“. 2004 წელი ავსტრიაში მუზილის წლად იყო გამოცხადებული და სახელმწიფო დონეზე აღინიშნა. მიიწვიეს ყველა ის მთარგმნელი, ვისაც „უთვისებო კაცი“ უთარგმნია რაიმე ენაზე. მაშინ ტექსტზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დაემწყობა, თუმცა კონტრაქტი გაფორმებული მქონდა და ამიტომ, მიწვეულთა შორის მეც გახლდით. უზომოდ საინტერესო შეხვედრები გაიმართა. აუდიენცია ავსტრიის პრეზიდენტთანაც გვექონდა. ევროპასთან კულტურული და ასევე პოლიტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით ვფიქრობ, ამგვარი შეხვედრები ძალზე მნიშვნელოვანია. პოსტსაბჭოთა სივრციდან მხოლოდ ორნი ვიყავით. სწორედ იქ გავიცანი სოლომონ აპტი, რომლის არაჩვეულებრივი რუსული თარგმანებითაც გაცივო საბჭოთა ეპოქის მკითხველმა ლამის მთელი გერმანულენოვანი მწერლობა.

— საბჭოთა წლებში უცხოურ ლიტერატურას ძირითადად რუსულ თარგმანებში ვეცნობოდით.

— ამაზე საუბარი არ მებაღისება, მაგრამ ნამდვილად პროფესიონალური და მაღალი კულტურის მთარგმნელობითი

სკოლები ჰქონდათ. თუმცა მინდა გითხრათ, რომ რუსული გერმანისტიკის სკოლას, ძირითადად ებრაელი სპეციალისტები წარმოადგენდნენ.

— სამწუხაროა, რომ ათწლეულების მანძილზე ქართველი მკითხველი და ვიცყოლი, ავტორიც, მსოფლიოში მიმდინარე მთელი რიგი ლიტერატურული პროცესებისა თუ მიმდინარეობების მიღმა რჩებოდა. მუზილი გასული საუკუნის პირველი ნახევრის ავტორია, მიუხედავად ამისა, მისი მთავარი რომანი მხოლოდ 2008 წელს ითარგმნა ქართულად.

— მუზილის მოთხრობები — „სამი ქალი“ 70-იან წლებში თარგმნა თენგიზ პატარაიამ, ხოლო ბოლოსიტყვაობა დავით დავლიანიძემ დაურთო. სამი ნოველა — ნამდვილი შედეგებია. თარგმანიც არაჩვეულებრივად შესრულებული.

სამწუხაროდ, გერმანულენოვანი ლიტერატურის თარგმანის თვალსაზრისით ბევრი თეთრი ლაქა გვაქვს. იმდენად ბევრი, რომ მის შევსებას თაობები არ ეყოფა. არადა, ხარისხიანი ქართული თარგმანების არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია ენის განვითარებისთვისაც. მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს კულტურული სიმბოლოები, რომელიც აუცილებელია ენაში იქნას გააზრებული. თუკი ენამ მისი ათვისება ვერ შეძლო, გლობალური ლიტერატურული პროცესების მიღმა დარჩება. სრულიად მარგინალურ სივრცეში ვიმყოფებოდით და როგორც დიდი იმპერიის განაპირა გუბერნიას, პროვინციისთვის შესაბამისი ფუნქციები გვექონდა მონიჭებული. არ ვვითარდებოდით, — ვერ იტყვი, რადგან რაღაცები მართლაც იქმნებოდა, თუმცა — ნამდვილი, ცოცხალი კულტურული პროცესებისაგან იზოლირებულია. ამიტომაცაა, რომ ჩვენს ლიტერატურაში, ენაში მთელი რიგი ჟანრები თუ მიმდინარეობები არ ასახულა. კულტურა კი ენაში, მისი ინტელექტუალური გააზრების შედეგად აისახება — იწყება ფიქრი, რომელიც შემდგომ, შესაბამის ენობრივ სამოსელსა და გამოხატვის ხერხებს პოულობს. სწორედ მაღალი ხარისხის თარგმანებმა უნდა ამოავსოს ასეთი ლაქები. რატომ ზრუნავენ დიდი კულტურები ამაზე, რატომ მიჰყვებიან ფეხდაფეხ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს? — სწორედ ამიტომ.

— გერმანის კულტურის სამინისტროს სტიპენდიანტი და ევროპული მთარგმნელობითი კომისიის წევრი ბრძანდებით. ყოველ წელს ჩადიხართ გერმანიაში და თვეობით ცხოვრობთ სახლში, რომელიც მთარგმნელობითი კომისიის წევრებისთვისაა განკუთვნილი და ამავე დროს, დასავლური კულტურის მძლავრ ცენტრსაც წარმოადგენს. იქ საუკეთესო პირობები გაქვთ მთარგმნელობითი მუშაობისთვის, ევროპის საუკეთესო მთარგმნელებს ხვდებით. ალბათ, ამ გადმოსახედიდან თანამედროვე ქართული თარგმანის პრობლემა უკეთ ჩანს.

— როგორ შეიძლება თარგმანის პრობლემა არ გვექონდეს, როცა უნივერსიტეტში გერმანისტიკის ფაკულტეტს მთარგმნელობითი ჯგუფები არ გააჩნია? ქართული გერმანისტიკის სკოლას დღეს ძალიან უჭირს. ჩემი უნგრელი კოლეგა, რომელიც ნიცშეს საუკეთესო მთარგმნელია, მიყვებოდა, როგორ ასწავლიან ბუდაპეშტის უნივერსიტეტში გერმანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს თომას მანის ნოველას „სიკვდილი ვენეციაში“. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ზომის ტექსტია, — მაღალი ლიტერატურული ღირებულებით გამოირჩევა და მწერლის რომანებსაც უტოლდება. მასზე მთელი სემესტრი მუშაობენ სტუდენტები, სრულად შეისწავლიან ტექსტის კულტურულ სივრცეს, ეცნობიან ნიცშესაც, რომლის გავლენაც თომას მანის შემოქმედებაში მძლავრად იგრძნობა. ნაწარმოების კულტურული ველის გასაზრებლად, სტუდენტებს მუსიკატომოდონობაშიც კი ეკითხებათ მცირე კურსი. სამწუხაროდ, იმ სასწავლო პროცესის შედეგად ჩვენთან მიმდინარე მნიშვნელობასთან ძალზე მტკიცეულია. გარდა ამისა, თარგმანის განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. ჩემს სამუშაოს მთლიანად გერმანული მხარე აფინანსებს. მატერიალური უზრუნველყოფის დასასრული მე-13 გვერდზე



ირაკლი ციგროშვილი

ამბავი ვკითხე...

ამბავი ვკითხე ყრმობისდროინდელ ყვავილებს, ფოთლებს, წყაროებს, ხეებს... ისინი წუხელ სიზმრად მოვიდნენ და ისევე მზისფერ ბურუსში მხვევენ. ისევე აენთო ხსოვნის კოცონი, ის ლურჯა ცხენიც ისევე ჭიხინებს... ცინცხალი გრძნობის ამო რიჟრაჟი კვლავ მოვინატრე და მოვიხილე. ისევე საამო სურნელი ასდის დედის გამომცხვარ ქერის ხმიადებს, მიმყვება ჩემი უბინო ლანდი და მგლების ყმუილს ვაყურადებ... იქვე მივდივარ, ის თრიმლები და ის თამბულები ისევე მცნობენ და მეთბუნება ყრმობის წლებიდან წელთა ბილიკი და ბოსტნის ლობე.

ამო ხმით რომ მოფრინდება თუნდაც ერთი ბნკარი, მაშინ მოვა ჯადო-ხატით შთაგონების ქარი. მოგატარებს ირგვლივეთს და გაგარინდებს უცებ, თვალწინ აგიფაჩიფუნებს დაუნერულ ფურცლებს... ხან გზა-შარა გეამება, ხან ბილიკსაც კარგავ... ამ წუთების მოსვლით ამკობ გარიჟრაჟის ფარდაგს.

ქონებრივი დეკლარაცია

ვავსებ დეკლარაციას ჩემი დიდი ქონების: ჩემი არის ეს ტყე და ფშავის ეს მთა-გორები.

ჩემი არის სიმდიდრე მთების გულში ნადები, არაგვი, საარაგო – ფასი მილიარდების.

ვინახულე ეს სოფელი თავის წესით, რიგით. აქ ვარ მილიარდერი, გაფხეკილი ჯიბით!

მე და ვაჟა გიგაშვილი ერთად ვნადირობდით. მახსოვს, ყოველივე მახსოვს – სად იყო და როდის... წვიმდა, წვიმდა, რომ ვესტუმრეთ გამთენიის ვახხევს. ხეზე დანყდნენ ჯანლები და დიდი დათვიც ვნახეთ. დრო წავიდა... დღეს ვუყურებ ფიტულს აიმ დათვის, არყნარებში მე რომ გამკრა სისხლიანი თათი.

ისე ხარ, თითქოს ტკივილი სოფლის მაგ გულის გულის გულში სახლობდეს. ცოცხლობ შენი და მეზობლის ყოფნით, უფალს ავედრებ ძმას და ახლობელს.

გზა-ბილიკები ხვალის მზეს ხმობენ, ნათელს უცდიან ფშავის ხედები. იქ არ ხარ – გულში აკლიხარ სოფელს, იქ არ ხარ და მოძმეს ეიმედები.

ინუნება მსოფლიო, იმტრევეს ფეხის წვერებს... ნეტავ საით მიჰყავხარ ცოდვილ წერა-მწერელს. ან ნაპირი სადა აქვს უსასრულო გნისას, რას გპირდება განგება, რა რჯის მეღამიას?

უფლის სახლში სანთელი თითქოს წვეთავს ბრალადა. სიკეთის მზე ვერ ჰგუობს უსამართლო სამართალს.

ინუნება მსოფლიო გვირგვინს იდგამს ეკლის, ექადნება მიწა-წყალს ნაცარი და ფერფლი...

ხმა მაგალობელთა გთაფლავდა, შუაზაფხულის აისო, განვევდა მთა უთავშალო, შორს ჩანდი, მზის საბრძანისო! იმ წუთთა თავდავიწყება დღემდე აღარა თავდება. ფოთოლ-ბალახის სილალე სიზმარშიც მოგვლანდება...

მზე მოჩანს დასალიერზე, მნათს ეძრახები მწყალობელს და შემოდგომის ფრთოსნები დღეს სულ სხვა ხმაზე გალობენ...

წილადრებაჟულის გარდუვალობა

ვერ აუარე ღამეულ ლანდებს, ვერ დაიურვე ჟამი ტიალი. იანვრის თოვლი მიგრუმქრავს სადმე, სადმე გიყილებს დროის ტრიალი...

გიცდის ციური ჭერი და ფუძე, თავს ინუგემებ მოლოდინებით და წილადრებაჟულ გასაძლისს უძლებ, კვლავ ნათელს ელტვი დღეთა დინების.

იარე. ყოფნის ხარჯე წამალი, ცა-მიწა გმოძღვრავს მეოცნებისა. არ შეიკვრება გზები სავალი, მომსვლელი მაინც მოვა ნებისად.

დღე აიკრიფა, წარსულს ბარდება, ციდან ეშვები შავო ფრინველო. წვეთებს მოაფრქვევ ეკალ-ბარდებზე, დრო-ხანო, ჩემო მოსახილველო!..

ავლილ-ჩავლილებს ვმასპინძლობ ისევე მადლდალოცვილებს და გულანჯაყებს. გადასასვლელზე ქარია მქისე, ჟამის მანქანა მიმაჯაყაყაყებს.

შენი ციერი ნათობს და ეკალ-ჯაგსა წალდავ. ეგ გეზი აღარ დათმო, არ შეეპუო ავდარს. მომსვლელი მოვა მალე, იგი თავისას გეტყვის... ცთომილიც გითვალთვალეებს ერთი და ერთზე მეტი. სანამ აბგაში გიძევს წილადრებაჟული ხემსი, იმედი გქონდეს კიდევ მეგუთნის, მეხრის, მწყემსის.

მედღეხვალეი კაცი „მედღეხვალეი კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო.“

მედღეხვალეი ღარიბის ილბალზე ფიქრობ ახლა. მას სულ ვილაცის ვალი აქვს, ის სულ ვილაცას ძრახავს. ემდურის დამბადებელს და ემდურის ბედისწერას, სიცივის სახლში ცოდვილობს, ვერ გათბა მისი კერა. მზე ვისთვის ცივად ამოდის, ან ვისთვის დარობს დარი! კარზე ადგია ზამთარი, მედღეხვალეი ღარიბს.

პირველგაზაფხულზე – როცა მზე უცინის ხეზე ფოთოლს, ილხენს ენძელა და ია, ილხენს ხარისძირა თოთო. მოფრინდება მერცხალი და ბუდის ამუნებას ცდილობს, შენც გზისპირზე დაისვენებ, მგზავრო, ხელ-მუხლდალოცვილო! ზენაარის შუქი გადგათ, ბებრის ციხის პირმზითებო, თქვენს კალთებზე ბებერ მუხებს, ბებერ ცაცხეებს სცვივა თებო... შენი დღეა, იბრჭყვიალე, წმინდა გარიჟრაჟის თვალო და იჩქროლე მოლოდინით ტყეო, გაზაფხულით მთვრალო!

მივიჩქარით რა ხანია, თოვლია და ნაქარია.

ყოფნა სიკვდილ-სიცოცხლეა, ეს მგზავრობაც ზღაპარია. სადმე დავსხდეთ, წავიხემსოთ – ხემსი ჩვენი საკმარია!

თოვლია და ნაქარია, ვჩქარობთ შუაზამთარია.

მალე გავცალცალკევდებით, ახლოს გზაგასაყარია.



მივი ალხაჯიშვილი, პოეტი: გამახარა ამ სიახლემ. გიორგი კეკელიძე ჩემი უმცროსი მეგობარი და კოლეგაა. ძალიან სწორი და უპრიანი მისი ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშვნა, რადგან ამ მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს – სხვებთან ერთად შექმნა და რედაქტორობდა პირველ ელექტრონულ ბიბლიოთეკას საქართველოში. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოცოცხდება არა მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრება, მოენცობა კონფერენციები, ლექცია-სემინარები... მოკლედ, ეს დაწესებულება იქცევა ერთგვარ კულტურულ ცენტრად, როგორც პერიოდულად იყო ხოლმე და განსაკუთრებულად მოგვაკლდა ბოლო პერიოდში.

არ ვიცი, რამდენად შეუშლის ხელს ეს საქმიანობა პოეზიის შექმნაში, თუმცა მათი შეთავსება შეიძლება. ლიტერატურის ისტორია არაერთ მაგალითს იცნობს. საკმარისია გაეხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ფრანც კაფკა, რომელთა სახელმწიფო სამსახურში მუშაობითაც მათ შემოქმედებას არაფერი დაჰკლებია. ასე რომ, პოეტის ჩინოვნიკობა ნურავის გაუკვირდება.

ნიგნთან და მკითხველთან ურთიერთობა, მისი ერთგულება და თანადგომა ახლა უკვე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის რანგში, ძალიან კარგი და საინტერესო საქმეა და ამ საქმეში გიორგი კეკელიძეს წარმატებებს ვუსურვებ.

გიორგი კეკელიძე:

„გამონცევა ძალიან დიდია“

დასასრული

ნახე, რომ ეს საქმე მთლიანად მართმევს დროს და ენერჯის, იმაზე ადრე ვიტყვი უარს, ვიდრე ვგეგმავ. თუმცა იმედი მაქვს, ასე არ მოხდება.

— ცოტა ხნის წინ შემოქმედებით ტაიმ-აუტი ახლეთ. როგორც თავად ამბობთ, მიხვდით, რომ ერთსადიამავე ფირფიტას ატრიალებდით. ამჟამად რა ხდება, დამთავრდა ლიტერატურული შესვენება?

— გარკვეულწილად დამთავრდა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი რამდენიმე ახალი ლექსი თვისობრივად განსხვავდება წინა პერიოდის ტექსტებისგან. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობა მმართველს.

— ანუ თქვენს შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო?

— კი, ეს ეტაპი დაიწყო, მაგრამ მე ვერ განვსჯი, ხარისხის თვალსაზრისით კარგია, ცუდი, უკეთესი თუ უარესი. უბრალოდ, შესვენება დასრულდა.

— ახალი ნიგნის გამოცემას თუ აპირებთ?

— ჯერჯერობით არ ვგეგმავ, თუმცა მასალები მზად არის და ალბათ ისევ გამოცემლობა „სიესტაში“ გამოვუშვებ. მანამდე ერთ-ერთ ჩემს პოემაზე (პირობითად, პოემაზე) რამდენიმე მულტიმედია-არტისტთან ერთად ვიდეო-არტების გაკეთებას ვაპირებ, რომელთაც დისკის სახით გამოვცემ. საუარაუდოდ, ამასაც „სიესტა“ დაბეჭდავს. მე რე უკიდურესი კრებული, სადაც „ოდების“ შემდეგ დაწერილი ლექსები შევა. პირველი ნიგნის, რომლითაც საზოგადოებამ გამიცნო.

— დისკი რა ტიპის მკითხველისთვისაა გამიზნული?

— იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ვიზუალური ხელოვნება უფრო საინტერესოა, ასევე მათთვის, ვისაც აინტერესებს პოეზია, მაგრამ მასთან მისასვლელად შედარებით ეფექტური გზები სჭირდება, ან — უფრო მარტივიც კი. ეს, ერთი მხრივ, ტექსტთან მიბრუნების ირიბი გზაა, მეორე

მხრივ, ცალკე აღებული ვნახოთ, როგორც გამოვა.

— მარტივი გზა რას გულისხმობს — დღეს მკითხველს პოეზიის აღქმა უჭირს და ეს ხერხი გაუადვილებს?

— მარტივი გზა არ ნიშნავს იმას, რომ მკითხველი უფრო დაბალი რანგისაა. უბრალოდ, ეზარება ლექსთან, ნიგნთან მისვლა, რადგან თანამედროვე სამყაროში სხვა უფრო მეტი „საცთურია“.

— სწორედ ამ „საცთურთა“ გამოდღეს ახალგაზრდობა ნაკლებად მიდის ბიბლიოთეკაში. ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ ჩვეულებრივი ბიბლიოთეკის ელექტრონული ჩანაცვლების ტენდენციასზეც, ერთგვარ ალტერნატივადაც განიხილავენ.

— არა მგონია, ტრადიციული ბიბლიოთეკა გაუქმდეს, რადგან ადამიანს ყოველთვის ექნება ნიგნთან, როგორც სულიერების გამორჩეულ ფენომენთან ურთიერთობის სურვილი. ნაბეჭდ ნიგნს ყოველთვის ეყოლება თავისი მომხმარებელი, მაგრამ პარალელურად უნდა შევქმნოთ და მაქსიმალურად მოვანერვიოთ ელექტრონული ბაზები, რათა ამ მიმართულებით დროისთვის ფეხის აწყობა შევძლოთ.

ესაუბრა ნანა კობახიძე



გურამ დოჩანაშვილი

კაცი, სახელად ნოე

დასაწყისი მე-6 გვერდზე

და ისევე როგორც მას როგორც ვრცელხანს მოუწია აღთქმულ მინამდვილურებას სვლამ თავისი-მისი ერთიერთ მაგრამ ამისათვის 40 გრძელი წელიწადი იმისთვის იყო საჭირო გზად რომ დაბადებული და წამოზრდილი თავისუფლებისაკენ მავალი ხალხი შესულიყო როგორც ნეტარ და ძნელ ქვეყანაში მერედამერე

ხოლო პირველ დღეს, როდესაც კიდობანს ირგვლივ მდურარი ოკეანე შემოვარდოდა და ზემოდან და ქვემოდან კი როგორ ძალიან დაენარცხებოდ-ამოენარცხებოდა წყალი თვით-იმ მსოფლიოს წარღვნიდა და კიდობანს კი საითკენაცკენ მიუქანებდა დიდის ტორტმანით და ბზრი-ალით ისეთსა მომცროს, ოკეანეში, რომ ნაფოტის ფინჩის კინისა-რამ ნამცეცს მაგრამ, გადასარჩენი, სულიერებით, და ნოე კი და მისიანები კიდობანის მეორე სართულზე როგორის დიდის გააფთრებით ჩასჭიდებოდნენ კედლების ძელებსა თუ იატაკის ფიცრებს ისე რომ ფრჩხილები გარეთ და შიგნით როგორ ძალიან გაუმ-

აგრათ, ფისმა, ნოემ ერთი კი გაიფიქრა რომ ქვედა სართულის სულიერები ხეთქებისა-გან დაიღუპებოდნენ მაგრამ მამინვე უარყო ეს ცოდვით-განაფიქრი რადგან, უბრძანა, როგორ, გადარჩენა უფალმა, ღმერთმა — „ბუდეები გაუქეთე კიბობანს“... ებრაულად ეს ნიშნავს „ბუდე“ ან გალიას, ალბათ ფრინველებსა და ცხოველებს-სათვის, რომლებიც ღვთის ბრძანების თანახმად, ნოეს უნდა მოეთავსებინა კიდობანში

და ალბათ როგორ, ჯერ შერცხვა, ნოეს, ურნამუნოებისათვის, ამ

და მერეკი, თავჩაქინდრულმა, ამ შეცოდებისათვის-დიდ, ითხოვა ალბათ პატიება რადგანაც ადრეც, უხიფათობისას, დიდედოთი და თ-თი ღმერთან დაიარებოდა, ნოე,

მაგრამ ახლა კი, მთელ ორმოც გრძელ დღეს შეუძლებელი იყო პირველ სართულზე ჩასვლა მაგრამ არარა იყო შეუძლებელი თუკი თვით ღმერთი ფარავდა როგორ, მას და მის დასტას, მრავალრიცხოვანს: ის დოლობები, კიდობანისაკენ ისე ძალიან შემ-

მაია ბადრიძე:

„რაკი მუზილი გადავიტანე...“

დასასრული

ოფა შეიძლება განმსაზღვრელი არაა, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მთარგმნელისთვის.

ხშირად ვამბობ, ოთხმილიონიან საქართველოში, განა რამდენი კარგი გერმანისტი შეიძლება გყავდეს-მეთქი. მაგრამ, მეორე მხრივ, ბალტიისპირელებიც, დანიელებიც ცოტანი არიან და მთარგმნელობით საქმეში რატომ არავის ჩამორჩებიან? ჩვენ კი ჯერ ისეთი ავტორებიც არ გვითარგმნია, ევროპაში რომ უკვე დაივიწყეს.

— თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დავიანებით, მაგრამ მაინც ითარგმნა გუსტავ იუნგის „ფსიქოლოგია და ალქიმია“. თქვენს მიერ თარგმნილი ეს ნაშრომი 2005 წელს, გამომცემლობა „დიოგენე“ გამოსცა. სამომავლოდ, რა თარგმანებს უნდა ველოდეთ თქვენგან?


— უკვე დავასრულე და მალე გამოიცემა იუნგის კიდევ ორი ნიგნი — „ფსიქოლოგია და რელიგია“ და „პასუხი იობის კითხვაზე“. მგონია, რომ ეს უკანასკნელი ქართველებისთვისაა დაწერილი. ეს არის განბრძნობილი ადამიანის ტექსტი, რომლის ნაკითხვას ყველას ვურჩევდი. „პასუხი იობის კითხვაზე“ იუნგის ბოლო ნიგნია.

როგორც გითხარით, ჰერმან ბროხის „მთავრეულებზე“ სამუშაოდ ვემუშადები. ტრილოგიაა, საკმაოდ დიდი ტექსტია, მაგრამ რაკი მუზილი „გადავიტანე“, შიში აღარაფრის მაქვს, ყველაფერს გავუძლებ.

— ქართული ლიტერატურის გერმანულად თარგმნაზე თუ გიფიქრიათ?

— ამაზე არ მიფიქრია. მიუხედავად იმისა, რომ სავსებით ვფლობ გერმანულსა და სრულყოფილად შემიძლია გამოვხატო ყველა ემოცია ამ ენაზე, — ის ჩემი მშობლიური ენა არ არის, მაღალი ხარისხის თარგმანისთვის კი აუცილებელი პირობაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ქართული ტექსტის თარგმანი გერმანულ რედაქტორთან ერთად უნდა შესრულდეს. გარდა ამისა, გერმანულ და ზოგადად, ევროპულ ბაზარს, სავსებით სხვა კანონები აქვს. რომელიმე ქართული ტექსტის თარგმნა თქვენი არჩევანით, თქვენს ნაიბრუნებელს რომ ნამოიწყოთ, გგონიათ ვინმე ნაკითხავს ან გამოსცემს? ჩემი შევიცარიელი მეგობარი ქართული ლიტერატურის აგენტია და სწორედ იმაზე მუშაობს, რომ გამოცემლები დაინტერესოს, მათ ქართველი ავტორები გააცნოს. ასე ითარგმნა აკა მორჩილაძის ნიგნები და დიდი წარმატებითაც გაიყიდა; ითარგმნა თამთა მელაშვილის „გათვლაც“, რომლის პრეზენტაცია ლაიფციგის ნიგნის ბაზრობაზე სულ მალე შედგება. ასე რომ, თუკი წინასწარ არ დაინტერესდა გამომცემელი, თარგმნას აზრი არ აქვს.

მეორე პრობლემა ისაა, რომ ქართული მხატვრული ტექსტების გერმანულზე გადათარგმნელები არ გვყავს. აუცილებელია, ამ მიმართულებით შესაბამისმა სახ-



ელმწიფო სტრუქტურებმა იმუშაოს, თანხა გამოყოს, უცხოელი სპეციალისტი ჩამოიყვანოს, პირობები შეუქმნას, ენა შეასწავლოს... ევროპელი, მთ უფრო კი გერმანელი მთარგმნელი ძალზე ინტერესიანია, ის მუდმივად ახლის ძიებაშია და საქართველოს უცხო და საინტერესო სამყაროდ აღიქვამს.

2015 წელს, ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანა ვართ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. როგორ ვემზადებით ამისთვის, რა მიგვაქვს იქ? მომსწრე ვარ, როგორ გაისარჯნენ ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის „მასპინძლობისთვის“ ისლანდიელები, რამდენად ადრე შეუდგნენ საქმეს, რა მასშტაბის სამუშაო განახორციელეს იმისთვის, რომ ღირსეულად წარმდგარიყვნენ ევროპელი მკითხველისა და გამომცემლების წინაშე. ჩვენთან ახლა გამალებული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს, სათარგმნი მასალაც შერჩეული უნდა გვემოედეს და ისიც ვიცოდეთ, რომელი ქართველი მთარგმნელი რომელ უცხოელ რედაქტორთან იმუშავეს. ცხადია, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საქმეში საუკეთესო სპეციალისტები უნდა იყვნენ ჩართულნი. დამეთანხმებით, მხოლოდ რამდენიმე ქართული ტექსტის თარგმნა ამ მასშტაბის ღონისძიებისთვის საკმარისი არ არის. ეს პროექტი ჩვენი საკიბიტო ბარათი უნდა გახდეს. ასეთი ინტელექტუალური ღონისძიებები აუცილებელია ევროპასთან ჩვენი მეტალური და პოლიტიკური ინტეგრაციისთვის, ამიტომ ვფიქრობ, ძალზე სერიოზული თადარიგი გვმართებს.

ესაუბრა თამარ ჟურული

ჩატებულები რომ ნოე შეკრთაც და სიხარულით სულ-ციმციმ რომკი შეიტანა ქვედა სართულზე და ხოლო იქ კი, როგორ მხსნელად დამძიმებული იმ დოლობებით დაფქვა და შეზიდა იფქლის (— „შემოდგომაზე ნათესი ხორბალი“) ნაყოფი ხორბალი, პური — იმისი ცომი წყალთან ჩვენი არსობისა, არსებობისა, და გრძლად და გრძლად უგრძესი როგორ-ძალიან გრძელუმიანი დღეთ-შვიდეულთა განვლის შემდგომ ნოე თუმც ვერაფერზე ფიქრობდა იმის გარდა რომ ცახცახებდა, ფიქრისა-ხომ თუნდ ცახცახიცი თავისი როგორ, ღმერთისადმი — დაშინებული და იმედნაკური იყო ცახცახი-ესი ემნოესი და მაგრამ, მაინც, ნოეს კი ცხადად და დაბლად-უფრო მხოლოდ ისლდა გაახსენდა რომ არ დახოცილიყვნენ, არ დახოცოდა უ-სასამელ-საჭმლოდ მისადმი მინდობილი და ნანდობი სულიერები და შეწუხდა დიდად რადგან იმ თავსდატეხილ და ამოტეხილ ორომტრიალებში და ირგვლივითურა ჯინჯილსა და მთლად უთვალავ ნაბათად-დამცემ ზარათატეხაში და წრიულად როგორ ძალიან განვრცობილსა უუხალვათესად განდგმულ განგაში შეუძლებელი იყო ჩასვლა ქვევით მაგრამ არარა-იყო შეუძლებელი, ღვთით, და ჩაუტანა ნოემ იფქლი იმათ,


სულიერებს, დაუფქვაცა და მცირე თუ დიდ-დიდს გობებში ჩაუყარა კი არა, არა — ჯერ ეამბოზა და ისე უბოძა იმათ, წყალმერეული ფქვილი შეფიქრებს რადგანა-ნაც ფქვილი იყო ბოძებული თავად ღვთით უფალით, ნამსვე შეთქვლიფა ღორმა თავისი წილი და როგორ ხარბად აღრუტუნდა დასამატი საჭმელისათვის მთლადაც ზოგიერთ-ადამ-იანსავით და ამას კიდევ რა უშავდა რადგან იქვე ძალდი თან ჭამდა და უღრენდა თან, ღრინვით ითხოვდა ცალას მკვებავისა ღრენით-ძალღურით და, თივა-ბალახი რომ დაუფინა ბევრსაც სხვა ცხოველს მხოლოდდა კატამ გააოცა რომკი მიმოავლო ნოემ ცხოველებს, თვალი — დანაყრებული მცირედ, მცირედით, თათებზე ენას გუდმოფინედ ისვამდა და, პირს ინმენდა, პირს იბანდა თავისიღ წერწყვით, კატა... ორომტრიალში იმ!

ხოლო საშუალო ძე ნოესი, ქამი, რატომღაც სხვებზე მეტად იკვებებოდა და ხოლო ნაკლებად — იაფეთი, მაგრამ ნოემ კი თუმც იცოდა თუ რა ელოდათ მოვლინებით-ამ ატლანტიდლებს მაგრამ, ასეთი?



ჯულიან ბარნსი ფლობერის თუთიყუში რომანი

დაუნერეული წიგნები? ამაზე გულისწევა არ ღირს. წიგნების მეტი რა არის. მახსენდება დასასრული „L'Education sentimentale“-ისა.³ ფრედერიკი და მისი ამხანაგი დელორე განვლილ ცხოვრებას იხსენებენ. საბოლოოდ, დაასკვნინან, რომ ყველაზე კარგი მოგონება წლების წინ, მონაფეობისას, ბორდელში სტუმრობაა. მგზავრობა დეტალურად დაგეგმეს, ამ შემთხვევისთვის საგანგებოდ დაიკულულეს თმა, ყვავილებიც კი მოიპარეს გოგონებისთვის. მაგრამ ბორდელში რომ მივიდნენ, ფრედერიკს ნერვებმა უმტყუნა და ორივე გამოიქცა. ეს იყო საუკეთესო დღე მათ ცხოვრებაში. განა სიამოვნების ყველაზე უტყუარი ფორმა კარგის მოლოდინის სიამოვნება არ არის? — კითხულობს ფლობერი. ვის რაში სჭირდება კმაყოფილების უკაცრიელ სხვენში ნაფარდი?



ხელი ეტაცათ, ფეხი უსხლტებოდან, ეცემოდნენ და თავს სასაცილოდ იხდიდნენ. ხშირად წარსული იმ გოგამ მაგონებს.

რუანში ყოფნის შესახებ დღეს, ფეხით წავედი Hô tel-Dieu-ში, საავადმყოფოში, სადაც გუსტავის მამა ქირურგი იყო, და სადაც მწერალმა ბავშვობა გაატარა. გუსტავ ფლობერის გამზირის გაყოლებაზე Imprimerie⁷ Flaubert-სა და სასაუბრე Le Flaubert-ს ჩაუყვანი: დანამდებლებით გრძნობ, რომ სწორი მიმართულებით მიდიხარ. საავადმყოფოსთან დიდი, თეთრი, „პეჟო“ იდგა, ასახდელი უკანა კარი ლურჯი ვარსკვლავებით შქონდა მოხატული, ზედ ენერა ტელეფონის ნომერი და AMBULANT⁸ FLAUBERT. მწერალი — მკურნალი? არა მგონია. გამახსენდა ჟორჟ სანდის დინჯი საყვედური ახალგაზრდა კოლეგას: „თქვენ უნუგეშობთ ავსებთ ადამიანებს, — წერდა ის, — მე ნუგეშს ვგვრი.“ „პეჟოზე“ უნდა წაენერათ AMBULANT GEORGE SAND.

Hô tel-Dieu-ში შემოვივა გაძვალტყუავებულმა, მოუსვენარმა *gardenier*⁹-მა, რომლის თეთრმა სამოსმაც ცოტა არ იყოს, შემაცბუნა. არც ექიმი იყო, არც *pharmacie*¹⁰ ან კრიკეტის მსაჯი. თეთრი ტანსაცმელი სტერილურობასა და პატიოსნებაზე მიგვანიშნებს. მუზეუმის მეთვალყურეს ასე რატომ უნდა ეცვას — გუსტავის ბავშვობის ბაქტერიებისგან დასაცავად? მან ამიხსნა, მუზეუმი არც ფლობერს ლალატობს და არც მედიცინის ისტორიას, მერე ნაჩქარევად მომატარა იქაურობა, ყოველი დარბაზიდან გამოსვლისას კარებს გულმოდგინედ, ხმაურით ხურავდა. მაჩვენეს ოთახი, სადაც გუსტავი დაიბადა, მისი ოდეკოლონის ფლაკონი, თამბაქოს ქილა და და პირველი საჭურწარმო სტატია. მწერლის ნაირ-ნაირი სურათები ადასტურებდა, რომ ლამაზი, ახალგაზრდა კაცი ნაადრევად გამოცვლილა და ლიპიან, მელორტ ბიურგერად ქცეულა. ზოგი სიფილისის აბრალეებს. სხვები ამბობენ, მეცხრამეტე საუკუნეში ყველა ასე ბერდებოდაო. ან უბრალოდ, მისმა სხეულმა ქცევის წესები იცოდა და არც ღირსება აკლდა: როცა გონებამ თავისთვის გადაწყვიტა, ნაადრევად დავებრდიო, ხორცმა თავი არ დაზოგა ამის დასამტკიცებლად. ჩემთვის, უხმოდ ვიმეორებდი, რომ ფლობერი ქერა იყო, თორემ შეიძლებოდა, დამეჩინოდა: ფოტოებზე ყველა შავგვრემანი ჩანს.

სხვა ოთახებში მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების სამედიცინო ხელსაწყოები გამოფენილი: ლითონის მძიმე რელეიქციებით დაწყებული და ბასრი ნივთებით დამთავრებული, აქვე ელაგა ისეთი ვეება ოყნები, რომ მეც კი გაკვირვებული დავრჩი. მაშინ მედიცინა ამაღლევებელი, თავგანწირული, გაფთვრებული საქმე უნდა ყოფილიყო; დღეს ეს საქმე აბებია და ბიუროკრატია. ან იქნებ, წარსული უფრო კოლორიტული გვეჩვენება? გუსტავის ძმის, აქილევსის სადოქტორო დისერტაცია ნავიკითხვ: სახელად ჰქვია „რამდენიმე მოსაზრება ჩაჭედების თიაქარის ოპერაციის გამო“. ძმების ერთსულეობა: აქილევსის თეზისი მოგვიანებით გუსტავის მეტაფორად იქცა. „ჩემი ეპოქის სიბრიყვე ისეთ სიძულვილსა მგვრის, ლამისა სული შემეხუთოს. პირში განავალი ამოდის, როგორც ჩაჭედილი თიაქარის დროს. მაგრამ მინდა, შევინახო, ფორმა მივცე, გავამაგრო; მინ-

ცლების გარდა არაფერი დარჩენილა. ქალაქი, იდეები, ფრაზები, მეტაფორები, სტრუქტურული პროზა, რომელიც ბგერად იქცევა. რასაკვირველია, თვითონაც სწორედ ასე ინდობებდა; მხოლოდ სენტიმენტებს აყოლილი თაყვანისმცემლები ბუზღუნებენ უკმაყოფილების ნიშნად. მწერლის სიკვდილის მერე სულ მალე დაანგრეს მისი სახლი კრუასეში. იმ ადგილას უფარგისი ხორბლისგან სახდელი ალკოჰოლის ქარხანა ააშენეს. არც მისი გამოსახულების თავიდან მოშორება იქნებოდა ძნელი საქმე: თუკი ერთ მერს ქანდაკებები უყვარს და დგამს, მეორე — იქნებ, ვინმე წიგნიერი პარტიული აქტივისტი, ვისაც თვალი გადაუვლია სარტრის ნაწერისთვის ფლობერზე — თავგამოდებით ცდილობს, ჩამოაგდოს მწერლის ძეგლი.

ქანდაკებით ვინყებ, რადგან სწორედ იქ დავინწყე მთელი პროექტი. რატომ გვაქვებებს ნაწერი, რომ მწერალს ავედევნოთ? რატომ ვერ ვეშვებთ? წიგნებს რატომ ვერ ვჯვრდებით? ფლობერს უნდოდა, წიგნები გვეკმარა: სულ ერთი-ორი მწერალი თუ მოიძებნება, მასზე მეტად რომ სჯეროდეს ნაწერის ობიექტურობა და მწერლის პიროვნების უმნიშვნელობა; თუმცა ჩვენ მანაც ვჯვრდებით, თავს არ ვანებებთ. გამოსახულება, სახე, ხელმოწერა; 93-პროცენტიანი სპილენძის ქანდაკება და ნადარის ფოტოგრაფია; ტანსაცმლის ნაკუნი და თმის კულუნი. რა გვაგიჟებს რელიქვიებზე? სიტყვების ბოლომდე არ გვეჯერა? გვგონია, რომ გაუმჟღავნებელი სიმართლე ცხოვრების წერილობითი იმალა? როცა რობერტ ლუსის სტივენსონი გარდაიცვალა, მისმა ფხიანმა შოტლანდიელმა ძიძამ უყუყუანოდ დაიწყო თმის გაყიდვა. ამტკიცებდა, მწერალს ორმოცი წლის წინ მოვჭერიო. გულუბრყვილოებმა, მაძიებლებმა, მდევნელებმა იმდენი იყიდეს, რომ ერთი დივანი გაიტყენებოდა.

გადავწყვიტე, კრუასე ბოლოსთვის შემომენახა. რუანში ხუთი დღით ვიყავი ჩასული. ბავშვური ინსტინქტით დღემდე ბოლოსთვის ვიტოვებ საუკეთესოს. იქნებ, მწერლებზეც იგივე იმპულსი მოქმედებს? გადადე, გადადე, საუკეთესო ჯერ კიდევ ნინაა? თუ ასეა, რა მიმზიდველი უნდა იყოს დაუმთავრებელი წიგნები. ერთი-ორი დაუფიქრებლად გახსენდება: „*Bouvard et Pécuchet*“¹ — ფლობერი ესწრაფვოდა, ამ წიგნში მოექცია და გაეკიცხა მთელი სამყარო, ადამიანის ძალიანსხვევა, ადამიანის მანკიერება; და „*L'Idiot de la famille*“² — სარტრი ესწრაფვოდა, ამ წიგნში მოექცია ფლობერი; დაემცირებინა დიდი მწერალი, დიდი ბურჟუა — ძრწოლისმომგვრელი, მტერი, ბრძენი. ინსულტმა შეწყვიტა პირველი პროექტი; სიბრძავემ შეკვეცა მეორე.

ერთხანს წიგნების წერაზე ვფიქრობდი. მქონდა იდეები; ჩანაწერებსაც კი ვაკეთებდი. მაგრამ ექიმი ვიყავი, ცოლ-შვილიანი. ადამიანს კარგად მარტო ერთი რამის კეთება შეუძლია: ფლობერმა ეს იცოდა. მე ექიმობა გამომდიოდა კარგად. ცოლი... გარდაამეცვალა. შვილები დაიფანტნენ: მაშინ მწერენ, როცა სინდისი ქენჯნით. ბუნებრივია, თავისი ცხოვრება აქვთ. „ცხოვრება! ცხოვრება! წამოდგომის უნარი!“ ამას ნინათ, ფლობერის წამოძახილი რომ წავიკითხე, თავი დაკეპსილთეძიანი ქვის ქანდაკება მეგონა.

ქმსნი ჩრდილოაფრიკელი ბულებს თამაშობდა ფლობერის ქანდაკებასთან.

მანქანებით გაჭედული ქუჩის ხმაურში დროდადრო იჭრებოდა ბურთულების წკრიალა, მჭდური ხმა. ყავისფერმა ხელმა ირონიული ალერსით ერთხელაც დაატრიალა ვერცხლისფერი ბურთულა თითისწვერებში და მოისროლა. ისიც მიწაზე დაეწვინა, მიძიმედ მოსწყდა და ნელა გაკლავა ზოლი დამტყვერილ ასფალტზე. მტყვერილი წამით გაქეცა კოხტა ქანდაკებასავით: მუხლები — ოდნავ მოხრილი, მარჯვენა ხელი — აღფრთოვანებით განვდილი. თვალში მომხვდა აკაპინებული, თეთრი პერანგი, შიშველი მკლავი და ციცქნა ლაქა მაჯაზე. საათი კი არა, როგორც თავიდან მეგონა, ან სვირინგი, არამედ ფერადი, გადასაყვანი სურათი: რომელიღაც ბრძენი პოლიტიკოსი, უდაბნოში დიდ პატივს რომ სცემდნენ.

ნება მიბოძეთ, ქანდაკებით დავიწყო: თავზე რომ წამოსდგომოდან, უცვლელი, უსახური, ჩამოღვენილი სპილენძის ზოლები ცრემლებით სდის; მოშვებული ჰალსტუხი, ოთხკუთხა ჟილეტი, ტომარასავით შარვალი, გაბურძნული უღვაში, უნდო, უგულსიყურო, დაღვრემილი სახე. ფლობერი შენს მხერგს არ პასუხობს. კარმების მოედინიდან სამხრეთით იქიქრება, ტაძრისკენ, იმ ქალაქის მიღმა, რომელსაც ტუჩს უბზუებდა, და რომელიც, თავის მხრივ, არაფრად აგდებდა. თავი ხაზგასმით მალდა უჭირავს: მთელი სიგრძე-სიგანით მხოლოდ მტრედები თუ ხედავენ მწერლის სიქაჩლეს.

ეს ქანდაკება ორიგინალი არ არის. პირველი ფლობერი 1941 წელს წაიღეს გერმანელებმა, მესერებთან და კარებზე დაკიდებულ ჩაქუჩებთან ერთად. ალბათ მუზარადებად გადაადნეს. დაახლოებით ათწლეულის განმავლობაში კვარცხლბეკი ცარიელი იდგა. მერე ქანდაკებების მოყვარულმა რუანის მერმა ხელახლა აღმოაჩინა თავდაპირველი თაბაშირის ტვიფარი — ერთ რუსს, ლეოპოლდ ბერნსტამს რომ გაეკეთებინა — და ქალაქის საბჭომ ახალი ქანდაკების დადგმის იდეა მოიწონა. თავად რუანმა რიგიანი ლითონის ქანდაკება იყიდა — 93% სპილენძი და 7% კალა: ჩამომსხმელი რუდიე Chatillon-sous-Bagneux-დან დაბეჯითებით ამბობდა, ასეთი ნაზავი გარანტიაა კოროზიის წინააღმდეგო. პროექტის დაფინანსებაში კიდევ ორმა ქალაქმა შეიტანა წვლილი — ტრუვილმა და ბარენტინმა; სამაგიეროდ, ქვის ქანდაკებები ერგოთ. ესენი ნაკლებად გამძლე გამოდგა. ტრუვილში ფლობერს თეძო დასაკერებელი გაუხდა, უღვაშის ნაწილები ჩამოსცივდა და ზედა ტუჩზე ისე გამოეჩარა კარკასის მავთულები, თითქოს ბეტონის კუნძში ნაფოტები ჩაურჭვიათო.

შესაძლოა, ჩამომსხმელთა სიტყვა დასაჯერებელი იყოს; შესაძლოა, ამ მეორადმა ქანდაკებამ დიდხანს გაძლოს. მაგრამ მე რაღაც არ მჯერა ეგ ამბავი. ფლობერთან დაკავშირებით ხანგრძლივი არაფერი ყოფილა. ას ნელზე ცოტათი მეტი გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან, და მის კვალზე ფურ-

და, მასა მოვზილო და მეცხრამეტე საუკუნეს გადავფარო, ინტელექტუალური — ძროხის ნაკელით რომ მოხატავენ ხოლმე პაგოდას. თავდაპირველად კავშირი ამ ორ მუზეუმს შორის უცნაური ჩანდა. აზრი მაშინ შეიძინა, როცა გაიხსენებოდა ცნობილი კარიკატურა, სადაც ფლობერის ჰერმეტიკი ემა ბოვარის — რომანისტი ჰერმეტიკი უზარმაზარ ჩანგალზე წამოცმულ, სისხლით მწვეთავ გულს, ზარ-ზეიმით რომ ამოუგლეჯია თავისი გმირის სხეულიდან. ქირურგიულ გამოფენაზე მიღებული ჯილდოსავით აფრიალებს ჰერმეტიკი ორგანოს; ნახატის მარცხენა მხარეს კი ჩანს მწოლარე, გათელილი ემას ფეხი. მწერალი — ყასაბი, მწერალი — მგრძობიარე და სასტიკი.

მერე თუთიყუში დავინახე. პატარა ნიშაში იჯდა, უტიფარი თვალები მწვანედ უბრწყინავდა. თავი ცნობისმოყვარედ გადაეხარა. ქანდაკის ბოლოზე წარწერა ეკიდა — „Psittacus.“¹¹ ეს თუთიყუში გ. ფლობერმა რუანის მუზეუმიდან წამოიყვანა და თავის საშუალო მაგიდაზე მიუჩინა ადგილი *Un coeur simple*-ის წერისას. მოთხრობაში ლულუ ჰქვია და მთავარი გმირის, ფელისიტეს თუთიყუშია. „ფლობერის წერის ქსეროსასილი ადასტურებდა ამ ფაქტს: წერს, თუთიყუში სამი კვირა სანერ მაგიდაზე მეჯდა და მისი დანახვა უკვე წერვებს მიშლიდაო.“

ლულუ მშვენიერ მდგომარეობაში იყო, ისეთივე ცინიკალი ბუმბული და გამალიზიანი ცხელი თვალები ჰქონდა, როგორც ასი წლის წინ უნდა ჰქონოდა. შეეცქეროდი ჩიტს და ჩემდა გასაკვირად, ამალეღებელ სიახლოვეს ვგრძობდი მწერალთან, რომელმაც ქედმაღლურად აუკრძალა შთამომავლობას თავისი პიროვნებით დანიტურება. მისი ქანდაკების ადგილას ასლი დადგეს, მისი სახლი დაანგრეს; წიგნებს საკუთარი ცხოვრება ჰქონდათ — მათზე ნათქვამი მწერალს არ ეხებოდა. მაგრამ აქ, ამ შესანიშნავმა მწვანე თუთიყუშმა, რომელიც ჩვეულებრივი, თუმცა იდეალური ფორმით შემოგნახა, როგორღაც ისეთი გრძობა გამიჩინა, თითქოს მწერალს პირადად ვიცნობდი. ეს თან გულზე მომხვდა, თან გამახალისა.

სასტუმროში დაბრუნებისას, გზად *Un coeur simple*-ის სტუდენტური გამოცემა ვიყიდე. შეიძლება, იცოდეთ ეს მოთხრობა. ღარიბი, გაუნათლებელი მოახლე ფელისიტე ნახევარი საუკუნე ერთ ქალბატონს ემსახურება, უდრტინველად ჩუქნის სიცოცხლეს სხვა ადამიანებს. უყვარს ხეპრე საქმრო, ქალბატონის შვილები, თავისი ძმისწული, ბერიკაცი, მკლავზე სიმსივნე რომ აქვს. თანდათანობით ყველას ჰკარგავს: კვდებიან, ან მიდიან, ან უბრალოდ, ივიწყებენ. რა გასაკვირია, რომ ამგვარ არსებობაში ცხოვრებისეული დარდისა და სასონარკვეთის გასაქარვებლად ერთადერთი ნუგეში შემორჩენია — რელიგია.

ფელისიტეს სიყვარულის საგანთა ჯაჭვი თანდათანობით იღვრა და ბოლო რგოლი აქ თუთიყუში ლულუა. თავის დროზე ისიც კვდება და ფელისიტე მის ფიტულს აკეთებს. სათაყვანებელ რელიქვიას გვერდიდან არ იშორებს, ლოცვისას მის წინ მუხლსაც კი იყრის. დოქტრინული აბდაუბდა ვითარდება მის მარტივ გონებაში: აინტერესებს, ხომ არ აჯობებდა, სულიწმინდა, რომელსაც პირობითად, მტრედად ასახავენ, თუთიყუშად გამოესახათ. ლოგია გარკვეულწილად, მის მხარესა: თუთიყუშებსა და სულიწმინდას შეუძლიათ ლაპარაკი, მტრედებს კი — არა. მოთხრობის ბოლოს, ფელისიტე თვითონაც კვდება. „ტუჩებზე ღიმილი ეფინა. გულისცემა თანდათანობით შეუნელდა, ყოველ ჯერზე უფრო და უფრო აგვიანებდა ფეთქვას, ნელ-ნელა დანყვეტილი შადრევანის, ან მინავლული ექოსავით; და ბოლო ამოსუნთქვისას თითქოს დაინახა, როგორ გაიხსნა მისთვის ზეცა და ვეება თუთიყუში აფრთხილდა მის თავზე.“

მთავარი აქ თავშეკავებული ინტონაციაა. წარმოდგინეთ, ტექნიკურად რა ძნელი უნდა იყოს დანერა მოთხრობისა, სადაც უხეიროდ გატენილი ჩიტი, სასაცილო სახელი რომ ჰქვია, საბოლოოდ წმინდა სამებაში წამოსკუპდება, და ეს ჩანაფიქრი არც სატირული ან სენტიმენტალურია და არც მკრეხელობა. წარმოდგინეთ, როგორია უბირი, მოხუცი ქალის თვალთ დანახული ამბის მოყოლა ისე, რომ არც დამამცირებელი გამოვიდეს და არც ქედმაღ-

ლური. მაგრამ *Un coeur simple*-ის მიზანი სრულიად სხვაა: თუთიყუში სრულყოფილი და მოქნილი მაგალითია ფლობერისეული გროტესკისა.

თუ მოგვიწვება (და თუ ფლობერს ვეურჩებით) შეგვიძლია, ჩიტის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოვიფიქროთ. მაგალითად, შეფარული პარალელები ნაადრევად დაბერებული მწერლისა და ღრმად მოხუცებული ფელისიტეს ცხოვრებებს შორის. საამისოდ კრიტიკოსები უკვე შეესივნენ ქალაქებს. ორივე მარტოსული იყო; ორივეს ცხოვრება დანაკარგებით იყო დაღდასმული; ორივეს დარდი ჰქონდა ვისაც გაბუქვა ემარჯვება, ვარაუდობს, რომ ის ეპიზოდი, სადაც ჰონფლერისკენ მიმავალ ფელისიტეს გზაზე საფოსტო კარეტა ეჯახება, შენიღბულად მიანიშნებს გუსტავის პირველ ეპილეპტიკურ შეტევაზე, როცა ის ბურ-ამართან, შარაგზაზე დაეცა. არ ვიცი, რამდენად უნდა შეინიღბოს მინიშნება, სანამ საბოლოოდ დანიტქება ხსოვნის მორევში?

სხვა მხრივ, ფელისიტე რასაკვირველია, სრულიად განსხვავდება ფლობერისაგან: ის პრაქტიკულად უტყვია. მაგრამ შეგვიძლია, არ დამეთანხმდეთ, სწორედ აქ შემოდის ლულუ — თუთიყუში, მოლაპარაკე ფრინველი, იშვიათი არსება, რომელიც ადამიანურ ხმებს გამოსცემს. ტყუილუბრალოდ კი არ აიგივებს ფელისიტე ლულუს სულიწმინდასთან, ვინც ენა ამოგადგმევინა.

ფელისიტე+ლულუ=ფლობერს? ვითომ? მაგრამ შეიძლება, ამტკიცოთ, რომ მწერალი ორივე მათგანშია. ფელისიტეში მისი ხასიათია; ლულუში მისი ხმაა. შეგეძლოთ გეტყვათ, რომ თუთიყუში, რომელიც წარმოგვიდგენს, თუ როგორ ჟღერს აზრი გონების ძალიხმევის გარეშე, იყო წმინდა სიტყვა. ფრანგი აკადემიკოსი რომ ყოფილიყავით, იტყოდით, რომ ის იყო *un symbole du Logos*.¹² მე კი ინგლისელი ვარ და ხორციელისკენ მიმინევს გული: იმ კობტა, უტიფარი არსებისკენ, *Hô tel-Dieu*-ში რომ მყავს ნანახი. წარმოვიდგინე სანერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს დასკუპებული ლულუ, ფლობერს თვალს თვალში რომ გაუყრის, საბაზრო ატრაქციონების სარკიდან მომზირალი, გამომწვევი ანარეკლივით. რა გასაკვირია, რომ სამი კვირა მის პაროდოულ საზოგადოებაში ყოფნა გამალიზიანებული იყო. ვითომ მწერალი რითი სჯობს გაქეილ, სწავლულ თუთიყუშს?

აქ კი ალბათ უნდა ვახსენოთ ოთხი მთავარი შეხვედრა რომანისტსა და თუთიყუშთა ოჯახის წარმომადგენელს შორის. 1830-იან წლებში, ფლობერების ოჯახი ყოველ წელს ტრუვილში ისვენებდა და ხშირად სტუმრობდა გემის გადამდგარ კაპიტანს, პიერ ბარბესს; როგორც გვითხრეს, კაპიტანს სახლში საუცხოო თუთიყუში ჰყოლია. 1845 წელს გუსტავი ანტიბის გავლით იტალიაში მიემგზავრებოდა, და სწორედ ანტიბში გადაეყარა ავადმყოფ, გრძელკუნდა ფრინველს, რომელმაც მწერლის დღიურში ხსენება დაიმსახურა; ჩიტი პატრონის ორთვალაზე იყო ხოლმე წამოსკუპებული, ვახშობისას კი სახლში შეჰყავდათ და ბუხრის თავზე სვამდნენ. დღიურში ავტორი აღნიშნავს, აშკარაა კაცისა და ჩიტის „უცნაური სიყვარული“. 1851 წელს ფლობერი აღმოსავლეთიდან ბრუნდებოდა, გზად ვენეციაში შეიარა და იქ გაიგონა, დიდი არხის გადამა, მოოქროვილი გალიიდან როგორ გაჰყვიროდა თუთიყუში გონდოლიერისთვის: „*Fâ eb, capo die!*“.¹³ 1853 წელს, ისევ ტრუვილში ყოფნისას, *pharmacie*-თან ცხოვრობდა, და გული ჰქონდა განვრთვებული — თუთიყუში ხან ჭყიოდა „*As-tu dejeune, Jako?*“¹⁴ და „*Cocu, mon petit coco*“¹⁴; ხან კიდევ უსტვენდა — „*J'ai du bon taac*“.¹⁵ ნეტავ ამ ჩიტებმა შთააგონეს ლულუ მწერალს? ეგებ ყველამ? ან რომელიმე მათგანმა? და კიდევ თუ ნახა სადმე ცოცხალი თუთიყუში 1853 წლიდან 1876 წლამდე, როცა რუანის მუზეუმში ფიტული ინათხოვრა? ასეთი ამბები პროფესიონალურისთვის დამითმია.

საწოლზე ვიჯექი, სასტუმროში; მეზობელი ოთახიდან ტელეფონი ნიოკით ეხმიანებოდა თანამოძმეებს. თუთიყუშზე ვფიქრობდი, ნიშაში რომ იჯდა თითქმის ნახევარი მილის იქით. უტიფარი ჩიტი, რომელიც მარტო სიყვარულს კი არა, მონინებასაც კი ინევედა. რა უყო ფლობერმა

Un coeur simple-ის დასრულების შემდეგ? განჯინაში შედო და დაიფინა მისი გამალიზიანებული არსებობა, სანამ ერთ ცივ საღამოს სახლის დამატება არ დასჭირდა და ძენა არ დაუნყო? რა მოხდა ოთხი წლის შემდეგ, როცა აპოპლექტიკურმა დარტყმამ დივანს მიაჯაჭვა სასიკვდილოდ? იქნებ, მის თავზეც აფრთხილდა გოლიათი თუთიყუში — ოღონდ ამჯერად ეს სულიწმინდასთან შეგებება კი არა, სიტყვასთან გამოთხოვება იყო?

„შემანუხა აშკარად მოჭარბებულმა გატაცებამ მეტაფორით. შედარებები ტილებითი მჯიჯგინან, და დროს უაზროდ ფვლანგავ მათ ჭყლეტაში.“ სიტყვები ადვილად მოდიან, ფლობერთან, მაგრამ იგი **სიტყვის** ფარულ შეუსაბამობასაც ხედავს. გაიხსენეთ ნაღვლიანი განსაზღვრება „მადამ ბოვარიდან“: „ენა ძველ, გამსკდარ ჩაიდანსა ჰგავს, რომელზეც დათვის საცეკვოს ვაკაკუნებ, არადა გვინდა, ვარსკვლავებს ავუჩუყოთ გული.“ ასე რომ, შეგვიძლია, რომანისტი ორგვარად წარმოვიდგინოთ: შეუვალი და დასრულებული სტილისტი; ან კაცი, ვისთვისაც ენის არასრულყოფილება ტრაგედიაა. სარტრულეს მთელი ვარიანტი ურჩევნიათ: მათი აზრით ის, რომ ლულუს ყურმოკრული, გაცვეთილი ფრანგების გამეორებაზე მეტი არაფერი შეუ-



ძლია, მწერლის მიერ საკუთარ მარცხზე მინიშნება. საეჭვოა, თუთიყუშისთვის/მწერლისთვის ენა იყოს ის, რასაც იღებ და ზაძავ, ინერტულად. ისარტრი თვითონ საყვედურობდა ფლობერს პასიურობისთვის, რწმენისთვის (ან ვითომ რწმენისთვის), რომ *on est parlé* — სათქმელი ნათქვამია.

ეს ბუშტების ფრქვევა ხსოვნის მორევში დანთქმული კიდევ ერთი მოსაზრების სასიკვდილო ხრიალს ხომ არ ჰგავდა? მოჭარბებული ვარაუდები მაშინ გეძალევა, როცა ნიგნში თავჩარგული, გრძობ, რა უმწეო ხარ, მარტოსული, და შეიძლება, ბრწყინდ. იქნებ, კრიტიკოსი ცდება, როცა ლულუს სიტყვის სიმბოლოდ მიიჩნევს? იქნებ, მკითხველი — ყველაზე უარესი, სენტიმენტალური მკითხველი — ცდება, როცა ფიქრობს, რომ თუთიყუში *Hô tel-Dieu*-ში მწერლის ხმის სიმბოლოა? მეც ეგრე მომივიდა.. ალბათ, ამიტომაც ვარ ფელისიტესავით გონებაზეზღუდული.

მაგრამ ამბავს დაარქმევთ თუ ტექსტს, *Un coeur simple*-ის ანარეკლი მესხიერებაში მაინც შემონახულია. ნება მომეცით, მოვიყვანო კეთილმოსურნე, თუმცა უჩვეულო ციტატა დევიდ ჰოკინის ავტობიოგრაფიიდან: „ამბავმა ნამდვილად იმოქმედა ჩემზე, ვიგრძენი, რომ ეს იყო თემა, რომელიც შემეძლო გამეთავისებინა და გამომეყენებინა.“ 1974 წელს მისტერ ჰოკინი რამდენიმე გრავიურა შექმნა: ფელისიტეს თვალთ დანახული გარე სამყაროს კარიკატურული ვერსია (მაიმუნს მხარზე გადაუდგია მოტაცებული ქალი), და ლულუსთან ერთად ძმინარე ფელი-

სიტეს მშვიდი სცენა. დროთა განმავლობაში შესაძლოა, კვლავ მიუბრუნდეს ამ ამბავს.

რუანში ყოფნის ბოლო დღეს კრუასეში წავიდი. ნორმანდიულად წვიმა — წყნარად ცრიდა. სენის ნაპირას, მწვანე გორაკების ფონზე გამწვანებული შორეული სოფელი ახლა ვეება ნავსაშენებმა ჩაყლაპა. შროების ექვ; თავზე გადმოკიდებული ამწეების პორტალები, და წარმოებით უსამველოდ გადატვირთული მდინარე. რასაკვირველია, *Bar le Flaubert*-იც აქვეა; საბარგო მანქანების ჩავლისას ფანჯრები ზანზარებს.

გუსტავის საგანგებოდ აღნიშნავდა და ინონებდა აღმოსავლურ წესს — გარდაცვლილთა სახლები უნდა დაინგრეს; ასე რომ, საკუთარი სახლის დანგრევა ალბათ თავის მკითხველებზე, თავის მდევრებზე ნაკლებად დასწყვეტდა გულს. უფარვისი ხორბლისგან ალკოჰოლის სახდელი ფაბრიკაც დაშალეს; იმ ადგილას ახლა ქალაქის დიდი ფაბრიკა დგას და უფრო შეეფერება იქაურობას. ფლობერის სახლისგან პატარა, ერთსართულიანი პავილიონი და რჩა, რამდენიმე ასეული იარდის იქით — საზაფხულო სახლი, სადაც მწერალი თავს აფარებდა, როცა განსაკუთრებულად სჭირდებოდა განმარტობა. ახლა გაქუცული და უაზრო რამეა, მაგრამ სულ უარაფრობას მაინც სჯობს. გარეთ, ტერასაზე, კართაგენში ამოთხრილი, ღარებიანი სვეტის ფრაგმენტი აღმართულა *Salammô*-ს ავტორის ხსოვნის პატივსაცემად. ჭიშკარს მივანექი; ნაგაზმა ყეფა ატეხა, და ჭალარა *gardienne*¹⁶ გამომეგება. ამას თეთრი ტანსაცმლის ნაცვლად კარგად მომდგარი ლურჯი ფორმა ეცვა. სანამ ჩემი ფრანგულით ვჯახობოდი, გამახსენდა კართაგენელი მთარგმნელების სავაჭრო დამლა *Salammô*-ში: თითოეულ მათგანს, თავისი პროფესიის სიმბოლოდ, მკერდზე თუთიყუში აქვს ამოსვირიანებული. დღეს ბულეს აფრიკელ მოთამაშეს მათს გადასაყვანი გამოსახულება უმშვენებს მაჯას.

პავილიონი შედგება ერთი ოთახისგან, კვადრატული, თალოვანი ჭერიანი. გამახსენდა ფელისიტეს ოთახი: „ერთდროულად სამრეკლოსა და ბაზრის შესახედაობა ჰქონდა“. იყო რაღაც ირონიული აქ თავმოყრილი ნივთების ერთიანობაში — წვრილ-წვრილი ხარახურა სახეირო რელიქვიის გვერდით — ფლობერისეული გროტესკი. ექსპონატები ისე უბადრულად დაელაგებინათ, რომ დროდადრო ჩამუხლული ვიჭყიტებოდი კარადებში: ღვთისმოსავის, ან კიდევ ძველმანების მაღაზიებში საგანძურზე მონადირეების პოზა.

ფელისიტეს ნუგეშს ჰგვრდა თავისი გზააბნეული ნივთების ნაერები, მხოლოდ პატრონის სიყვარული რომ აერთიანებდათ. ფლობერიც ასე იყო, სურნელებს მოგონებებით ინახავდა. დედამისის სიკვდილიდან მრავალი წლის მერეც ითხოვდა ხანდახან მის ძველ შალს და ქუდას, მერე იჯდა ამ ნივთებში, გარინდებული და ოცნებაში წასული. ეს კრუასეს პავილიონის სტუმარსაც შეუძლია: დაუდევრად გამოლაგებული ექსპონატები გულზე გხვდება. პორტრეტები, ფოტოები, თიხის ბიუსტი; ჩიბუხები, თამბაქოს ქილა, წერილების გასახსენელი დანა; პირდაპირი ნილი გომეშის საშენი; ოქროს ბუდა, რომელიც მწერლის სანერ მაგიდაზე იდგა და არასოდეს აღიზიანებდა; თმის კულული, რასაკვირველია, უფრო ქერა, ვიდრე ფოტოებზეა.

იოლად შეიძლება გამოგჩნეთ ორი ექსპონატი გვერდით მიდგმულ, დაბლა კარადში: პატარა ბოკალი, საიდნაც ფლობერმა სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე უკანასკნელად მოსვა წყალი; დაჭმულული, თეთრი ცხვირსახოცი, რომლითაც მუბლი მოიწმინდა — იქნებ, ეს მისი უკანასკნელი ჟესტი იყო. ამ უბრალო რეკვიზიტებშია, რომლებიც თითქოს კრძალავდნენ მოთქმას და მელოდრამას, უცებ წარმომადგენინა, რომ მეგობრის სიკვდილს ვესწრებოდი. ცოტა არ იყოს, შემცბარი ვიყავი: სამი დღით ადრე გულგრილად, უძრავად ვიდექი სანაპიროზე, სადაც ჩემი ამხანაგები დახოცეს. შესაძლოა, ესაა მკვდრებთან დამეგობრების უპირატესობა: მათ მიმართ გული არასდროს გიცვიდება.

მერე ისიც დავინახე — მაღალი ბუფეტის თავზე კიდევ ერთი თუთიყუში



ალექსანდრე ფოცხიშვილი

ავტორიტეტი თუ ჭკუბარიტეტი?

დასასრული

ბა“ საერთოდ არ იცინა. ასეთ მდგომარეობას „ნადგომა“ ზმნით გამოხატავენ: „ხელში (ან ფეხში) წამიდგაო“, იტყვიან.

ქველ-ში „დაზრობის“ ბუნდებში სინონიმად, რასაკვირველია, „ნადგომა“ არაა. იგი არც ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაშია“. ქველ-ში „დაზრობის“ სინონიმად არის მოცემული: „ყინვის-აგან მონვა“, „დასუსხვა“, „მოყინვა“.

მართალი რომ ვთქვა, მე მთლად ნათლად ვერ წარმომიდგენია, არის თუ არა რაიმე სხვაობა „დაზრობასა“ და „მოყინვას“ შორის. ვფიქრობ, არ უნდა იყოს, მაგრამ აშკარად ვიცი, რომ „ხელეში წაუდგა“-სა და „ხელეში მოყინა“-ს შორის არსებითი განსხვავებაა.

„წამიდგაო“ მაშინ ამბობენ, როცა სიცვიცის გამო ხელის თუ ფეხის თითებში სწინელი ტკივილები იგრძნობა (ცხარე ცრემლებით ვტიროდით ბავშვობაში მსგავს შემთხვევაში). რაც შეეხება „მოყინვას“, „მოყინული“ ადგილი უკვე აღარ სტკივთ (უბედურებაც და საშიშროებაც ამაშია), რადგან „მოყინულ“ ადგილას სისხლის მოძრაობა შეჩერებულია, მგრძობილია — ჩამქრალი და სასიცოცხლო უჯრედების კვდობა დასიცვიცის სასწრაფო დახმარების დაგვიანების შემთხვევაში მოყინული კიდურების ამპუტირება გარდაუვალია, მოყინული სხეულის ნაწილს ვეღარც ცეცხლი შევლის და ვეღარც ცხელი წყალი.

და რაოდენ საოცრადაც არ უნდა მოეჩვენოს გამოუცდელ კაცს, არც ცეცხლი და, მით უფრო, არც ცხელი წყალი არ შევლის იმ მდგომარეობას, რასაც „ხელში, ფეხში წადგომა“ ეძახიან (დავარქვით მას მოყინვის დასაწყისი, მსუბუქი ფორმა). საკმარისია, ასეთ პირობებში მოვამა ხელეში ცეცხლს მიუშვიროს ან, მით უარესი, ცხელ წყალში ჩაყოს და, თითქოს დენმა დაარტყაო, ტკივილები ელვის სისწრაფით ძლიერდება, სრულიად აუტანელი ხდება.

ახლა წარმოვიდგინოთ სიტუაცია: თქვენ „ხელეში წადგომა“, ხელეში „მსუბუქად დაგიზრათ“, საშინლად გტკივთ. რადგან ასეთი მდგომარეობა სცივემ გამოიწვია, გარბიხართ გასათბობად, სახლში ცხელი წყალი დაგხვდათ, თქვენ შიგ სასწრაფოდ აწყობთ ხელეებს, ელოდებით გათბობას და ამდენად ტკივილების დაამებას, მოხდა კი საპირისპირო: შეჩერების მაგიერ ტკივილები უფრო აუტანელი ხდება.

„ხელეში წადგომის“ დროს ერთადერთი გამოსავალია ოდნავ შემთბარი წყლით, ანდა სულაც ცივი წყლით დახელა.

როგორც ვხედავთ, ტაეპში თითქოს და სრულიად მოულოდნელი და ალოგიკური, მაგრამ ნამდვილი, რეალური, ცხოვრებისეული მოვლენაა აღწერილი და სტროფის პირველ ტაეპში გამოთქმულ მოსაზრებას მისადაგებული.

ამრიგად, სტროფის შინაარსი ასეთია: ავთანდილი ეუბნება თინათინს: შენი უნახაობით და უცხო ყმის ძეხვით გატანჯული შენკენ მოვიჩქაროდი, რათა გაჭირვება ლხინით შემეცვალა... და რა მოხდა? შენთან ყოფნით გაცილებით დიდ ტანჯვას შევეყარე (მომავალი განშორება ხომ უარესი ტანჯვა იქნება), ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორმაც ყინვისაგან „ხელში წამდგარი“ კაცი აღმოჩნდება ხოლმე, რომელსაც ჰგონია: ცხელ წყალში ხელეებს ჩავყოფ, კიდევ გავთბები და ტკივილსაც დავიამებო, იგი კი უარეს გასაჭირში ვარდება, რადგან ვერ თბება, ტკივილი კი უორკვეცდება. ფუჭია სიყვარული, როცა სიყვარულის საგანს ვერ წვდები, მსგავსად იმისა, მზეს (ქვევით)



დედამინაზე კოცნიდე, მისი იმედი გკონდეს, ის კი ინვერტობდეს, ჩამავალი იყოს. თუ გვახლო (არ წავიდე), საშინელეებაა, წავიდე და — ათასჯერ უარესიო.

თ. ვასაძე კი მოტანილი სტროფის შინაარსს ასე გადმოგვცემს:

1. სიახლითა — შენთან სიახლოვით. 2. უნაყოფოა გაყინული წყლის გასათბობად მისთვის სულის ბერვა: ალგორითლად იგულისხმება, რომ ავთანდილის სასიყვარულო ტანჯვას არ ეშველება მხოლოდ თინათინის მიერ კეთილგანწყობის გამოვლენით, რასაც მასთან ავთანდილის შეუღლება არ მოყვება. 3. ცუდი არის სიყვარული — იგულისხმება უნაყოფოა მიუწვდომელი არსების სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა — იგულისხმება: თვით მიუწვდომელი მზის ნაცვლად მინაზე განფენილ მის სხივთა („წვერთა“) ფერება. ამ კომენტარების პირველი პუნქტი შენიშვნას არ იწვევს.

რაც შეეხება მეორეს, იგი სიტყვასიტყვით იმეორებს სოლომონ იორდანიშვილის რუსულ პნკარედულ თარგმანს. აბა, შევადართო: თ. ვასაძე — „უნაყოფოა გაყინული წყლის გასათბობად მისთვის სულის ბერვა“; ს. იორდანიშვილი — „Ааи́и́ і́ ёа́џи́ і́ ёа́џи́ і́ ёа́џи́ і́ ёа́џи́ і́ ёа́џи́ і́ ёа́џи́“.

კი, ბატონო, მე არაა ჩასაგდებელ ავტორებში მთელის ბატონი ვასაძე, მაგრამ მან, „ცნობილმა რუსთველოლოგმა“, როგორ არ იკითხა? — „დამზრალის გასათბობად წყლის ბერვა“ როგორ იქცა „გაყინული წყლის სულის ბერვა“?! და ვინმეს გაუგონია „დამზრალი წყალი“?! დამზრალს ხომ მხოლოდ ადამიანებზე ვამბობთ?!

ან საიდან ჩანს: „ალეგორიულად იგულისხმება, რომ ავთანდილის სასიყვარულო...“ (აღარ გავიმეორებ ამ აბსურდს, ა.ფ.)“.

საიდან დაასკვნა კომენტატორმა, რომ „ცუდი არის სიყვარული“... იგულისხმება: „უნაყოფოა მიუწვდომელი არსების სიყვარული?“ განა თინათინი მიუწვდომელი იყო ავთანდილისთვის?!

კომენტარის გაგრძელებაც სრული გაუგებრობაა: „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“: იგულისხმება: თვით მიუწვდომელი მზის ნაცვლად მინაზე განფენილ მზის სხივთა („წვერთა“) ფერება“...

პოემში „წვერთა“ კი არ წერია, არამედ „წვერვა“, ანუ ლაპარაკია მოქმედებაზე — წვერვაზე, გადწვერვაზე, მზის ჩასვლაზე. „წვერთა“ კი არსებითი სახელია მრავლობით რიცხვში.

და ეს „გამოჩენილმა რუსთველოლოგმა“ არ უნდა იცოდეს?!

ვასაძის კომენტარებს არაფრით სჯობს, იქნებ უფრო სუსტიცაა შარშანვე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონთა განმარტებანი“, რომლის ავტორი ჩემთვის უცნობი ნანი ციხელაშვილია.

ერთი სიტყვით, გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ შახალი გამოცემა, რომლებშიც უცვლელად მეორდება ადრინდელი მცდარი ნაკითხვები.

ჯულიან ბარნსი

ფლობერის თუთიყუში

დასაწყისი მე-14 გვერდზე

დაცუცქულიყო. ისიც ელვარე მწვანე. ისიც, ორივე *gardienne*-ისა და ქანდარაზე მიმაგრებული იარლიყის თანახმად, სწორედ ის თუთიყუშია, ფლობერმა რომ წამოიღო რუანის მუზეუმიდან *Un coeur simple*-ის დასაწერად. ნებათავე ვითხოვე, რომ მეორე ლულუ ჩამომელო, ფრთხილად დავსვი საექსპოზიციო კარადის კუთხეში და მინის ხუფი ავხადე.

როგორ შეადარებთ ორ თუთიყუშს, როცა ერთი უკვე იდეალიზებულია ხსოვნისა და მეტაფორის მიერ, და მეორე აქცივლებული თვითმარქვია? თავდაპირველად გიპასუხებდით, რომ მეორე ნაკლებად ავთენტური უნდა ყოფილიყო, ძირითადად იმიტომ, რომ უფრო სანდომიანი ჩანდა, თავი სხეულზე უფრო სწორედ ედგა, და გამომეტყველება ნაკლებად გამაღიზიანებელი ჰქონდა, ვიდრე იმ ჩიტს *Hô tel-Dieu*-ში. მერე მივხვდი, რომ დანამდვილებით ვერაფერს იტყობი: კაცმა რომ თქვას, ფლობერს თუთიყუშების დიდი არჩევანი არ ჰქონია; მეორე ჩიტი უფრო მშვიდი და უწყინარი კი ჩანდა, მაგრამ ერთი-ორი კვირის შემდეგ ალბათ ესეც გვარიანად აგიშლიდა ნერვებს.

Gardienne-ს ჩიტის წარმომავლობაზე გადავუკარი სიტყვა. გასაგებია, ეს თავისი თუთიყუშის მხარეზე იყო, და მტკიცედ განაცხადა, *Hô tel-Dieu*-ს პრეტენზიები რა სახსენებელიაო. ვიფიქრე, ნეტავ ვინმემ თუ იცის პასუხი ან ამას რამე მნიშვნელობა თუ აქვს ვინმესთვის ჩემს გარდა-თქო; იქნებ, კიდევ გამოჩნდეს ისეთი კაცი, ჩემსავით წინდაუხედავად რომ გააზვიადებს პირველი თუთიყუშის მნიშვნელობას. მეორე თუთიყუში თითქოს მსაყვედურობდა, რამ გაფიქრებინა, რომ ასე იოლად შეიძლება მწერლის ხმის მიგნებაო. სანამ იქ ვიდექი და სავარაუდოდ, თვითმარქვია ლულუს შევცქეროდი, ოთახის იმ კუთხეს მზე მიადგა და ბუმბული ოქროსფრად აუელვარა. ჩიტი გადავდგი და ვიფიქრე: ახლა მე ფლობერზე უფროსი ვარ, მწერალმა ჩემს ასაკს ვერ მიადგია. ეს რაღაც თავხედობას ჰგავდა; ნაღვლიან, დაუმსახურებელ (უსამართლო) ამბავს.

განა ოდესმე ეღობა სიკვდილის შესაფერისი ჟამი? ფლობერისთვის არ დამდგარა; არც ჟორჟ სანდისთვის, რომელიც ვერ მოესწრო *Un coeur simple*-ის წაკითხვას. „ამ მოთხრობის წერა მხოლოდ მის გამო დავიწყე, მხოლოდ მის გასახარებლად. მაშინ

მოკვდა, როცა სამუშაო შუამდე მქონდა მიყვანილი. ასე სრულდება ყველა ჩვენი ოცნება.“ იქნებ, სჯობს, სულაც არ გქონდეს ოცნებები, სამუშაო, და მერე არც სასონარკვეთა გეუფლებოდეს დაუსრულებელი საქმის გამო? იქნებ, ფრედერიკსა და დელორიესავით უნდა გვერჩინოს ნუგეში აუსრულებლისა: დაგეგმილი ვიზიტი ბორდელში, მოლოდინის სიამოვნება, და მერე, წლების შემდეგ, არა ხსოვნა მომხდარისა, არამედ ხსოვნა ჩველილი მოლოდინისა? იქნებ, ასე უფრო სუფთად და უმტკივნეულოდ შემოვიწახავთ ყველაფერს?

შინ დაბრუნებულს ისევ თუთიყუში მიფრთხილებდა გონებაში ორ ცალად: ერთი — თავაზიანი და უშუალო, მეორე — უტიფარი და არამკითხვე. წერილები დავუგზავნე რამდენიმე აკადემიკოსს, ვისაც შეიძლებოდა სცოდნოდა, ამ თუთიყუშებიდან რომელიმე ავთენტურობა თუ იყო რიგინად დადგენილი. მივწერე საფრანგეთის საელჩოს და მოუვლენის გზამკვლევის გამოცემელს. ასევე მივწერე მისტერ ჰოკინსს. ვუამბე ჩემი მოგზაურობის ამბავი და ვკითხე, რუანში თუ იყო ნამყოფი; ვკითხე, ფიქრობდა თუ არა რომელიმე თუთიყუშზე მძინარე ფელისიტეს პორტრეტის ხატვისას. იქნებ, თავის მხრივ, იმანაც მუზეუმიდან ითხოვა და მოდელად გამოიყენა თუთიყუში. გავაფრთხილე ამ სახეობაში სიკვდილის შემდგომი პართენოგენეზისის სახიფათო ტენდენციებზე.

იმედი მქონდა, პასუხებს მალე მივიღებდი.

თარგმანი ნინო ქაჯაიამ

- 1 „ბუვარი და პეკიუშე“ (ფრანგ.)
- 2 „ოჯახის იდიოტი“ (ფრანგ.)
- 3 „გრძნობათა აღზრდა“ (ფრანგ.)
- 4 „სამეფო ინიწინეთა მოედანი“ (ფრანგ.)
- 5 „ჩერჩილის მოედანი“ (ფრანგ.)
- 6 პანორამული ტელესკოპი (ფრანგ.)
- 7 სტამბა (ფრანგ.)
- 8 სასწრაფო დახმარება (ფრანგ.)
- 9 მცველი (ფრანგ.)
- 10 აფთიაქარი (ფრანგ.)
- 11 თუთიყუში (ლათ.)
- 12 ლოგოსის სიმბოლო (ფრანგ.)
- 13 — ისაუზმე, უაკო? (ფრანგ.)
- 14 — რქიანი ხარ, ჩემო პატარა ჩერჩეტო? (ფრანგ.)
- 15 — მე კარგი თამბაქო მაქვს (ფრანგ.)
- 16 მცველი ქალი (ფრანგ.)

კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს:

პუბლიცისტიკა. პრიტიკა. ესეისტიკა.

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური, კრიტიკული ან ესეისტური ნაწარმოები, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 25 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე:

konkursi2012@yahoo.com

ნაწარმოებს თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი. ნაწარმოების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2012 წლის 5 აპრილი. სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება მისიში. გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი ლიტერატორისგან შემდგარი ჟიური. გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1000 ლარი
 II პრემია — 800 ლარი
 III პრემია — 600 ლარი

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
 ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com